



ცისაბეჭდი

№ 20 / 1 - 7 მარტი / 2010

დაპნეული ოპოზიცია

გვ. 18

„დიდების მამორიალის“ მსჯელაზე გვ. 6

ცოლადების რეგიონები გვ. 23

გამოავლენს თუ არა პრაივატი ერთიან კადეიდაფს? გვ. 10

საარჩევნო სისტემის შეფასება ცივი გონიერებით გვ. 12

სოზარ სუპარი: ვაჭარები კომასიდები ზეცვაზი გვ. 30

პოლიტიკური მოწოდები მორია არხზე გვ. 25


ინტერვიუ: ვლადიმერ პუკოვსკი გვ. 15

ISSN 1987-7528



9 771987 752008
ფასი 2.80 ლარი

კულტურული მოგზაურებები! fm 101.9



ჩერქეზი





ფოტო ივანე საჩიხაშვილი

ცოგვრები:

- 02 რედაქტორი
- 03 შემოსული წერილები
- 04 მოკლედ
- 06 ვრცლად
- 10 ორა აზრი
გამოავლენს თუ არა
პრაიმტრი
- ოპოზიციის ერთიან
კანდიდატს?
- კახა კუკავა N.S.
- დავით ზურაბიშვილი
- 12 თეატრაზნისი
საარჩევნო სისტემის
შეფასება ციფრული
მარკ მაღლები
- 13 ანგარიში
შრომის ფასი
- 15 ინტერვიუ
ვლადიმირ ბუკოვსკი:
საბჭოთა კავშირი
ჯერ არ
დამთავრებულა



- პოლიტიკა**
- 18 დაბნეული ოპოზიცია
- 23 რეგიონები
ნოლაიდელის რეგიონები
- 25 პოლიტიკა და მედია
პოლიტიკური მოწოლოები
LIVE-ში
- კონფლიქტები**
- 27 აფხაზეთი ნავთობს ექიპს
- 28 ნოვიკ ალდი – ტრაგედია
გრძელდება
- 30 კომაზიძე უფლებები და
სამართალი



- საზოგადოება**
- 32 რატომ იღუპებიან
ახალშობილები
- 34 ჯანდაცვა
არ მინდა ვიცოდე
სიმართლე
- 36 ონკოლოგიური
დაავადებები
სასიკვდლო, მაგრამ
განუურნებადი
- 38 პროფკავშირები
ერთი პროცენტი ხელფასიდან
- 41 განათლება
ვინ უნდა ასწავლოს მომავალ
თაობას?
- 43 კინო
ქართული კინოს ნატვრის სე

საუბრები ლიბერალიზმზე

- 45 ქართული ოპოზიციის
იდეოლოგიური სისუსტეები
- 47 ნიგნები
კარლ ფონ კლაუსევიცის
„ომის შესახებ“

გარეკანზე:

დაბნეული ოპოზიცია
ილუსტრაცია: ოთარ ყარალაშვილი


ფურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდი
„ლიბერალი“ საზოგადოება - საქართველოს“
მხრიდაჭრით.



ჩემთვის დღემდე გამოცანად რჩება, როგორ და საიდან დაბადა მითი ირაკლი ალასანიას შესახებ ჯერ კი-დევ მაშინ, როცა ის მშვიდად იჯდა გაერო-ში და ერთი სიტყვაც არ ჰქონდა საჯაროდ ნათქვამი იმის შესახებ, რომ პოლიტიკაში და, მით უმტეს, ოპოზიციაში მოსვლას გეგმავდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ მთელი თბილისი იმაზე ლაპარაკობდა, რომ ქართულ ოპოზიციას ირაკლი ალასანია გადაარჩინდა და რომ მას ამერიკა „სააკაშვილის შემცვლელად“ მოაზრებდა. ნამდვილი „ნონ-ფიქშენი“ იყო: მთავარი გმირი ნიუ-იორკში უმოქმედოდ იჯდა, მის ირგვლივ კი მითიური წრე იკვერებოდა.

მას შემდეგ წელინად-ნახვარზე მეტი გავიდა. ირაკლი ალასანიას ამ ხნის მანძილზე ბევრი არაფერი გაუკეთებია, მაგრამ, სიმართლე რომ ითქვას, 24 თებერვლამდე არც არაფერი გაუკუჭებია.

ქართული ოპოზიციის იმ ნანილს, რომელიც 24 თებერვალს ჭადრაკის სასახლეში იყო შეკრებილი, მერობის საერთო კანდიდატი „ნაციონალური მოძრაობის“ და გიგი უგულავას დასამარცხებლად სჭირდება. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, არჩევნების გაყალბების საბათ, გაზაფხულზე „მესამე საპროტესტო ტალღა“ აგორდეს, რაც, წესით, დიდად არ უნდა ხილავდეს ირაკლი ალასანიას, თუნდაც იმ მიზეზით, რაც ყველას გვახსოვს – შარშანდელი აქციების დროს ცხრაპიროვლს ღვრიდა, ვიდრე მიტინგებზე ორწუთიან სიტყვას იტყოდა ხოლმე.

ჯერ არ ვიცით, როგორ, რა წესით უნდა გამოავლინონ „ჭადრაკის სასახლეში“ შეკრებილებმა ის ერთა-

დერთი, „ვისიც არ ითქმის სახელი და ვისაც დღედაღაშ ნატრულობს ჩუმის ნატვრითა ქართველი“ – შეთანხმებით, სოციოლიგიური გამოკითხვებით თუ პრამერით; მით უმტეს, როცა ამ ერთობას ლევან გაჩერილაძეც შეუერთდა, არც ამ „ერთადერთის“ ვინაობაა ცნობილი.

24 თებერვალს ის ერთიანობა, რომლისენაც ოპოზიციას საზოგადოება მოუწოდებს (მგონი, ესეც ერთგვარი მითია – სადაც საზოგადოება და როგორ მოუწოდებს ერთიანობისენ იპოზიციას, ჩემთვის სრულიად გაუგებარია), მანც არ შედგა – „ალიანსი საქართველოს-თვის“, „საქართველოს გზა“ და „ეროვნული ფორუმი“ უარს ამბობენ იმ ერთობაში მონაწილეობაზე, სადაც „ედინაა როსიასთან“ დამეგობრებული ექს-პრემიერი ზურაბ ნოღაიძელიც იქნება.

სამწუხაროდ, ჭადრაკის სასახლეში არ ვყოფილვარ. თუმცა, სატელევიზიო კადრებში ჩანდა, რომ იქ გასული საუკუნის 90-იანების დიდი შეკრებების ატმოსფერო სუფევდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა სცენაზე ერთმანეთს ჯანსულ ჩარკვაანი, ოთარ მეღვინეთუხუცესი და დათო მაღრაძე ცვლიდნენ. არც ლევან გაჩერილაძის ცრემლების მჯერა.

P.S. „ლიბერალი“ ამ ნომრიდან უკვე ყოველკვირეულია და ჯიხურებში უკვე ორშაბათობით მოიკითხეთ.

ნინო ბექიშვილი
ადამიანის უფლებების და სამართლის
განყოფილების რედაქტორი

რედაქტორი: მთავარი რედაქტორი შორენა შევრდაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი ნინო ჯაფაშვილი / პოლიტიკა და საერთაშორისო ამბები სოფო ჭავა / კავკასია და კონფლიქტების სივრცე ბუგა / უფრონაიოსტური გამოიძება / ბესთ კურტმანდე / საზოგადოება თამაზ ბაბუაძე / აღალიანის უფლებები და სამართლიანო ნინო ბექიშვილი / ახალი იმპერია ნინო სიონძე / კორექტორ-სტილისტი ნინო სიონძე / როგორებული შალვა ჩუბინძე / რედაქტორი შალვა ჩუბინძე / დისტრიბუტორ ზენო შენგელია

გამოცემების: შეს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge

საცავ დამოუკიდებელი: „აზელ შეკრებული“, ცენტრ მიკალადი – ლტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მუსოფები, სტატეგიები“.

„ლიბერალის“ საცავი უფლებები დაცულია.

უფლებამოსი გამოქვეყნებულ მასალების ნინორიმი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქტორის თანხმიბის გარეშე აკრძალულია.

პერიოდი: სტამბა „სუზანა“. მისამართი: თბილისი, ნერეთალის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.

შემოქმედებული 5000 ფართ გამოიძება ირ კვარაპ ერთხელ. პირველი ნოტერი გამოცემულია 2009 ნოემბრის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2,80 ლარი.

www.liberali.ge

ISSN 1987-7528



რუსეთი ჩიხია

ლიმეტაცია N19

„არც ერთ ქართველ პოლიტიკოსს არ ეყოფა გამბედობა, საკუთარ ამორჩეველს პირდაპირ უთხრას, რომ ამ ეტაზზე ყველაზე პრაგმატულია, განვითარებაზე აფხაზეთის და ოსეთის გარეშე ვიფიქროთ“, – ავტორის ეს მოსაზრება მტკიცნული ყველასთვის, გისაც სამშობლო უყვარს, მაგრამ რა ვრჩამთ, რომ სიმართლეა მე ვეთანამშები სოფოს, და საერთოდაც ჯერ კიდევ ომაძლე ვფიქრობდი ასე, რომ ჩენ განვითარებაზე უნდა ვიფიქროთ და განვითარეთ, სამწუხაროდ, აფხაზეთისა და ოსეთის გარეშე. მე ვიფიქრობ, როგორ დანარჩენ საქართველოს უფრო მეტი ექნება რეალურად შესათავზებელი აფხაზი და ოსი ხალხისათვის, თუნდაც სოციალური კეთილდღეობის თვალსაზრისით, მერე უფრო მეტი შანსი გვაქვს ამ ხალხის ჩენენები შემობრუნების. გასაგებია, რომ ეს მინა ჩენია, საქართველოსია, მაგრამ ისიც რეალობა, რომ ამ მნაზე ქართველებისადმი ძალიან მტრულად განწყობილი ადამიანები ცხოვრობენ. ჩენ უფრო მეტად ამ ხალხის ჩენენები შემობრუნებაზე უნდა ვიმუშაოთ, ყველამ ერთად – მთავრობამაც, ოპოზიციამაც და საზოგადოებამაც.

**sophie, 26 თებერვალი,
www.liberali.ge**

დანწყეთ აშეარად ტერიტორიების დათმობაზე ლაპარაკი? ამოხვედით იატაკექეშეთიდან? ამდენი გამყიდველი არარაბის ხელში, კიდევ კარგა ბლობამად ტერიტორია შეგვრჩენა, ყოჩაღ ჩენ! გულის ამრევია ამ სტატიის რიტორიკა!

**Kate Gurassi
www.liberali.ge**

რუსეთი მართლაც ჩიხია და არავითარ „დაალოგს“ აზრი არ აქვს. რაც შეეხება სეპარაცისტულ რეგიონებს, ანსებული ხალხი პასანძის პირობებში, საქართველოს მათი დაბრუნების არავითარი შესაძლებლობა არ აქვს – არც ძალით და არც მოლაპარაკებით. უნდა აღვიტუროთ მითმინებით, ვიზურუნით საკუთარ ქვეყნის განვითარება-გაძლიერებაზე და დავ-ელოდოთ უფრო ხელსაყრელ ვითარებას.

ამასთან, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ტერიტორიები ჩენია, და აუცილებლად უნდა დავიბრუნოთ.

**Erekle Urushadze
www.liberali.ge**

ერთი რამ ფაქტია, ფინეთმა ოკუპაციის შემდეგ შეძლო ისე განვითარებულიყო, რომ მსოფლიო ბრენდები შეექმნა. შეიძლება იმდენად ამ ვიცი ფანეთის ისტორია, მაგრამ ის კი ვიცი, რომ Nokia - მსოფლიო ბრენდია და მსაცავისა ინიციატივისა ტექნიკურებისა და ეკონომიკურმა ზრდამ განაპირობა არარეალური სხვაობა რუსეთისა და ფინეთის ეკონომიკასა და ტერიტორიულ მსატებებს შორის... ნებაზე და ავიგონებაზე აფხაზეთისა და ოსეთის, არ არის უცდილობის გავაერთონობა საქართველო, არც ესაა ცუდი ლოზუნგი, მაგრამ სწორებაც რომ ტერიტორიულზე მნიშვნელოვანი არდავაზებება და გაერთიანება ადამიანურ რესურსს უნდა ემყარებოდეს... იქნება და, შეგვეცვალა ლოზუნგები – ნებაზე და ავიგონებაზე აფხაზებს, ნებაზე და ვიგონებაზე თხელს გავაერთიანოთ ჩვენი ერები... და აი, მერე ვილაპარაკოთ ტერიტორიულ მილიანობაზე...

მანამდე კი, ლაპარაკს და ლოზუნგებს აღბათ აკოტებდა, Nokia-ს მსაცავი ინიციატივი ტექნილოგიებისა და პროდუქტების შეექმნათ. ამის რესურსის საქართველოში ჯერ არის და მომავალში უფრო მეტის მოპოვება შესაძლებელი. დღეს მსოფლიოს ინტელექტი (Intelligence) და არა ტანკები... მთავარია, ქეყუნძაში საზოგადოებისგანაც და სელისულებისგანაც იყოს იმის სურვილი და ნება, რომ ჩენია ინტელექტუალური შესაძლებლობები მაქსიმალურად იყოს რეალიზებული, გამოვიდეთ „საომარი მდგრამარებილებაზე“ და მშვიდად და წყარისად მიყებით საქმეში თავისითავად შემოგვირთდებიან აფხაზებიც, თხელი და მეზობლებიც...

(იმდენა, იდანაც მაინც პრაგმატული აზრია, და არა სარულიად იდეალისტური)

**Levan Tsagareishvili
www.liberali.ge**

ასეთი გადაწყვეტილება მიღილ გერმანის ფედერაციული რესუბლიკის პირველმა კანცლერმა კონრად ადენაუერმა. ეს ხაზი კიდევ უფრო გაარადგალური კანცლერმა ვილი ბრინდავმა, როდესაც გდრ დიპლომატიურად ცხონ და ამ აქტს გრმანის გაერთიანების წინაპირობა უწოდა.

**Giorgi Maisuradze
www.liberali.ge**

„თუ საავამვილს ოდესმე ჰქონდა ამ ურთიერთობების დალაგების შესაძლებლობა, მინ იგი საბოლოოი დაკარგა“, – შეცდომაა, საავამვილს არ ჰქონია ამ ურთიერთობების დალაგების შესაძლებლობა... გამომდინარე ქვემოთქმულიდან... ყველას ავიწყდება, რომ რესერტის მთლიანად საქართველოს და, შესაბამისად, კავკასიის, შესაბამისად, დასავლეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ-სამხრეთ ფერფეხების ხელში ჩაგდება და კონტროლი...

აინტერესებს, და აფხაზეთი და ცხინვა-ლის რეგიონი მსოლოდ ამ მიზნის მიღწევის საცეცებია... საქართველომ სეპარაცისტული რეგიონები რომც ცნოს დამოუკიდებლად, ეს სრულადაც არ იქნება საკმარისი რუსეთის მდერნილისტური მძის დასანურებლიდა, მეტიც, დათვის მძა ჭამაში კიდევ უფრო გაიხსნება... ანალოგიური აზრის განვითარება შეიძლება იმ შემთხვევაშიც, თუ, როგორც ზემოთ აღნიშნეს,

– „აღვიტურულო მოთმინებით, კითხულო საკუთარი ქვეყნის განვითარება-გაძლიერებულ-ბაზე და დაველოდოთ უფრო ხელსაყრელ ვითარებას“ და „ამასთან, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ტერიტორიები ჩვენია და უცილებლად უნდა დავიბრუნოთ“. ანუ ფორმულა არც ვიპრეცით, არც ვცონობთ (მასხსენებს ტრიკის ცნობილ ფორმულას – არც იმი, არც მშვიდობა) მით უფრო არ გავათავისუფლებს რუსეთის ამჟამინდელი თუ სამომავლო წესებისგან, ვიდრე იყვანირებული ტერიტორიების ცნობა – ანუ, დასკვნა: რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ მოგვცემს გავითარების საშუალებას მის მიერ კონტროლირებადი შედა თუ გარე ფაქტურების ამჟამავებით... (2007 წლიდაც ეს განასკურექითა ნათლად ჩანს).

გამოსავალი: ბრძოლა წებიშირი პრაგმატული საშუალებას გამოყენებით სტუუაციურად – თუმცა საერთოშორისო პოლიტიკური ვითარება („პერეგრუზის“ პოლიტიკა) და საქართველოში გამეცებული რენეგატული თუ „პორაუზული“ განწყობილებების (ამ უკანასკენელს ამ სტატი-შიცი და კომეტიურებიც ვერ ცდებან) ფონი ასეთი ბრძოლის ნარმატებულად ნარმობის იპტიმისტურ საფუძველს სამუშავროდ ნა-ლებად იძლევა.

**Giorgi Tabatadze
www.liberali.ge**

კარგი სტატიაა. ისე ალბათ ისიც გასათვალისწინებულია, რომ „დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების“ თემის სამიმავლოდ გადადებით პიროტიკული რენეგატული თუ „პორაუზული“ განწყობილებების (ამ უკანასკენელს ამ სტატი-შიცი და კომეტიურებიც ვერ ცდებან) ფონი ასეთი ბრძოლის ნარმატებულად ნარმობის იდეოლოგიური მართვისთვის...

**Salome Asatiani
www.liberali.ge**

გამოგვირთდების შემთხვევაში
www.liberali.ge



ავლანეთში საქართველო 800 ჯარისკაცის ჩაგზავნის

მე-3 ქვეითი ბრიგადის ბატალიონი ავლანეთის ჰელმანდის რეგიონში აპრილის პირველ ნახევარში გაემგზავრება. 800-მა ჯარისკაცმა პირველადი სამთვიანი მომზადება გერმანიაში გაიარა. წვრთნების დასკვნითი ეტაპი, რომელშიც ამერიკელი საზღვაო ქვეითებიც მიიღებენ მონაწილეობას, საქართველოში ჩატარდება.

კრწანისის სასწავლო ცენტრში საჩვენებელ წვრთნას 22 თებერვალს ავლანეთსა და პაკისტანში ამერიკის სპეციალურ წარმომადგენელი, რიჩარდ ჰოლბრუკი, საქართველოში ვიზიტის მეორე დღეს დაესწრო. ის თბილისში საქართველოს პრეზიდენტის მოწვევით ჩამოვიდა.

ჰოლბრუკმა მიხეილ სააკაშვილთან ერთად ქართველი ჯარისკაცების მომზადების დონე მოინონა და აღნიშნა, რომ სამშვიდობო ოპერაციაში ქართველების მონაწილეობა მათ პროფესიონალიზმს კიდევ უფრო აამაღლებს. „ადვილი არ არის პატარა ქვეყნისთვის მსგავს პროცესში მონაწილეობა, მაგრამ მე ვამაყობ ქართველი ხალხის ხასიათით. ავლანეთ-საც და საქართველოსაც, ორივეს აქვს თავისი პრობლემები და ორივე განიცდის აგრესიას. ხალხი, ვინც ამ ქვეყნებში ცხოვრობს, შეშინებულია, მაგრამ მზად არიან იბრძოლონ“, – განაცხადა რიჩარდ.

ჰოლბრუკმა. მან სააკაშვილს მადლობა გადაუხადა იმ შეთავაზებისთვის, რაც საქართველოს ტერიტორიის სატრანზიტო დერეფნად ავღანეთის მიმართულებით გამოყენებას და სამხედრო ტექნიკის გადატანას გულისხმობს. თუმცა აღნიშნა, რომ პროექტის განხორციელება ძალიან რთული საქმეა და ამ საკითხზე გადაწყვეტილება სამხედრო საბჭომ უნდა მიიღო.

„ის, რომ ჩვენი მეგობრები სანდო პარტნიორად აღგვიქამენ, განსაკუთრებული მოტივაცია ჩვენთვის. უნდა გვესმოდეს, რომ ავღანეთში წარმატება ჩვენ მომავალ-საც განაპირობებს“, – განაცხადა სააკაშვილმა.

ქართველების ეს მისია ავღანეთის ოპერაციაში განსაკუთრებით რთული იქნება. ამერიკის, კანადისა და ბრიტანეთის შემდეგ საქართველო მეოთხე ქვეყანაა, რომელიც ჯარისკაცებს ყველაზე სახიფათო, ჰელმანდის რეგიონში უშვებს. ასეთ სარისკო ზონაში შესვლაზე უარს ამბობენ სამშვიდობო მისიას სხვა წევრები, მაგალითად – გერმანელები.

ავღანეთში ერთი ქართული ასეული უკვე ასრულებს მისიას. 175 ჯარისკაცი 2009 წლის შემოდგომიდან ქაბულში იმყოფება. მათი რაოდენობა 2010 წლის გაზაფხული-დან 4-ჯერ გაიზრდება.

ლარსი იხსენა

პირველი მარტიდან ყაზბეგი-ზემო ლარსის სასაზღვრო-გაშვები პუნქტები ისნება. საზღვრის გადაკვეთა მსურველებს ყაველდღიურად შეეძლება. ზამთრის სეზონსა და საზაფხულო სუნინზე სამუშაო საათები განსხვავებული იქნება – 1 მარტიდან 1 ნოემბრამდე პერიოდში – 6.00-დან 22.00 საათამდე, ხოლო 1 ნოემბრიდან 1 მარტამდე პერიოდში – 7.00-დან 19.00 საათამდე. ადამიანები, სატრანსპორტო საშუალებები, ტვირთები, საქონელი და ცხოველები „ყაზბეგის“ გამშვებ პუნქტში საქართველოს მიექმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაივლიან, ხოლო „ზემო ლარსის“ გამშვებ პუნქტში – რესუების ფედირაციის კანონებისა და წესების შესაბამისად ერთ-ერთი მხარის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების გატარებაზე უარის შემთხვევაში, მეორე მხარე ნებას მისცემს, აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალება დაუბრკოლებლად დაბრუნდეს საკუთარ ტერიტორიაზე. „ყაზბეგის“ გამშვებ პუნქტზე არ გაიცემა საქართველოს ვიზები და აკრძალულია სახელმწიფო საზღვრის ფეხით გადაკვეთა. რესუების საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი აცხადებს, რომ რუსული მხარე მზადაა, საქართველოსათვის რეგულარული ავიამიმოსელაც აღადგინოს. თუმცა, ამ განცხადებას ქართული მხარე მორიგ პოლიტიკურ პარტს „უნიტებს. ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსის გიორგი ბოკუჩავას თქმით, თუ მისივე პრიდაპირი ფრენის აღდგენა მართლაც სურს, ქართულ მხარეს შვეიცარიის საელჩოს მეშვეობით ოფიციალურად უნდა შეატყობინოს და საკითხი ამის შემდეგ გადაწყვდება.

იანუარის მოქადალებული ინიციატივის

ვიქტორ იანუარის ინაუგურაციის ცერემონიის დაწყებამდე კიევი-პეტერბურგის ლავრში მივიდა, სადაც ის რუსთის პატრიარქმა კრისტონი დალოცა. პატრიარქმა იქვე რესი და უკანასკნელი ხალხების ერთობის მნიშვნელობაზეც ისაუბრა. ამის შემდეგ იანუარი უმაღლეს რადაში გაემართა, სადაც მისი ინაუგურაციის „მაქსიმალურად მოკრძალებულმა“ ცერემონიამ იულია ტიმოშენკოსა და ვიქტორ იუშჩენკოს გარეშე ჩაასრა. „ნარინჯისფერი რევოლუციის“ ერთ-ერთმა გმირმა ტიმოშენკომ იანუარის ნლევანდელი გამარჯვება არ აღარ და მას არჩევნების „მოპარვები“ დასდო ბრალი. ფიცის დადგების დროს ტიმოშენკოს კოალიციის წერთა სავარძლებიც ცარიელი იყო. სამაგიეროდ, დარბაზში უკრაინული პოლიტიკური ელიტის სხვა წარმომადგენლები და უცხოელი სტუმრები იყვნენ შეკრუბილი. დამსწრეთა შორის ასევე იყო უკრაინის ექს-პრეზიდენტი ლეონიდ კუშმა. ცერემონიაზე რუსეთის ფედერაციას დუმის სპეციალურობის ელმძღვანელი სერგეი ნარიშკინი წარმოადგენდნენ; საქართველოს კი – პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე და ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭვრიანი.

ერთგულების ფიცის დადგებისას იანუარის გამოსავლა „ნარინჯის-ფერი გუნდის“ კრიტიკით დაწყო. „სილარიბე, დანგრეული ეკონომიკა, კორუფცია“, – ასე დაახსათა მან უკრაინაში ამჟამად არსებული მდგომარეობა და იქვე დასძინა, რომ იცის, როგორ გამოასწოროს სიტუაცია.

უკრაინის ახალი პრეზიდენტის ვიქტორ იანუარის პირველი საერთაშორისო ვიზიტი ბრიუსელში დაინიშნა.



რიცხვები

122 ტრაქტორი და 25 კომბაინი გადაეცა საქართველოს იაპონიის მიერ გამოყოფილი გრანტის ფარგლებში.

1 100 000 ლარის ზარალი მიაყენა დედაქალაქს ქლიერმა ქარმა.

542 მილიონ კოლოფ სიგარეტს მოიხმარენ, დაახლოებით, საქართველოში წელიწადში.

3,5 მილიონი აშშ დოლარი დაიხარჯება სათაფლის სახელმწიფო ნაკრძალის რეაბილიტაციისთვის.

ციტაციები



„ბევრი დრო გვაქვს დაკარგული და უნდა ვიაროთ წინ, ჩქარა... სირბილით, თხილამურებით, კატერებით, ტრაქტორებით, კომბაინებით, ფორმულა პირველის მანქანებით და ... გავასწროთ სამშვიდობოზე ერთ კონკრეტულ ძალას, რომელიც ჩვენი ქვეყნის შეჩერებას ლამობს. ბოლო ორ წელიწადში რა ტრაქტორებიც შემოვიტანეთ, შემდეგ ორ წელიწადში ამდენივე რომ შემოვიყვანოთ თავისი დანადგარებით, პრაქტიკულად, საქართველო იქნება მთლიანად ტრაქტორიზირებული. ე. ი. შემდეგი ორი წლის განმავლობაში ... ყველა ასე თუ ისე სერიოზულად დასხლებულ პუნქტში იქნება გაზი, ამბულატორია, წყალი, კარგი სკოლა და საქართველოში იქნება ყველგან ტრაქტორი“. მიხეილ საკაშვილი

22 თებერვალი, თბილისი

„ჩვენ ვართ პროვოკაციის ნინაშე. ამ პროვოკაციას ჰქვია ნოლაიდელი. ჩვენ ამ პროვოკაციიდან უნდა გამოვიდეთ ძალიან მარტივად, ძალიან წყნარად; უნდა გავმიჯნოთ ჩვენი თავი ნოლაიდელისგან“. სალომე ზურაბიშვილი

25 თებერვალი, თბილისი

„ქართული ოპოზიცია ისე იქცევა, თითქოს საქართველოს დედაქალაქთან ახლოს მდგომ რუსულ ტანკებს თბილისში ეპატიუება. შექმნილ ვითარებაში ქართული ოპოზიცია უფრო ფრთხილად უნდა მოქმედებდეს და მკვეთრ ნაბიჯებს არ უნდა დგამდეს“. ვალერია ნოვოდვორსკაია

25 თებერვალი, თბილისი

„ამერიკული სამხედრო ბაზა, შესაძლო, გაჩნდეს საქართველოს ტერიტორიაზე. თეორიულად ამ შესაძლებლობას უშვებ, თუმცა ეს იქნება დიდი სკანდალი ჩვენსა და ამერიკელებს შორის“. დიმიტრი როგორიზინი

22 თებერვალი, რადიო „ქომ მოსკვი“



„დიდების მემორიალი“ ღემონტაჟის შემღება, ლეკემბერი 2009

„დიდების მემორიალის“

მსხვერპლი

სასამართლო გამოძიებამ „დიდების მემორიალის“ აფეთქების დროს დატრიალებულ ტრაგედიაში დამნაშავეებს მიაგნო. მათ დანაშაულის აღიარებას ციხეში მოხვედრა ამჯობინეს.

ნინო გოგუა

„თუ არ აღიარებთ დანაშაულს, დაგიჭერთ“, – რამდენჯერმე გაუმეორა პროკურორმა სასამართლო დარბაზში მყოფ 74 წლის თენგიზ დარახველიძეს. ის ერთ-ერთია „საქაფეთქმრეწვის“ იმ სამი თანამშრომლიდან, რომლებსაც ქუთაისში „დიდების მემორიალის“ ფე-მონტაჟის დროს მომხდარი უბედური შემთხვევის გამო დააკისრეს პასუხის-მგებლობა.

ამ საქმის გამოძიება 22 თებერვალს დასრულდა. „საქაფეთქმრეწვის“ თა-ნამშრომლებს სასამართლომ ორიდან ოთხ წლამდე პატიმრობა შეუფარდა. მიუხედავდ იმისა, რომ პროკურორული საპროცესო გარიგებაზე თანახმა იყო, არც ერთმა მათგანმა ეს შესაძლე-ბლობა არ გამოიყენა. მათ დანაშაულის აღიარებას ციხეში მოხვედრა ამჯობინეს.

19 დეკემბერს ქუთაისში „დიდე-ბის მემორიალის“ აფეთქების დროს ტრაგედია დატრიალდა. ეკა ჯინჭარაძე და მისი 8 წლის შვილი ნინო საკუთარი ოჯახის თვალწინ უბედურმა შემთხვე-ვამ იმსხვერპლა.

„დიდების მემორიალის“ ღემონტა-ჟის იდეა მას შემდეგ გაჩნდა, რაც პარლამენტმა პლენარული სხდომე-ბის ქუთაისში ჩატარება გადაწყვიტა. ტერიტორიაზე, სადაც 19 დეკემბრამდე ძეგლი იდგა, ახალი პარლამენტი 2010 წლის პირველ მარტს უკვე მზად უნდა იყოს.

პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის განკარგულებით, ფინანსთა სამინის-ტროს ბიუჯეტიდან ქუთაისის მერიის 5 000 000 ლარი გადაერიცხა. დასა-ვლეთში პრეზიდენტის რწმუნებული, გუბერნატორი მიხეილ ჩიგოვაძე ამ საქმეს ქუთაისის მერიის მოვალეო-ბის შემსრულებელს ზაზა ნუცუბიძეს გადასცემს, „ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად“, – ნერს ნუცუბიძე ქუთაისის მერიის ბრძანებუ-ლებაში 16 დეკემბერს.

ქუთაისის მერიამ პარლამენტისთვის ტერიტორიის გაწმენდა „საქმილსა-დენშენს“ დაავალა, ამ კომპანიამ კი უშალოდ მემორიალის აფეთქების-თვის „საქაფეთქმრეწვი“ დაიქირავა. ავთანდილ დარსაველიძეს, ელგუჯა-

გაბადაძეს და თენგიზ დარახველი-ძეს მონუმენტი 21 დეკემბერს უნდა აეფეთქებინათ, რისთვისაც რამდენიმე დღით ადრე წამოიწყეს მზადება. რეი-ნა-ბეტონის 46 მეტრის სიმაღლის მე-მორიალის დასასუსტებლად მოაწყვეს რამდენიმე პატარა აფეთქება, მემო-რიალის გარშემო დამცავა მინის კედ-ლებიც მოამზადეს. თუმცა, როგორც სტუდია „GNS“-ისთვის დაკავებამდე მიცემულ ინტერვიუში ავთანდილ დარახველიძე ამბობს, მოულოდნელად ქუთაისის მუნიციპალიტეტმა მემორია-ლის აფეთქება 19 დეკემბერს მოითხო-ვა. 21-ში მემორიალთან ოპოზიციამ საპროცესტო აქცია დაგეგმა.

გამოძიებისთვის მიცემული ჩვე-ნებებიდან ირკვევა, რომ ავთანდილ დარსაველიძე მერიას აფეთქების არეალის ხალხისგან დაცლა მოსთხოვა. მოსახლეობა სახლებიდან უკანა ეზო-ებში უნდა გადასულიყო, დაუშვებელი იყო კორპუსებს შორის დატოვებულ ადგილებში მოქალაქეებს გაჩირებაც; უნდა გადაეტილიყო მემორიალის წინ სამანქანო გზაც. მითითებების შეს-რულება ზაზა ნუცუბიძემ პატრულის წარმომადგენლებს დაავალა.

პატრულმა მოსახლეობის გაფრთ-ხილება და ევაჟუაცია აფეთქებამდე ორი საათით ადრე დაიწყო. ოფიცირები კორპუსების მაცხოვრებლებს მოუწო-დებდნენ, სახლის ფანჯრები და კარები ლია დაეტოვებინათ და 16 საათისთვის, როცა აფეთქება იგეგმებოდა, კორპუ-სებს უკან ამოფარებოდნენ.

„აფეთქებამდე 10 წუთით ადრე მე მემორიალთან შევხვდი ქუთაისის კრი-მინალური პოლიციის უფროსს და გაც-ნობე, რომ ოპიექტი მზად იყო ასაფე-

თქებლად. შემდეგ ჩემი ავტომობილით მაინც გავიარე ასაფერებელი ობიექტების პერიმეტრზე და დავრწმუნდი, რომ მოსახლეობა გაყვანილი იყო და მაშალის გასროლით მივეცი კოლეგებს მემორალის აფეთქების ბრძნება“, – წერს დარსაველიძე გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში.

ჯუთაისელები „აფეთქების მემორიალის“ აფეთქების სანახავად შეიკრიბნენ. ზოგი სახლების აფეთქებას სახურავებიდან ვიდეო კამერით იღებდა.

უბედური შემთხვევის ადგილზე – N17 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე პასუხისმგებელი პატრული შოთა მუმლაძე იხსენებს, რომ მემორიალიდან აფეთქების დაწყების გამაფრთხილებული რამდენიმე ფერადი შუშეზუნა გაუშვეს, „გაისმა ხმა და კონსტრუქციაზ უკან გადახრა დაიწყო. ამ დროს დავინახე საფეხბურთო ბურთის ზომაზე დიდი ქვა მოფრინავდა მემორიალიდან. ქვამ ნინ გამიარა და გარაუებისკენ ნავიდა. გარაუის უკან რა ხდებოდა, ვერ ვხედავდით. უცებ გაისმა კივილი და როცა მივირბინეთ, ქალი და ბავშვი უკვე მინაზე იწვენ“. წერს ავტოფარეხთან იდგა დემონტაჟს დროს მძიმედ დაშვებული ინკალი ჯინჭარაძე. „ეკა და ნინო ჩემ წინ იდგნენ. სადაც ვიდექი, იმ ადგილიდან მემორიალის კუთხის. შევამჩნიე, რომ კვამლის ფენიდან დიდი ზომის ბეტონის ნამსხვრევები გამოვარდა, ძალიან დიდი სისწრაფით პირდაპირ ჩვენებენ ნამოვიდა. მივხვდი, რომ მომხვდებოდა და მარჯვინივ შევპრუნდი. რაღაც მძიმე დარტყმა ვიგრძენი ზურგში, და მაშინვე დავაკარგე გონება. ყველაფერი 1-2 წამში მოხდა“.

8 წლის ნინოს ნამსხვრევები – საფეთქლის არეში, ეკას კი გულმკერდის არეში მოხვდა. ორივე მათგანი შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა.

საქართველო-კრიმინალისტურმა სამართველომ უბედური შემთხვევის მიზეზად „საქეთქმრენვის“ მიერ აფეთქების უსაფრთხოების ნესების დარღვევა დაადგინა და ბრალი მთლიანად „საქეთქმრენვს“ დააკისრა. თუმცა, გამოძიების მასალებიდან იწვევა, რომ აფეთქებისა მოსახლეობის უსაფრთხოების ნესების დარღვევა დაადგინა და ბრალი მთლიანად დაადგილზევე გვიშალად. შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა.

17 დეკემბრით დათარიღებულ ხელშეკრულებაში წერია, რომ „ხალხისა და მექანიზმების საფრთხის ზონის

ფარგლებიდან გაყვანა დამკვეთს ევალებოდა“. უმუალო დამკვეთი კი ქუთაისის მერია და მერის მოვალეობის შემსრულებელი ზაზა ნუცუბიძე იყო.

ჩვენებაში ზაზა ნუცუბიძე წერს, რომ მას მოსახლეობის ევალუაცია პოლიციას დავალა.

ჯინჭარაძებს უსაფრთხოების-თვის რეკომენდებულ მანძილს სულ 27 მეტრი აძორებდა. თუმცა ისინი აფეთქების ადგილიდან არა 273, არამედ დადგენილ 300 მეტრშიც რომ მდგარიყვნენ, ტრაგედია მაინც გარდაუვალი იქნებოდა. ავტოფარეხი, რომელსაც მოსახლეობა ეფარებოდა, კორპუსებს შორის ჭრილის პირდაპირ იდგა. დაკითხულ მომზეთაგან ყველა ამპოსს, რომ ასეთ ადგილებში გაჩერება, დარსაველიძის მითითებით, მოსახლეობისთვის პატრულს უნდა აეკრძალო.

მოსახლეობის ჩვენებებიდან ირკვევა, რომ პატრული სიტუაციას სრულად ვერ აკონტროლებდა. თვითმხილველები აცხადებენ, რომ აფეთქებამდე რამდენიმე წამით ადრე დედა-შეილი საკუთარი ინიციატივით გადავიდა ავტოფარეხის მეორე მხარეს, რაც პატრულს არც კი შეუმჩნევია. ტერიტორიაზ ამკრძალავი ყვითელი ლენტით შემოფარგლული არ ყოფილა.

გამოძიებას არც პატრულის თანამშრომლების ბრალეულობა არ განუხილავს, და – არც მერიის თანამშრომლების.

ადვოკატ მარინა სვანიძის განმარტებით, ნინასნარი და სასამართლო გამოძიების დროს ბრალდებულებს საჯუთარი უდანმაულობის დამტკიცების საშუალება არ მიეკათ. სასამართლო პროცესების დაწყებამდე გამოძიების მასალები სრულიად ხელმიუწვდომელი იყო როგორც მსჯავრდებულებისთვის, ისე მათი ადვოკატებისთვის.

„გამოძიება არც კომპანიის მიერ გამოყენებული ასაფეთქებელი ნივთიერების შესახებ დოკუმენტაციით დაინტერესებულა. ეს მასალები პრალდების არგუმენტებს აპათილებს“, – აცხადებს ადვოკატი თემურ გვიშანი.

ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, „საქეთქმრენვის“ მემორალის დემონტაჟისთვის 289,700 კგ. ასაფეთქებელი ნივთიერება – მაგნუმ 365 – გამოიყენა, რაც გამოძიების მიხედვით საჭიროზე 121,700 კგ-ით მეტი იყო. თემურ გვიშანის განმარტებით, პროკურატურამ არ გაითვალისწინა ის, რომ კომპანია 19 დეკემბრამ-

დე საცდელ აფეთქებებს ატარებდა მემორიალზე. 289,700 კგ ნივთიერება არა ბოლო დღეს, არამედ ერთი კვირის განმავლობაში დაიხარჯა. არსებობს ამის დამადასტურებელი ჩანაწერები, რასაც გამოძიებამ გვერდი აუკან.

საგამოძიებო სასამართლო ექსპერტიზის დაკვინით, 289,700 კგ ასაფეთქებელი ნივთიერების ერთდღოულად გამოყენება მოსახლეობის 600 მეტრზე ევალუაციას მოითხოვდა. მაგრამ იგივე გამოძიება აცხადებს, რომ „საქეთქმრენვის“ თანამშრომლებმა დანაშაული ჩაიდინეს, როდესაც ხალხი, 300-ის მაგივრად, 273 მეტრზე გაიყვანეს.

წინასწარი და შემდეგ სასამართლო გამოძიების განმავლობაში სასამართლომ ადვოკატების არც ერთი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. მოუხედავად იმისა, რომ სამივე განსაჯელი 60 წელსაა გადაცილებული, ზაყენებული დანაშაულის მუხლი კი მძიმე კატეგორიის დანაშაულს არ განეკუთვნება, პროკურორიმა უარი თქვა გამოძიების დასრულებამდე გირაოს საფასურად მათ გათავისუფლებაზე. ადვოკატების აზრით, ბრალდებულების ნარსულის, დამსახურების დაბრალის გათვალისწინებით, მათვის 3-4 წლის მისჯაც მკაცრი გადაწყვეტილებაა.

„პრეზიდენტს იმედი აქვს, რომ პროკურატურის მიერ დაწყებული გამოძიება მაღლე გამოძიებულს დამაშავების და უკლებლივ ყველას დასჯის“, – განაცხადა საკამავილის პრეს-სპიციერმა მანანა მანჯგვალაძემ აფეთქებიდან მეორე დღეს. პრეზიდენტმა მოგვიანებით „რუსთავი 2“-ის ეთერში პირადად ილაპარაკა უბედურ შემთხვევაზე და დანაშაულის ჩადენაში „ჩანწყობით „გეპერიდამთავრებული“ ამფეთქებლები“ დაადანაშაულა. „ეს იყო ზეწოლა“, – განმარტავს მარინა სვანიძი. „სასამართლოში გადაწყვეტილება დასჯის“ თანამშრომლების მისალები სრულიად ხელმიუწვდომელი იყო როგორც მსჯავრდებულებისთვის, ისე მათი ადვოკატებისთვის.

ადვოკატების განცხადებით, ფაქტები უსედურ შემთხვევაზე მიუთითებს, რაც ყველასგან დამოუკიდებლად მოხდა. ამიტომ დაკავებულთა დასჯილიყვნენ „საქეთქმრენვის“ თანამშრომლები, მიუხედავად საქმის მასალებისა. „ადვოკატების განცხადების განცხადებული ასაფეთქებელი ნივთიერების შესახებ დოკუმენტაციით დაინტერესებულა. ეს მასალები პრალდების არგუმენტებს აპათილებს“, – აცხადებს ადვოკატი თემურ გვიშანი.

„მადლობა!“ „შესრულებულია!“

საკანონმდებლო ორგანოში პრეზიდენტის სავალდებულო წლიური ანგარიში ძალიან ჰქონდა მის გამოსვლას 2007 წლის საგაზაფხულო სესიაზე. „დეუჯა ვუ“-ს განცდას კიდევ უფრო ამძაფრებდა სპეციალური სტუმრები და მოხსენების საზეიმო სულისკვეთება.

ნინო რობაქიძე



ფოტო თბილი სააკაშვილი

■ „მოდით, ამ გაზაფხულზე ყველამ ერთად, ყველა პოლიტიკურმა ძალამ, ვისაც უყვარს საქართველო, მოვინდომოთ და გავაკეთოთ ის, რაც ჯერ არ ყოფილა კავკასიში – ჩავატაროთ დემოკრატიული და თავისუფლი არჩევნები ისე, რომ ნაცენტულმა მხარემ, ვინც არ უნდა იყოს ის, გამარჯვებულს გამარჯვება მიულოცოს“.

■ „მე დაგპირით, რომ გავამყაცრებდი კანონს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესახებ, და ეს დაპირებაც შესრულებულია! იმას ვერ დაგპირდებით, რომ გზაპირი არ დაგვაბა, იმას ვერ დაგპირდებით, რომ ელექტროენერგიის საზეპი არ გაუმჯობესდება, იმას ვერ დაგპირდებით, რომ ახალი სკოლები არ აშენდება, ვერ დაგპირდებით, რომ საავადმყოფოები არ აშენდება, ვერ დაგპირდებით, რომ არ გაგრძელდება ხელფასებისა და პენსიების მატება! ეს არ არის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება – ეს არის, რომ მთავრობა მუშაობს!

მიხეილ სააკაშვილი

საათნახევრიან მოხსენებაში ყველაზე ხშირად გამეორდა სიტყვები: „მადლობა“ და „შესრულებულია!“ პრეზიდენტის სიტყვის შესავალი იმედი იძლეოდა, რომ ქვეყნის პირველი პირი პრობლემურ საკითხებსაც შეეხმარდა, თუმცა საქართველოს ეკონომიკის წარმატებებისთვის მძღვნილ ბლოკს შესრულებული დაპირებებისა და ახალი, სამომავლო გეგმების და იმედების ბლოკი მოჰყვა.

ქართველი ოლიმპიელის, ნოდარ ქუმარიტაშვილის ოჯახისთვის გამოთქმული სამმიმრის შემდეგ პრეზიდენტმა პირველად რეს პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს – სერგეი ილარიონოვს, ვალერია ნოვოდვორსკაიას, ვლადიმირ ბუკინესკის, ლევა ბანჭილოვს განსაკუთრებული მაღლობა უთხრა საქართველოს და, ზოგადად, დემოკრატიული იდეების მსარდაჭერისათვის. „ერთმორწმუნე მტრის“ და „დამპყრობლის“ თემას პრეზიდენტმა ბიგორითი ოპოზიციური ლიდერის რუსულ საოცეპაციო ძალასან კოლაბორაციონიზმის“ დაგმობით გაგრძელდა. ოპოზიციის დანარჩენი წარმომადგენლები კი ქვეყნის პირველ პირს, გადაუწყვეტელ სოციალურ პრობლემებთან ერთად, არსებობდნა სასამართლო რეფორმას, გამამურებულ მკვლელობებსა და დემოკრატიის კუთხით არსებულ პრობლემებს ახსენდდნენ. პავლე კუბლაშვილმა, დეპუტატმა შმართველი პარტიიდან, თავს გამოსვლაში ოპოზიციის წარმომადგენლებს მოუწოდა, რომ მხოლოდ უარყოფითზე არ გაემახვილებინათ ყურადღება, არამედ აღნიშვნათ ის კარგიც, რაც ქვეყანაში კეთდება. სამაგიროდ, პრეზიდენტმა დაუთმო თავისი საათნახევრიან საპარლამენტო ანგარიში მხოლოდ ამ „კარგზე“ საუბარს.

მას არავრერ უთქვაშს საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორებთან ურთიერთობაზე, ევროპინტეგრაციასა და ნატო-შე

ქვეყნის განევრიანებაზე. არადა, პრეზიდენტის პარლამენტში მისელამდე როგორც უმრავლესობის, ისე საპარლამენტო ოპოზიციის წევრები მის სიტყვაში თავდაცვისა და უსაფრთხოების, ასევე ქვეყნის საგარეო ურთიერთობების სტრატეგიულ საკითხებზე მოსაზრებებს ერთდებოდნენ.

„ეს ძალის შემაშოთოებელი ტენდენციაა, რომელიც წინა წელს დაიწყო და, როგორც ჩანს, ისევ გრძელდება – ორი წელია, პრეზიდენტის სიტყვაში ჩრდილოაზეანტიკური ალიანსისთვის და ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის პრობლემებისთვის ადგილი არ მოიძებნა“, – ამბობს რესპუბლიკური პარტიის წევრი თინათინ ხიდაშელი.

პრეზიდენტის მოხსენების ნახევარი საქართველოს ეკონომიკური წარმატებების სამოთვლა დაეთმო. ეკონომიკური და ფისკალური სტაბილურობის შენარჩუნება, საბანკო სისტემის გამძლეობა, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს მოზიდული ინესტიციები მიხედვისათვის 2010 წელს საქართველოს ეკონომიკის 3%-იანი ზრდის იმედს აძლევს. პრეზიდენტმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა სიკლის მუურნებისა სფეროში მიღწეულ წარმატებებსა და ენერგეტიკის სფეროში მოზიდულ მნიშვნელოვან ინვესტიციებს. თუმცა ეკონომიკის ექსპერტებისა და ოპოზიციის წარმატებების აზრით, 3%-იან ეკონომიკური ზრდა, რამდენად სასურველიც უნდა იყოს, მომავლი წლისთვის უბრალოდ განუხორციელებელია, რადგან ქართული ეკონომიკის დროებითი სტაბილურიბა მთლიანად იმ 4,5 მილიარდი საერთაშორისო დამხარების დამსახურებაა, რომელიც საქართველომ ომის შემდეგ მიიღო.

პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ პარლამენტის ტრიბუნასთან საპარლამენტო უმცირესობისა და მართველი გუნდის წარმომადგენლები ცვლიდნენ ერთმანეთს. ქვეყნის „რეკორდსმენი მოღალატეების“ თემა სააკაშვილის შემდეგ გარ თორთობებზე ზოგიერთი ოპოზიციური ლიდერის რუსულ საოცეპაციო ძალასან კოლაბორაციონიზმის“ დაგმობით გაგრძელდა. ოპოზიციის დანარჩენი წარმომადგენლები კი ქვეყნის პირველ პირს, გადაუწყვეტელ სოციალურ პრობლემებთან ერთად, არსებობდნა სასამართლო რეფორმას, გამამურებულ მკვლელობებსა და დემოკრატიის კუთხით არსებულ პრობლემებს ახსენდდნენ. პავლე კუბლაშვილმა, დეპუტატმა შმართველი პარტიიდან, თავს გამოსვლაში ოპოზიციის წარმომადგენლებს მოუწოდა, რომ მხოლოდ უარყოფითზე არ გაემახვილებინათ ყურადღება, არამედ აღნიშვნათ ის კარგიც, რაც ქვეყანაში კეთდება. სამაგიროდ, პრეზიდენტმა დაუთმო თავისი საათნახევრიან საპარლამენტო ანგარიში მხოლოდ ამ „კარგზე“ საუბარს.



ლიბერალი

ყოველკვირეული
„ლიბერალი“
1 მარტიდან

შერწყალის გამოსაცერად დაგვიპავშილდით ფელეფონებზე:

23 37 31, (899) 48 62 41

ან მოგვაწოდეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია

ელ-ფოსტით: info@liberali.ge

**მომხრე****კახა კუკავა****„კონსერვატიული პარტიის“ წევრი**

პრაიმერი ქმნის ხელისუფლების აღტერნატივას. 2007-2009 წლების პოლიტიკური პროცესების დროს, როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო ექსპერტები მიუთითებდნენ, რომ საქართველოს ოპოზიციის უმთავრესი პრობლემა მისი დაქსაქსულობაა. ცალკე აღებული რომელიმე პარტია ან ალიანსი ვერ აღიქმება როგორც ხელისუფლების აღტერნატივა, რომელსაც შეუძლია პასუხისმგებლობა აიღოს ქვეყნის მართვაზე და, შესაბამისად, არ შეუძლია მოიპოვოს საკმარისი მხარდაჭერა, განსაკუთრებით საერთაშორისო წრეებისგან. პრაიმერის შედეგად შესაძლებელია დაქსაქსული ოპოზიციური ძალები წარმოდგენილები იყვნენ როგორც ერთი პოლიტიკური ცენტრი, იმ პირობებში, როდესაც თითოეული პარტია შეინარჩუნებს თავის იდენტურობას და ავტონომიას.

პრაიმერის სასარგებლო ერთ-ერთი არგუმენტი მარტივი არითმეტიკაა. დღეს საქართველოში მოქმედი საარჩევნო სისტემის საფუძველზე, ხელისუფლებამ საქმარისია აიღოს 30%, დანარჩენი 70% ხმას მისცემს ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ ეს ხმები სხვადასხვა პოლიტიკურ სუბიექტებზე გადანაწილდება და მანდატის ხელისუფლება მოიპოვებს. ეს მარტივი არითმეტიკა რეალურად განხორციელდა 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე. გლდანში, სადაც მეტი აიღო ნაციონალური მოძრაობის კანდიდატება, ხოლო სხვა ოპოზიციურმა კანდიდატებმა – 10 000 ხმაზე მეტი. მანდატი ნაციონალურ მოძრაობას გადაეცა. პრაიმერის შემთხვევაში, ოპოზიცია შეძლებდა როგორც გლდანში, ისე თბილისის 10 ოლქიდან 8 ოლქში მანდატის მოპოვებას.

პოლიტიკური სპექტრის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ისაა, რომ სისტემა ჩაჟეტილია და არ არსებობს ამ სისტემაში ახალი სახეების, გნებავთ, ახალი სისტემის გადასხმის არანაირი შესაძლებლობა. პოლო 20 წლის მანძილზე პარტიების უმრავლესობას ერთი და იგივე პირი აფუნქნებს და მისი კარიერის დასრულებასთან ერთად პარტიაც კვდება. თუ ადამიანი არ არის პირად ურთიერთობაში რომელიმე პოლიტიკურ ლიდერთან, არ არსებობს პარტიულ სისტემებში იმტევრაციის არანაირი სხვა ფორმა. პრაიმერი უზრუნველყოფს, რომ საწყისი პოლიტიკური კაპიტალი არა პირადი ურთიერთობები გახდეს, არამედ პოლიტიკოსის პირადი უნარები. ძველ სახეებს ჩაანაცვლებენ ახალი, უფრო უნარიანი პოლიტიკოსები.

პოლიტიკა საქართველოში საჯარო პროცესი ვერ გახდა, ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები კვლავაც კულუარებში და კონსულტაციებზე მიიღება. საზოგადოება ამ პროცესში მონაწილეობას არ იღებს. რამდენიმე პარტიის შეკრება, რომლის შედეგად გაირკვევა, ვინ არის კანდიდატი, როგორია კვოტები და რას წარმოადგენს პროგრამა – არ არის პოლიტიკა. პრაიმერის პროცესში კანდიდატის, კვოტების და პროგრამის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ამომრჩეველი და, შესაბამისად, იქმნება ის, რაც ყველაზე მეტად აკლია ქართულ პოლიტიკას – პოლიტიკური პროცესი, ჯანსაღი პოლიტიკური კონკურენცია.



გამოავლენს თუ არა ერთიანების კანონი

პრაიმერის გაყალბება არის ჩვენი იპონენტების ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი: როგორ შევძლებთ თავი დავიზღვით კარუსელისგან და სხვა არასამართლიანი ჩარევებისგან? ეს პრობლემები არსებობს, მაგრამ – არა მხოლოდ პრაიმერში, არამედ ძირითად არჩევნებზეც და თუკი ჩვენ ვერ შევძლებთ ამ გაყალბებისგან თავის დაცვა პრაიმერში, სადაც წესებს და ადმინისტრაციას ოპოზიცია ქმნის, მაშინ მით უფრო ვერ შევძლებთ ამ გაყალბების დაზღვევას 30 მაისს, სადაც ადმინისტრაციას და წესებს ხელისუფლება ადგენს. პრაიმერი ერთგვარი კონკურსია, სადაც უნდა გამოიკვეთოს არა მხოლოდ ყველაზე რეიტინგული კანდიდატი, არამედ ყველაზე ძლიერი, რომელსაც შეუძლია კონკურენტული იყოს, არა უბრალოდ სოციოლოგიაში, არამედ რეალურ არჩევნებში.

საქართველოში 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებზე ოპოზიციამ გაიმარჯვა. მაშინ შედეგები ყველა დანარჩენმა პარტიამ აღიარა. ეს დემოკრატიული სამყაროს მთავარი წესია, რაც საქართველოში 1990 წლის შემდეგ ვეღარ განმეორდა. პრაიმერი არის პრეცედენტი, რომ შესაძლებელია არჩევნები ჩატარდეს კომპრომისის, პარტიტეტული ადმინისტრაციის პირობებში, გაყალბების გარეშე. პრაიმერით დადგება პრეცედენტი, როცა დამარცხებულები მიულოცავენ გამარჯვებულებს.

მიუხედავად ყველა ზემოაღნიშნული არგუმენტისა, პრაიმერი არ არის იდეა-ფიქსი, ახალი იდეები და ინსტიტუტები საზოგადოებაში როგორც და თანდათან მკვიდრდება, ამიტომ სულაც არ ვთვლი, რომ 2010 წლის არჩევნებზე პრაიმერი ერთიანი კანდიდატის გამოვლენის ერთადერთი შესაძლო შანსია. მთავარია, მოიძებნოს კომპრომისი, რომელიც გაითვალისწინებს ყველა პოლიტიკური სუბიექტის სამართლიან ინტერესებს და საზოგადოების ნებას – გამოიკვეთოს ხელისუფლების რეალური და არა ვირტუალური აღტერნატივი. **■**



მიერ მობილიზებული აქტივისტები, თუ ოპოზიციის რეალური ამომრჩეველი.

მსოფლიოში პრაიმერი ტარდება შიდა პარტიული წესით. იქ არიან რეგისტრირებული წევრები. ყოველთვის წინასწარ იციან, რომ ვინც მოდის, მათი პარტიის ამომრჩეველია, რომლებსაც აქტ პარტიის რეგისტრაციის სპეციალური მონიტორი და ისინი წყვეტენ, ვინ გაიმარჯვებს. ჩვენ შემთხვევაში, ასეთი მექანიზმი არ არსებობს და რომც არსებობდეს, „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტი მაინც თავისუფლად გაივლის რეგისტრაციას. ავუკრძალავთ თუ რა? უნდა ადამიანს ხმის მიცემა და რანაირად უნდა დაუშალო? არც ისაა ძნელი მისახვედრი, რომ ხელისუფლება შეეცდება ოპოზიციის უფრო სუსტი კანდიდატის გაყვანას.

გარდა ამისა, ეს წინასწარი არჩევნები არ მოგვცემს რეალურ სურათს. აქ არ მოვა ყველა ის ამომრჩეველი, ვინც შემდეგ ხმა არჩევნებზე უნდა მოგვცეს. ვინც მივა, მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად შეიცვლება უკვე ძირითადი არჩევნების დროს; ასევე შეუძლებელი იქნება იმის რეგულირება, რომ ყველა ოპოზიციური პარტიის მხარდამჭერი თანაბრად მივიღეს საარჩევნო ყუთთან. როგორც წესი, ყველაზე აქტიურები რადიკალი კანდიდატის მხარდამჭერები არიან. ისინი, ვინც შედარებით ზომიერებით გამოირჩევიან, არჩევნებზე კი მივლენ, მაგრამ პრაიმერზე ან მივლენ, ან – არა. შეიძლება დაეზაროთ. არ იყენენ ისე მოტივირებულები, რომ თავის რჩეულს ხმა რამდენჯერმე მისცენ. ასეთ შემთხვევაში, გამოვა, რომ ოპოზიციის საერთო კანდიდატს პრაიმერით მხოლოდ პარტიული აქტივისტები აირჩევენ. ეს იქნება აქტივისტების შეჯიბრი და არა რეალური ამომრჩევლების.

კიდევ ერთი უხერხულობა: მაშინ, როცა გიგი უგულავა საარჩევნო კამპანიას ატარებს და ყველა გადაცემაში 25-ე კადრივითაა, ოპოზიციური კანდიდატები უნდა დასხდნენ და თვე-ნახევრის განმავლობაში ერთმანეთში დებატები გამართონ. როცა ესენი ერთმანეთს უნდა ეკამათონ და საქმე-ები არჩიონ, უგულავაში ამასობაში კანალიზაციაზე, წყალზე, გაზზე და მშენებლობებზე იღაპარაკოს. მე მგონი, ესეც არაბუნებრივია.

ასევე არანაირი გარანტია არ არის, რომ რადგან პარტიები ერთ კანდიდატზე შეთანხმდებიან, მათი ამომრჩევლებიც ისევე მოიქცევიან. მაგალითად მე თუ მხარს უჭირ ერთს, მგონია, რომ ის კარგი კანდიდატია და და სხვა არავინ არ მომწონს, რატომ უნდა დაგუჭირო მხარი სხვას? რატომ უნდა მივცე ჩემი ხმა იმას, ვინც არ მომწონს და ვისი პოზიციაც არ მიმართა სწორად? მოკლედ, არ არის გამორიცხული, რომ პრაიმერში მონაწილე სხვა კანდიდატის მხარდამჭერებმა ერთიან კანდიდატს მხარი აღარ დაუჭირონ.

ყველა ზემოქმამოთვლილი მიზეზის გამო, მიმაჩნია, რომ ე. წ. პრაიმერის გზით ერთიანი ოპოზიციური კანდიდატის გამოვლენის მცდელობა პრინციპულად არასწორი და მიუღებელია. **¶**

პრაიმერი ოპოზიციის ანლილატის?



მოწინააღმდეგი

დავით ზურაბიშვილი

„რესპუბლიკური პარტიის“ წევრი

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია გაირკვეს, რამდენად შესაძლებელია ერთიანი კანდიდატის იდეის განხორციელება. რას წინაგა ერთიანი კანდიდატი?

თუ ლაპარაკია მთელ ოპოზიციურ სპექტრზე, ეს საერთოდ წარმოუდგენელია. საქართველოში ასამდე ორგანიზაცია, რომელიც თავის თავს პარტიას უწინდებს. თუ ლაპარაკია წარმოუდგენელია, არც აქ გამოდის ე. წ. ერთობა. თვითმმართველობის არჩევნებში არ მონაწილეობენ „ეროვნული ფორუმი“, „ლეიბორისტული პარტია“, ნინო ბურჯანაძის პარტია. იმ ჯგუფში, ვინც პრაიმერის იდეას ემხრობა, არის ისეთი პარტიები, რომლებიც არავისთვის არ არის ცნობილი. მათი უშუალო ნაცნობების გარდა, მაგალითად – „ქრისტიანული საქართველო“, ან „მამულიშვილი“.

თავიდან პრაიმერის იდეა „ალიანსშიც“ განიხილებოდა, თუმცა სიტუაციის ანალიზის შემდეგ მიიხვდით, რომ ეს ნამდვილად არ არის საუკეთესო გზა ერთიანი კანდიდატის გამოსავლენად. ამ იდეას აქვს ძალიან ბევრი სერიოზული მინუსი.

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ აქ არ არსებობს არანაირი კონტროლის მექანიზმი. შეუძლებელია, ხელი შეუშალო ხელისუფლებას, რომ არ ჩაერიოს პროცესში და ოპოზიციური არჩევნები მისთვის სასურველი კანდიდატის სასარგებლობ არ გადაწყვიტოს. მმართველი ძალა ნებისმიერ შემთხვევაში შეეცდება, თავისი ინტერესები გაატაროს. შეუძლებელი იქნება იმის გარჩევა, ვინ მივა პრაიმერზე ხმის მისაცემად – „ნაციონალური მოძრაობის“

საარჩევნო სისტემის შეფასება ცივი გონიერით



მიზეზი, რის გამოც თბილისის მერის არჩევნების წინ ოპოზიციური პრაიმერის ჩატარების საკითხი დგება, საარჩევნო სისტემაში უნდა ვეძებოთ. პრაიმერის საჭიროება გამოიწვია მთავრობის გადაწყვეტილებამ, რომ არ ყოფილიყო 50%-იანი ბარიერი.

მარკ მალენი

ზუსტი ციფრებით აპელირება გამიჭირდება, თუმცა პირობითად ავილოთ, რომ თბილისის მოსახლეობის ერთი მესამედი სახელისუფლებო კანდიდატს მისცემს ხმას, მეორე მესამედი სახელისუფლებო კანდიდატის წინააღმდეგ მისცემს ხმას, ხოლო დანარჩენი ნეიტრალური ამომრჩეველია, რომელიც გადაწყვეტილებას არჩევნების დღეს მიიღებს – ხმას მისცემს ხელისუფლების ან ოპოზიციის კანდიდატს.

50%-იანი ბარიერით ამომრჩევლებს შეეძლოთ, მიეცათ ხმა ნებისმიერი კანდიდატისთვის, ვინც მოეწონებოდათ და თან დარწმუნებით ეცოდინებოდათ, რომ მეორე ტური სახელისუფლებო კანდიდატს და რომელიმე სხვა კანდიდატს შორის აუცილებლად შედგებოდა. ახლა კი, როდესაც 50%-იანი ბარიერი არ გვაქვს, ოპოზიცია გაყოფილი იქნება, ნეიტრალური ამომრჩევლის ხმათა ნაწილი კი გადანაწილდება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. 50%-იანი ბარიერის არარსებობამ ელექტორატის ნეიტრალური მესამედის გამოთხვევა და არჩევნების პოლარიზება მოახდინა.

ეს ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ ხელისუფლებას მოგების მეტი შანსი აქვს, ხმათა უმცირესობითაც კი. თეორიულად, სახელისუფლებო კანდიდატი შეიძლება მერი გახდეს ხმათა 31%-ით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ 69% ხმას მის წინააღმდეგ მისცემს. ეს საქართველოსთვის ძალზე საშიში შედეგია. მაგრამ თუ პრაიმერის იდეა იმუშავებს და ოპოზიციის საერთო კანდიდატზე იქნება კონსენსუსი, ამომრჩევლის ნაწილი მას მისცემს ხმას, ნაწილი – სახელისუფლებო კანდიდატს, და არჩევნების ბედს მაინც ნეიტრალური ამომრჩეველი გადაწყვეტს.

სამწუხაროდ, ამჟამინდელი სისტემის პირობებში, ამომრჩევებს ძალიან უხეში გზით უწევთ გადაწყვეტილების მიღება. მათ მხოლოდ ერთი კანდიდატი უნდა აირჩიონ. პრეფერენციული საარჩევნო სისტემის შემთხვევაში, ამომრჩეველს შეუძლია კანდიდატებისთვის სარეიტინგო ქულის მინიჭება

და იმარჯვებს კონსენსუსის შედეგად არჩეული კანდიდატი, იმის მაგივრად, რომ ამომრჩევლები აიძულონ, აირჩიონ ის, ვინც ყველაზე მეტად არ მოსწონთ.

ხელისუფლებამ საკუთარი გზა გაიადვილა იმით, რომ არ დაუშვა 50%-იანი ბარიერის არსებობა და ოპოზიციურ

პარტიებს პრაიმერის ორგანიზება აიძულა. ეს გადაწყვეტილება იპოზიციური პარტიების ყველაზე უარეს ინსტინქტებზე მოქმედებს. ისინი ცდილობენ იმის გადაწყვეტას, თუ ვინ დაიკავებს ადგილს მაგიდასთან, გაუთავებელი კინკლაბით და დისკუსიებით იმ პარტიების გამოსარჩევად, რომელსაც უფრო ცოტა მხარდამჭერი ჰყავთ. ამომრჩევლისთვის ეს პროცესი უაზრო და გამაღიზიანებელია. არჩევნების ორგანიზება არც ისე ადვილი საქმეა და სხვადასხვა ოპოზიციურმა ჯგუფმა, დაგეგმვისა და განხორციელების კუთხით, განსაკუთრებული ნიჭი ჯერჯერობით ვერ გამოავლინა. რა თემა უნდა, ლია პრაიმერზეა საუბარი – ანუ ხელისუფლების მომზრებებს შეუძლიათ, მიღლონ მონაწილეობა და ამით დისონანსი შეიტანონ. ამ პროცესს ქართული პოლიტიკის ყველაზე ცუდი ასპექტები გამოაქვს სა-აშკარაოზე.

ქართული პოლიტიკა ცუდია არა იმიტომ, რომ პოლიტიკაა

■ ხელისუფლებამ საკუთარი გზა გაიადვილა იმით, რომ არ დაუშვა 50%-იანი ბარიერის არსებობა და ოპოზიციურ პარტიებს პრაიმერის ორგანიზება აიძულა.

ცუდი ან იმიტომ, რომ საქართველოს რამე განსაკუთრებული ნაკლი აქვს. მთავარი პრობლემა სისტემაშია. პოლიტიკური პროცესი ჰგავს ნებისმიერ ჩვეულებრივ აქტივობას, ანუ განისაზღვრება მისი სისტემით. მაგრამ სისტემა არასდროს დაიხვეწება კონკურენციის სტრუქტურის ქვეშ. ამიტომ, ამჯერად სისტემის გასაუმჯობესებლად ჯობს არჩევნების შემდეგი წელი გამოვიყენოთ, როდესაც გაკვეთილები ჯერ კიდევ გვემახსოვრება. მომავალ არჩევნებამდე ერთი წლით ადრე ამის გაკეთება უკვე შეუძლებელი იქნება. ■



■ პოლიტიკურ პარტიების შეკრება NDI-ის ოფისში, თბილისი 2009



შრომის ფასი

ხელისუფლებასა და პროფესიული სოციალური დიალოგი აუცილებელია საქართველოს ევროინტეგრაციისათვის.

ალექსანდრე სკრივენერი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“



მასწავლებლები 2 მარტს გაფიცვას გეგმავენ. როგორც ისინი ამბობენ, ამ დღეს პედაგოგები მთელი საქართველოს მასშტაბით უარს იტყვიან საკლასო ოთახებში მუშაობაზე.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა – რატომ? მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლების ხელფასი პოლო წლების მანძილზე მკვეთრად გაიზარდა, ის მანც საქმაოდ დაბალია. ამას გარდა, ბევრი სკოლა ჯერ კიდევ კეთილმოუწყობელია და პედაგოგებს საქმაოდ რთულ პირობებში უწევთ მუშაობა. ამ პრობლემების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ის არის, რომ განათლე-

ბის ბიუჯეტი საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 3%-ზე ნაკლებს შეადგენს.

თუმცა, „საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფესიი“ არა ხელფასების გაზრდის ან სამუშაო პირობების გაუმჯობესების, არამედ სოციალური დიალოგის გაუმჯობესების მოთხოვნით აპირებს გაფიცვას.

რას ნიშნავს ჯანსაღი სოციალური დიალოგი?

სოციალური დიალოგი გულისხმობს სამმართველოს ურთიერთობას დამსაქმებელს, პროფესიული სამსახურებსა და დამსაქმებლებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

სუფლებას შორის. პროფესიულები დასაქმებულთა ინტერესებს იცავენ, დამსაქმებელთა ასოციაცია – ბიზნესის ინტერესებს, ხელისუფლება კი მედიატორის ფუნქციას ასრულებს. მან უნდა გაატაროს დაბალნისებული პოლიტიკა და იზრუნოს იმაზე, რომ ორივე მხარის ინტერესები შეძლებას-დაგვარად გათვალისწინებული იყოს.

სამწუხაროდ, საქართველოში ეს სისტემა ცუდად მუშაობს. ახალი შრომის კოდექსი 2006 წელს პარლამენტმა ისე დაამტკიცა, რომ მისი შემუშავების პროცესში პროფესიული მონაწილეობა არ მიუღიათ.

ყოველკვირეული „ლიბერალი“ 1 მარტიდან



ციბიჩილი

შურალის გამოსაცერად
დაგვიკავშირდით ფელეფონიზაზი:
23 37 31, (899) 48 62 41
ან მოგვაწოდეთ თქვენი
საკონტაქტო ინფორმაცია
ელ-ფოსტით: info@liberali.ge

მოქმედი კოდექსი „შრომის საერთა-შორისო ორგანიზაციის“ (ILO) სტანდარტებს არ შეესაბამება. ამ ორგანიზაციის შეფასებით, ის საკმარისად ვერ იცავს დასაქმებულებს დისკრიმინაციისგან. საქართველოს პროფესიული მტკიცებით, არსებობს არა ერთი ფაქტი იმისა, თუ როგორ გაათავისუფლეს ადამიანები სამსახურიდან პროფესიული კადრები ან პოლიტიკური საქმიანობის გამო.

შრომის კოდექსში მნიშვნელოვანი ხარვეზების არსებობა სწორედ იმის შედეგია, რომ მისი მომზადების პერიოდში სოციალური დიალოგი არ არსებობდა.

2006 წელთან შედარებით სიტუაცია ამ მხრივ შედარებით გამოსწორდა. ILO-ს შუამდგომლობით მიღწეულ იქნა შეთანხმება ყოველთვიური სამშხრივი შეხვედრების გამართვის შესახებ. ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ჩანდა, რომ ეს დიალოგი შედეგს გამოიდებდა. გასული წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე პროფესიული კადრები დამსაქმებლები და ხელისუფლება შეთანხმდნენ, რომ შრომის კოდექსში ცვლილებები შევიდონდა, მაგრამ მოგვიანებით ხელისუფლება ისევ ძველ პოზიციას დაუბრუნდა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ამ საკითხთან დაკავშირებულ კითხვაზე მთავრობამ უპასუხა, რომ კოდექსის შეცვლის არანაირი გეგმა არ არსებობს და რომ საქართველოს შრომის კოდექსი ერთ-ერთი ყველაზე „ლიბერალური“ კოდექსია მსოფლიოში, რაც, ხელისუფლების აზრით, პოზიტიური მოვლენაა.

სავარაუდოდ, რამდენიმე თვის წინ მიღწეულ შეთანხმებას ხელისუფლების „ნეოლიტურალური“ ფრთა დაუპირისპირდა. მთავრობის წარმომადგენლების გარკვეულ ნაწილში არსებობს მოსაზრება, რომ ნებისმიერი რეგულაცია, თუნდაც შრომის ძირითადი უფლებების დაცვისკენ მიმართული, ბიზნესის განვითარებასა და ინვესტიციების მოზიდვას ხელს უშლის; ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საუკეთესო გზა დერეგულაცია; გადასახადებისა და ბიუროკრატიის შემცირება საქართველოს უფრო მიზიდველს ხდის ინვესტორების; შრომითი უფლებების დაცვაზე ორიენტირებული შრომის კოდექსი კი მათ მხოლოდ დააფრთხოებს, ამიტომ, ჯობს, შრომის კოდექსი შეზღუდვებითა და მოთხოვნებით გადატვირთული არ იყოს. ბუნებრივია, ამ მიდგომაში გარკვეული ლოგიკა

არსებობს, თუმცა თუ „ლიბერალური“ შრომის კოდექსი მრომითი უფლებების იგნორირებას გულისხმობს, ძნელია, ასეთ პრინციპს მხარი დაუჭირო.

შრომითი უფლებების დაცვა ბიზნესისთვის საფრთხეს არ უნდა წარმოადგენდეს. მართალია, ინვესტორებისთვის „მოქნილი“ და შრომისუნარიანი შრომითი ბაზარი მომხიბვლელია, თუმცა ჯანსაღ ბიზნესს არა ყურმოქრილი მონები, არამედ განათლებული და კვალიფიციური კადრები სჭირდება, განათლებული და კვალიფიციური კადრები კი შრომითი უფლებების დაცვაზე აკეთებენ აქცენტს.

სკანდინავიის ქვეყნებში დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება ძალიან რთულია, მაგრამ ეს ქვეყნები ინვესტორებისთვის მაინც ძალიან მიმზიდველია. ამ მდგომარეობას სკანდინავიამ იმით მიაღწია, რომ განათლებაში მეტი რესურსები დააბანდა და შრომითი უფლებების დაცვა საერთაშორისო სტანდარტებს შეუსაბამა. საქართველოც ამ მიმართულებით უნდა წავიდეს. მან, ერთი მხრივ, განათლების სისტემის განვითარებაზე უნდა იზრუნოს და მეორე მხრივ – ILO-ს მოთხოვნების დაკამაყოფილებაზე. თუ დასაქმებული დარწმუნებული იქნება, რომ მისი პროფესიულური და პოლიტიკური საქმიანობა სამსახურის შენარჩუნების კუთხით საფრთხის შემცველი არ იქნება, ეს დამსაქმებელზეც დადგებითად იმოქმედებს, რადგან კმაყოფილი და თავისუფალი თანამშრომელი, როგორც წესი, კარგი თანამშრომელიცაა.

ამჯერად ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, თუ როგორ განვითარდება მოვლენები. თუ ILO-ს სტანდარტები არ დაკამაყოფილდა, საფრთხის ქვეშ დადგება GSP+ სტატუსი, რომლის საშუალებითაც ქართველი ექსპორტორები ვაჭრობის პრეფერენციული რეჟიმით სარგებლობენ. ამდენად, შრომითი უფლებების საკითხებში ე.წ. „პრო-ბიზნესური“ პოლიტიკა, შესაძლოა, ისევ ქართული ბიზნესისთვის აღმოჩნდეს ცუდი.

გარდა ამისა, თუ ხელისუფლება პროფესიულებითან ჯანსაღ სოციალურ დიალოგს გამართავს და შრომის კოდექსს შეცვლის, ეს იქნება მნიშვნელოვანი შეტყობინება ევროკავშირისთვის, რომ საქართველო მის წინაშე აღებულ ვალდებულებებს სერიოზულად უდგება, რაც ქვეყნის ევროინტეგრაციასაც შეუწყობს ხელს.

3ლალიმირ ბუკოვსკი:

საბჭოთა კავშირი პერიოდის დამთავრებულა

ინტერვიუ ვლადიმირ ბუკოვსკისთან

თბილისში, „ახალი ეკონომიკური სკოლისა“ და ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის მოწვევით, ლექციებს მართავს რუსი მწერალი და დისიდენტი ვლადიმირ ბუკოვსკი; ადამიანი, ვინც, „ბოროტების იმპერიასთან“ დაპირისპირების გამო, არა მარტო საბჭოთა ბანაკებში, არამედ ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში არაერთი წელი გაატარა. შემდეგ კი ეს ყველაფერი საკუთარ წიგნებში აღწერა. 1978 წელს, სწორედ მისი მოგონებების წიგნის „და ქარი ბრუნდება“ გამოცემის შემდეგ შეიტყო მსოფლიომ, რა ხდებოდა საბჭოთა „ფსიქუშებში“ და როგორ იყენებდა ფსიქიატრიას სსრკ-ს ხელისუფლება პოლიტიკურად არასასურველი ადამიანების წინააღმდეგ.

თქვენ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაუპირისპირდით რუსეთის იმდროინდელ ხელისუფლებას. რა იყო მაშინ ამის მიზეზი?

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იმდროინდელი პარტიული ელიტის ფილმა ნაწილმა საკუთარი მდგომარეობისა და ფულის გადარჩენა შეძლო. ელცინმა კომუნისტური პარტია დამალა, რაზეც მაშინდელი პარტიული ხელმძღვანელების უმეტესობას დიდად არ უდარდია – უკვე აღარაფერში სჭირდებოდათ პარტია. იცოდნენ, საკუთარი თავი უნდა გადაერჩინათ. ის, რაც მაშინ უნდა გაკეთებულიყო, და რასაც ელცინს ვთხოვდით, მიზეზთა გამო, ვერ გაკეთდა. ვთვლიდით, რომ კომუნისტების დანაშაულებები წიგნებრივის პროცესის მსგავს სასამართლოზე უნდა გამოევლინათ და დამნაშავები დაესაჯათ. ელცინს ვუხსნიდით, ამას თუ არ გააკეთებდა, კომუნისტები ძალიან მაღლ გაცოცხლდებოდნენ და თვითონ მას სწვდებოდნენ ყელში. კომუნიზმი ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრებულიყო; უნდა გახსნილიყო არქივები და ყველას გაეგო მათი დანაშაულებების შესახებ. სანქუხაროდ, მაშინ ელცინის დარწმუნება ვერ მოვახდებათ. ის ყოყმანობდა – ცხადია, ხვდებოდა, რომ ამ პროცესის შემდეგ დიდ პოლიტიკაში ვეღარ დარჩებოდა. მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი როლი დასავლეთის ზენოლამ შეასრულა. თავად მინახავს, საელჩოებში როგორ მოდიოდა დეპე-

შების დასტები დასავლეთის ქვეყნებიდან, სადაც პირდაპირ ეწერა, რომ ისინი კატეგორიულად ენინააღმდეგებოდნენ საბჭოთა არქივების გახსნას და ახალ წიგნებრივი პროცესს. ასე რომ, საბჭოთა კავშირი ჯერ არ დამთავრებულა.

1992 წელს რუსეთის მოქალაქეობაზე უარი თქვით იმის გამო, რომ მაშინდელი კონსტიტუცია მიუღებელი იყო თქვენთვის. კონკრეტულად რა არ მოგონდათ კონსტიტუციაში?

დავიწყებ იმით, რომ უარი კი ვთქვი, მაგრამ რუსეთის მოქალაქეობისგან გათავისუფლება მაინც ვერ მოვახდებე იმ უპრალო მიზეზის გამო, რომ მაშინ შესაბამის პროცედურა არ არსებობდა. რუსეთის საელჩოში მივედი და პასპორტი ჩავაბარე, მაგრამ უარი მითხრეს. რა ვუყოთ ამ პასპორტს, სად შევინახოთ, ჯობს, დაელოდოთ იმ დროს, როცა რუსეთი მოქალაქეობაზე უარის თქმის პროცედურას შეიიტავებესო. ასე დამრჩა პასპორტი და მიმავიწყდა კიდეც მანამდე, ვიდრე არ დამტირდა. საქმე ისაა, რომ 2008 წელს პრეზიდენტობის კანდიდატად დამასახელეს, დიდ ბრიტანეთის პასპორტით კი რუსეთში დახსლოებით 15 წლის განმავლობაში ვერ ჩავდიოდი – ვიზას არ მაძლევდნენ. მაშინ გამასხენდა, რომ სადაც მეგდო რუსეთის ვადაგასაული პასპორტი. წავედი საკონსულოში და ვითხოვე, გაეგრძელებინათ. უპრობლემოდ გამიგრძელეს



■ ვთვლიდით, რომ კომუნისტების დანაშაულებები წიგნებრივის პროცესის მსგავს სასამართლოზე უნდა გამოევლინათ და დამნაშავები დაესაჯათ. კომუნიზმი ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრებულიყო; უნდა გახსნილიყო არქივები და ყველას გაეგო მათი დანაშაულებების შესახებ. სანქუხაროდ, მაშინ ელცინის დარწმუნება ვერ მოვახდებათ. ის ყოყმანობდა – ცხადია, ხვდებოდა, რომ ამ პროცესის შემდეგ დიდ პოლიტიკაში ვეღარ დარჩებოდა. მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი როლი დასავლეთის ზენოლამ შეასრულა. თავად მინახავს, საელჩოებში როგორ მოდიოდა დეპე-

ვადა. ასე მოვახერხე რუსეთში ჩასვლა და იმის შემდეგ ყოველთვის ჩავდი- ვარ, როცა მინდა.

1993 წლის კონსტიტუცია უმსგა- ვსი იყო და ისეთივე დარჩა. ერთი მიზეზი, რის გამოც მე ვერ მივდე რუსეთის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება, სწორედ ის იყო, რომ კონსტიტუციაში ჩაწერეს: ვისაც 10 წლის განმავლობაში რუსეთ- ში არ უცხოვრია, კენჭისყრის უფლება არა აქვსო. იდიოტური მოთხოვნა იყო. ვის უნდა უცხოვრა 1993 წელს რუსეთში 10 წლი? რუსეთის სახელ- მწიფო 1991 წელს შეიქმნა. ხომ სისუ- ლელე?! კონსტიტუციაში სხვა ბევრი ამგვარი და უარესი სისულელები ეწერა. მისმა ავტორებმა პირდაპირ დაკავშირეს საბჭოთა კონსტიტუცია. ჩაწერეს სოციალისტური უფლებები და მოვალეობები – მაგალითად ის, რომ რუსეთის მოქალაქეებს შრომის და დასვენების უფლება აქვს. კონსტი- ტუცია ელცინზე იყო მორგებული და მისი ზედამხედველობის ქვეშ იწერე- ბოდა. რა ევალება კონსტიტუციას? მან ძალიან ზოგადი და საყოველთაო კანონები სამართლებრივად უნდა განსაზღვროს. მაშინდელი რუსეთს კონსტიტუცია კი ელცინისთვის და- წერილი პროგანდისტული ქალალდი იყო და სხვა არაფერი.

თქვენ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვით, რომ დღევანდელ რუსეთში ფსიქია- ტრიის სადამსჯელო მიზნებისთვის გამოყენების ტრადიცია აღდგა. შეგი- ძლიათ თუ არა კონკრეტული მაგალი- თები დაგვისახელოთ?

სწორედ ეს გადა იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ პრეზიდენტობის კანდი- დატად ჩემ დასახელებას დავთანხმდი – რუსეთში ფსიქიატრიის სადამსჯელო მიზნებისთვის გამოყენების ფაქტები გამოირდა. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ პოლიტიკური მიზნებით ხდებოდა. პეტერბურგში ერთი ქალბატონი ფსი- ქიატრიულში პოლიტიკური მოღვაწე- ობის გამო მოხვდა. ამ ფაქტის შემდეგ უფლებადამცველებმა გამოიკვლიერ და აღმოჩნდა, რომ ამგვარი რამ ხშირად ხდებოდა, განსაკუთრებულად – პროვინციაში ხელისუფლების კონსტიტუციის მინიჭივით. მაგალითად იმის შემდეგ და რომ ამგვარი რამ ხშირად ხდებოდა, განსაკუთრებული ხელისუფლების კი არა, ადგილობრივი მმართველების ინიციატივით. მაგალითად, უურნა- ლისტი იძიებდა რომელიმე ჩინოვ- ნიკის მონაწილეობას კორუფციულ გარიგებებში, მას დაიჭირდნენ და ფსიქიატრიულში მიჰყავდათ.

მოაღწია ინფორმაციამ იმის შესახე- ბაც, რომ რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩატარდა პრიფინგი, სა- დაც რეგიონების წარმომადგენლებიც მიიწვიეს და თქვეს, რომ ფსიქიატრიუ- ლი კლინიკები და ნარკოტიკები უფრო მეტად უნდა ყოფილო გამოყენებული სამართალდამცავთა მიერ. გასაგე- ბია, რასაც გულისიმბობდნენ – უნდა ჩავდოთ ნარკოტიკები და ხალხი ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში გაემნებინათ. ეს ამბავი ამ პრიფინ- გის ერთ-ერთი მონაწილისგან გავიგე. ცაგდი გახდა, რომ ეს უკვე ცენტრა- ლური ხელისუფლების გადაწყვეტილე- ბა იყო და ისინი არ გაჩერდებოდნენ. ამიტომაც მჭირდებოდა საპრეზიდენტო კამპანია, რომ ეს სიმახინჯე სათავეში- ვე ჩაგვეკლა და გაგვეთავს უფლებინა ის პოლიტიკატიმრები, რომლებიც ფსი- ქიატრიულ საავადმყოფოებში ჰყავდათ გამოეტილი, რაც საბოლოოდ მოვა- ხერხეთ კიდეც დღეს, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, რუსეთში ასეთი პატიმრები აღარ არსებობენ.

რას იტყვით რუსეთის დღევანდელ მდგრმარებაზე?

დავიწყოთ ეკონომიკური კრიზისი- დან, რაც, ბუნებრივია, მარტო რუსეთს არ ეხება. რუსული ეკონომიკის კატას- ტროფული ვარდნა მსოფლიო კრიზისს უკავშირდება, მაგრამ დასავლეთში კრიზისი უკან იხევს, რუსეთში კი ჯერჯერობით ამგვარი პროცესები არ შეიმჩნევა. წარმოების ვარდნა და უმუ- შეებრობის ზრდა ინფლაციის ფონზე რუსეთს დიდი საშიშროების პირისპირ აყენებს. ქვეყნიდან დიდი კაპიტალი გაედინება, ინვესტიციები კი კატას- ტროფულად შემცირდა. ეს რუსეთის მძიმე რეალობაა. ამასთან ერთად, სოციალური კრიზისიც იზრდება, დღე- ვანდელ რუსეთში უბრალო ადამიანე- ბისთვის ცხოვრება აუტანელია. ახლა კომუნალური გადასახადებიც გაზარ- დეს, რასაც მასობრივი გამოსვლები მოჰყავა. როცა კალინინგრადის გუბერ- ნიაში 12 000 კაცი გამოდის, ეს უკვე სერიოზული პროტესტია. სოციალური დაძაბულობა დღითი დღე იზრდება. ადამიანები ხედებიან, რომ არანაირი პერსპექტივა არ აქვთ.

როგორ ფიქრობთ, ის ნეონაციისტური დაჯგუფებები, რომლებიც დღევანდელ რუსეთში ძალიან ძლიერია, რამდენა- და კონტროლირებადი ცენტრალური ხელისუფლების მიერ?

ნეონაციისტური მოძრაობა რუსეთ- ში ჯერ კიდევ გორბაჩიოვის დროს შეიქმნა, მაშინ საკმაოდ ძლიერი იყო საზოგადოება „პამიატი“, ვასილე- ვის ხელმძღვანელობით, რომელსაც მთლიანად ქრისტიანულებია. პუტინის სათავეში მოსვლის შემდეგ, როდესაც ნეონაციისტური განწყობები გაძლიერდა და ეს დაჯგუფებები გაჩდა, ხელისუფლება შათ კარგად იყენებდა სათავესოდ. ეს ერთგვარი ხერხი იყო ინტელიგენციის დასაში- ნებლად. რეუიმი ამბობდა: გინდათ, თავისუფლება? თავისუფლება მხო- ლოდ თქვენ არ გექნებათ, ამათვი- საც იქნება თავისუფლება და ამიტომ, ჯობს, ჩენი კონტროლი აიტანოთ. მაშინ ხელს უწყობდნენ ნეონაციის- ტებს. ახლა, როდესაც ეს მოძრაობა გაიზარდა, ხელისუფლება უკვე ველარ აკონტროლებს მათ. შესაძლებელია, კრემლში ხედებიან, რომ ნეონაციის- ტები ხელისუფლებასაც უქმნიან საფრთხეს, ეს კიდევ ერთი საშიში ძალაა, რომელიც ისევ მათ წინააღმ- დეგ იქნება მიმართული. ცოტა ხნის წინ რამდენიმე სასამართლო პროცესი გაიმართა, სადაც ნეონაციისტები დასა- ჯეს. ამგვარი რამ ადრე არ ხდებოდა. ადრე მათ თუ აკავებდნენ, მაშინვე უშვებდნენ. ცხადია, რუსეთის ხელი- სუფლებას უკონტროლო ფაშისტები საკუთარ ტერიტორიაზე არ სჭირდება.

რით განსხვავდება დღევანდელი უფლე- ბადაცვითი მოძრაობა თქვენი, საბჭოთა დისიდენტების საქმიანობისგან?

უდიდესი განსხვავდება. დღევანდელ საქართველოშიც და ყველა ნორმა- ლურ ქვეყანაში ადამიანის უფლებებს იურისტები სასამართლოებში იცავენ. საბჭოთა კავშირში სასამართლო არ არსებობდა. ამიტომაც, ფიზიკოსე- ბი, მათემატიკოსები, ფილოლოგე- ბი ვიკრიბებოდით სამზარეულოში და გერმანისტებით, როგორ დაგვეცვა საკუთარ ტერიტორიაზე არ სჭირდება. ჩენები გორბაჩიოვის მიზანი და უმუშეს რეალობაა. ამასთან ერთად, სოციალური კრიზისიც იზრდება, დღე- ვანდელ რუსეთში უბრალო ადამიანე- ბისთვის ცხოვრება აუტანელია. ახლა კომუნალური გადასახადებიც გაზარ- დეს, რასაც მასობრივი გამოსვლები მოჰყავა. როცა კალინინგრადის გუბერ- ნიაში 12 000 კაცი გამოდის, ეს უკვე სერიოზული პროტესტია. სოციალური დაძაბულობა დღითი დღე იზრდება. ადამიანები ხედებიან, რომ არანაირი პერსპექტივა არ აქვთ.

სასამართლოში წყდება. არის „საერთაშორისო ამნისტია“, რომელიც არა ინგლისში, არამედ მოლვანეობს მსო-



■ გამსახურდია ჩემზე ძალიან ნაწყენი იყო, რადგან ერთ-ერთ ინტერვიუში ვთქვი, რომ KGB-ს მიერ გატეხილი ადამიანების ქვეყნის პირველ პირად არჩევა არ ღირდა, რადგან მათი ფსიქიკა მდგრადი ვერ იქნებოდა. როგორც გადმომცეს, გამსახურდია ისე გაბრაზებულა, უთქვას, – ბუკოვსკის სიკვდლით დავსჯო; რამაც მე ძალან გამახალისა. შევუთვალე: აქ ვარ, ლონდონში და მოდი, დამხერიტე-მეთქი.

დღეს, განსაკუთრებით აგვისტოს ომის შემდეგ, საქართველოს მოქალაქეების დიდ ნაწილს აქვს განცდა, რომ საქართველო რუსეთის პოლიტიკის მსვერ-პლია. დასავლეთიდან ჩანს ასე?

გაჩნია ვინ უყურებს. ვიღაც ამ მოვლენებს სწორედ ასე ხედვს, ვიღაც – არა. რუსეთ-საქართველოს ომში ერთი უსამოვნო მომენტი ნამდვილად იყო: თქვენმა პრეზიდენტმა ვერ მოითმინა, რუსეთის პროვოკაციას ნამოეგო და

ფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც ადამიანის ფუნდამენტური უფლებები ირღვევა.

იმათანან შედარებით, ვინც პუტინის რეჟიმს დღეს უპირისპირდება, საბჭოთა დროის დისიდენტების მდგომარეობა გაცილებით ძნელი და მძიმე იყო. დღეს ინტერნეტის ეპოქაში ინფორმაცია ხელმისაწვდომია, მაშინ ეს ყველაფერი არ იყო. ბოლოს და ბოლოს, დღეს შეიძლება ქვეყნიდან ნასვლა, საბჭოთა დროს კი შეუძლებელი იყო. ახალგაზრდები, რომელებიც პუტინის ხელისუფლებას ვერ ეგუებიან, რუსეთიდან მიდიან, რაც ლოგოკურია. ახალგაზრდა, ნიჭიერი ხალხია, რა უნდა აკეთონ დღევანდელ რუსეთში? თანაც პოლიტიკოსები არ არიან, მიდიან დასავლეთში და მეცნიერებასა და ხელოვნებაში აგრძელებენ მოღვაწეობას. რუსეთის მოსახლეობა ყოველწლიურად 800 000 ადამიანით მცირდება. მართალია, რუსეთში სიკვდილიანობა აჭარბებს შობადობას, მაგრამ ამ კლების დიდი ნაწილი სწორედ ემიგრანტებზე მოდის.

როგორია თქვენი დამოკიდებულება რუსული ნაციონალიზმის მიმართ?

ჩემი თაობა ნაციონალიზმს არ ცნობდა. რა არის რუსული ნაციონალიზმი? ეს კრემლი ქმნის რაღაც ნაციონალიზმს, თავს ახვევს საზოგადოებას, სადაც ამგვარი განწყობები არ არის ძლიერი. პატარა ქვეყანაში, რომელიც იძულებულია, თავი დაიცვას გარეშე მტრებსგან, შეიძლება იყოს ნაციონალისტური განწყობები და ამაში არაფერია დასაძრავი. ეს ნორმალური მოვლენაა. მაგრამ როდესაც უდიდეს ქვეყანაში მთავარ იდეოლოგია ნაციონალიზმი იქცევა, ცოტა უცნაურია. რას გულისხმობენ, რა არ ყოფინით, ვისი ეშინიათ? არის სახელმწიფო, არის არჩევნები, მიდი და დაამყარე დემოკრატია, რა შეაშია ნაციონალიზმი? მე და ჩემი კოლეგები, საბჭოთა დისიდენტები, ყველანი ძალიან კრიტიკულად ვიყავით განწყობლი სახელმწიფოს მიმართ და ამის მიზეზებიც გვქონდა როგორც საბჭოთა დროს, ისე მისი დამლის შე-

ცხინვალში შევიდა. ცხადია, რუსეთის ხელისუფლებამ ეს ფაქტი მყისერად გამოიყენა და დასავლეთს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ქართველები ოსეთში შეიქრნენ, აგრესორები არიან, ხალხი დახოცეს. ჩვენ მხოლოდ ვიცავდით, ჩვენ ხომ მშვიდობის მყოფელები ვართო; თანაც მათ ნამდვილად ჰქონდათ ეს სტატუსი. ვთვლი, რომ ეს საქართველოს ხელისუფლების დიდი და სერიოზული პილიტიკური შეცდომა იყო. მესმის, სააკაშვილს ძალან უჭირდა ეყურებინა, როგორ იბომბებოდა ქართული სოფლები და არაფერი გაეკეთებინა. მაშინ საკუთარი ხალხის თვალში დაკარგავდა რეპუტაციას. თანაც მგონია, სააკაშვილს ესმოდა – მის შექრას ცხინვალში რუსეთის აგრესია ნამდვილად მოპყვებოდა. ძალიან მძიმე დღეში იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც მოთმენა ჯობდა. როგორც კი ეს ამბავი გავიგე, და საინფორმაციო გადაცემებს ვუმტენდი, სულ ამას ვამბობდი: „როგორ ვერ მიითმინა სააკაშვილმა, როგორ წამოეგო რუსეთის პროვოკაციას!“

თქვენ ხშირად საუბრობთ იმაზე, როგორ მოამზადა KGB-ზ საბჭოთა „გარდაქმა“ და ალმოსავლეთი ევროპის ხავერდოვანი რევოლუციები. რა ინფორმაცია გაქვთ საქართველოს შესახებ, რამდენად მართავდა KGB საქართველოში პროცესებს?

საქართველოს საკითხი სპეციალურად არ შემისწავლია. მაგრამ შემიძლია, შეგახსენოთ, რომ გამსახურდიამ საჯაროდ, ტელევიზორის ეკრანიდან მოინანია. ასეთი რამ უკვალოდ არ ჩაიღილია. როგორ და რამდენად ახერხებდა ამის შემდეგ KGB გამსახურდიას კონტროლს, პირდაპირ თუ ირიბად, ძნელი სათქმელია. ზუსტად ვერც იმას გეტყვით, სსრკ-ს დაშლის შემდეგ იყენებდა თუ არა სპეცსამსახური სათავისოდ მის პიროვნულ სისუსტეებს. გამსახურდია ხშირად იმპულსურად და არცთუ ჭკვიანურად მოქმედებდა, რასაც საქართველოს-თვის ძალიან არასასურველი შედეგი მოჰყვა, ეს საყოველთაოდაა ცნობილი. ვიცი, გამსახურდია ჩემზე

ესაუბრა ნინო ბექიშვილი
24 თებერვალი 2010

პოლიტიკა

დაბნეული მკონიცია

პოლიტიკურ პარტნიორებს შორის გაკეთებული არჩევანი მიანიშნებს, რომ
ირაკლი ალასანიასთვის ახლა მთავარი არჩევნებში გამარჯვება კი არ არის,
არამედ – არჩევნების შემდეგ მაქსიმალურად დიდი „მესამე საპროტესტო
ტალღის“ აგორება.

მაია წიკლაური



ჭადრაკის სასახლის 700-ადგილიანი დარბაზი დღის 3 საათისთვის მთლიანად შეიცსო. სკამებს შორის ფეხზე დასადგომი ადგილიც აღარ დარჩა. დარბაზში ციოდა, ქურთუკი არავის გაუხდია და ალბათ ამიტომაც, სიტუაცია 90-იანი წლების საქართველოს უფრო წააგავდა, ვადრე 2010 წელს – როცა მთავარი პოლიტიკური შეკრებები რუსთაველის გამზირზე რამდენიმე ფეშენებელური სასტუმროს დარბაზებში იმართება.

ოპოზიციონერი ლიდერების მისვლამდე აუდიტორიას ხალხით სავსე სცენიდან „საზოგადოებრივი დარბაზის“ წევრები და აქტივისტები მიმართავდნენ. გამომსვლელთა უმრავლესობა ემოციურად ამტკიცებდა ხელისუფლების შეცვლის გარდაუვალობას. „ჩვენ აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ!“ „სააკაშვილის რეჟიმი უნდა დავამარცხოთ!“ „ცოტალა რჩება კოშმარის დასასრულამდე!“ – ისმოდა შეძახილები აუდიტორიიდანაც.

შეკრების მთავარი მიზანი ახალი ოპოზიციური ერთობის დემონსტრირება იყო. ზურაბ ნოღაიდელი, ლევან გაჩეჩილაძე, ზვიად ძიძიგური, კობა დავითაშვილი და ირაკლი ალასანია შეთანხმდნენ, რომ 30 მაისის არჩევნებში ერთიანი კანდიდატი ეყოლებათ.

ერთმანეთის კონკურენტები რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკური იმიჯის და ნარსულის მქონე პოლიტიკოსები არიან. ერთ მხარესაა ლევან გაჩეჩილაძე, რომლის ბრძოლის ველი საკნებით გადაჭედილი თბილისის ქუჩებია; მეორე მხარეს კი ირაკლი ალასანიაა, რომელიც ქართულ ოპოზიციაში ნიუ-იორკის, გაერო-ს შტაბ-ბინის გაპრიალებული დერეფნებიდან მივიდა. განსხვავებით ალასანიასგან, რომელსაც უნდა, რომ ქართულ პოლიტიკაში მაღლალი სტანდარტები შემოტანის, გაჩეჩილაძისთვის პოლიტიკაში ყოფნა ჰობია.

ლიდერის არჩევის გზა კონსულტაციების შედეგად უნდა გადაწყდეს. არჩევანი ასეთია: პრამერი, სოციო-ლოგიური კვლევა ან პოლიტიკური შეთანხმება. ჭადრაკის სასახლეში სამი პოლიტიკური პარტია და ლევან გაჩეჩილაძე შეკრებილთა წინაშე ახალი შენაძენით, ირაკლი ალასანიათი გამოჩენენ. ჭადრაკის სასახლეში ალასანია არა „ალიანსს“, არამედ საკუთარ პარტიას ნარმოადგენდა.

დარბაზში ამბობდნენ, რომ ალასანია გაბედული პოლიტიკოსია. „ნამდვილი გმირი“, – ასე უწოდებდნენ მას. თუმ-



■ ზურაბ ნოღაიძელი, ჭადრაკის სასახლე, თბილისი, 24 თებერვალი 2010

ცა, ტაშით დარბაზი სხვა დროს დაინ-გრა – როცა ტრიბუნასთან ზურაბ ნოღაიძელი გამოჩნდა, ამ გაერთიანების ნამდვილი ავტორი, „ედინაია როსიას“ ქართველი პარტნიორი.

„ზურაბ ნოღაიძელს ვგულშემატყი-ვრობ იმიტომ, რომ ჩემი ახლობელია. ჯერ კიდევ „მოქალაქეთა კავშირიდან“ ვიცნობ და არა მგონია, რამე ცუდი გა-აკეთოს. მან შეძლო და ყველას გვერ-დით დადგა. ეს დასაფასებელია“, – სატელევიზიო კამერების წინ ამბობდა მსახიობი გურანდა გაბუნია.

ზურაბ ნოღაიძელი არასაპარლამენ-ტო ოპოზიციაში განხეთქილების მთა-ვარი მიზეზი გახდა. ყოფილი პრემიერი გასული წლის შემოდგომიდან სათავეში ჩაუდგა ეგრეთ წოდებული „პრაიმე-რისტების“ „არაფორმალურ გაერთიანე-ბას – კონსერვატორთა პარტიას (კახა კუკავა, ზვიად ძიძიგური) და ხალხის პარტიას (კობა დავითაშვილი). „ალიან-სი საქართველოსთვის“, რომელმაც პირველმა დაასახელა თბილისის მერო-ბისა და საკრებულოს თავმჯდომარეო-ბის საკუთარი კანდიდატები, პრაიმე-რი მონაწილეობას არ დათანხმდა.

ორივე მხარეს ჰქონდა შიდა ოპო-ზიციური პრაიმერის სასარგებლო და სანინაადმდეგო მყარი არგუმენტები.

„ალიანსი“ მთავარ საფრთხეებს შიდა ოპოზიციური არჩევნების ჩატარების პროცესში ხედავდა და თვითმმარ-თველობის არჩევნებამდე ერთი თვით ადრე ოპოზიციის ლიდერებს შორის წინა-საპრაიმერო კონკურენციას წამ-გებიან ნაბიჯად თვლიდა. პრაიმერის სანაცვლიდ, „ალიანსი“ მათი კანდი-დატისოვის მხარდაჭერის მოპოვებას პოლიტიკური შეთანხმების გზით ცდი-ლობდა. არც კონსერვატორებმა, არც დავითაშვილის პარტიამ და არც ზუ-რაბ ნოღაიძელმა ირაკლი ალასანიას სასარგებლოდ გადაწყვეტილება არ შეცვალეს.


პარალელურად, ზურაბ ნოღაიძელი რამდენჯერმე ჩავიდა რუსეთის დე-დაქალაქში, პირადად შეხვდა პრემიერ პუტინს და მის პარტიასთან „ედინაია როსიასთან“ ხელშეკრულების გაფორ-მებაც მოასწრო. მისი ამ კონტროვერ-სიული ნაბიჯების გამო, „პრაიმერის-ტებთან“ ასოცირება „ალიანსისთვის“ კიდევ უფრო არასაურველი გახდა.

ამიტომაც, ყველა ელოდა, რომ არასა-პარლამენტო ოპოზიციას არჩევნებში ორი ლიდერი ნარმოადგენდა: ერთი – პრაიმერით გამოვლენილი, მეორე კი – ირაკლი ალასანია.

ორ ჯგუფს შორის არსებული, ერთი შეხედვით, მყარი ბალანსი მას შემდეგ დაირღვა, რაც წინასაარჩევნო მზადე-ბაში მონაწილეობაზე თანხმობა აქამდე ბოიკოტის მომხრე ლევან გაჩერჩილაძემ განაცხადა.

გაჩერჩილაძე, რომელმაც 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში თბილის-ში მიხეილ სააკაშვილს მოუგო, პო-ტენციურად მერობის ძლიერი კანდი-დატია. ბოიკოტის რეჟიმიდან მისმა გამოსვლამ არასაპარლამენტო ოპოზი-ციის განლაგება შეცვალა.

რესპუბლიკური დავით ბერძენიშვი-ლი იხსენებს: „გაჩერჩილაძე ექცედა მო-მენტს, სწავლობდა ირაკლი ალასანიას, მასთან მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა და ცდილობდა, პრაქტიკული ულტიმა-ტუმებით დალაპარაკებოდა“. სავარაუ-დოდ, ეს ულტიმატუმი „ალიანსიდან“ ალასანიას წამოსვლას გულისხმობდა, რადგან არც პრაიმერში მონაწილეები



■ ირაკლი ალასანია, ჭადრაკის სასახლე, თბილისი, 24 ოქტომბერი 2010

ფოტო ლევან გაგაურაძე

■ „მე გადავდგი კეთილი ნების ნაბიჯი ერთიანობისკენ. დარწმუნებული ვარ, ისეთ გზას გამოვძებნით, რაც ყველა პოლიტიკური ძალისთვის მისაღები იქნება, მათ შორის – „ალიანსისთვისაც“, – ამბობს ირაკლი ალასანია.

და არც ლევან გაჩერჩილაძე ზურაბ ნოლაძეელს არ თმობდნენ, „ალიანსი“ კი ყოფილ პრემიერთან თანამშრომლობაზე უარს ამბობდა.

დავით ბერძენიშვილი ვარაუდობს, რომ ალასანია ლევან გაჩერჩილაძის გავლენის ქვეშ მოექცა და „გაურკვეველ“ გუნდში ამიტომაც აღმოჩნდა. „ირაკლი და ეჭვდა საკუთარ ლიდერობაში და პოლიტიკური შეცდომაც დაუშვა“, – ამბობს ბერძენიშვილი. „ალიანსის“ წევრები არ მალავენ, რომ ალასანია სხვადასხვა იპოზიციურ ძალასთან შეხვედრებს მათ გარეშე მართავდა. თავად ალასანიამ, ზურაბ ნოლაძეელმა და ლევან გაჩერჩილაძემაც დაადასტურეს, რომ უკუე დიდი ხანია, ეს მოლაპარაკებები მიმდინარეობს. მაღლარეიტინგული ალასანია გადაბირებას ყველა ცდილობდა.

„მე გადავდგი კეთილი ნების ნაბიჯი ერთიანობისკენ. დარწმუნებული ვარ, ისეთ გზას გამოვძებნით, რაც ყველა პოლიტიკური ძალისთვის მისაღები იქნება, მათ შორის – „ალიანსისთვისაც“, – ამბობს ირაკლი ალასანია. ერთიანობის მისაღევად ის ორმაგ თამაშს თამაშობს. ერთი მხრივ, ჭადრაკის დარბაზის სცენაზე ნოლაიდელთან ერთად გამოდის და მასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს, რითაც „ალიანს“ ემიჯნება, მეორე მხრივ კი, „ლიბერალთან“ საუბარში ამბობს: „მე ზურაბ ნოლაიდელის გვერდით არ ვდგავარ, არ ვაპირებ არავისთან ახალ ბლოკში გაერთიანებას, „ალიანსი“ არ დაშლილა“.

თავად „ალიანსში“ დაბნეულობა იგრძნობა. მართალია, ალასანიას აქ ისევ გუნდის წევრად თვლიან, მაგრამ ელოდებიან, რომ პარტნიორი შეცდო-

მას გამოასწორებს. დავით ბერძენიშვილი თვლის, რომ მისი დაპრუნებასთვის კარი ყოველთვის ღიაა. ალასანიას დაპრუნებამდე „ალიანსში“ შემდგომი ნაბიჯების გადადგმას არ ჩქარობენ, ალასანიას გარეშე პროგნოზები კი ბესიმისტურია. „ალიანსს“ ალასანიას გარეშე ისეთივე მაღალი რეიტინგი აღარ ექნება. თუ ალასანია მანც ნოლაიდელის მოკავშირეობას დაპირებს, ვფიქრობ, რომ ისიც წააგებს. საბოლოოდ კი უგულავა გაიმარჯვებს“, – ამბობს ბერძენიშვილი.

„ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერს იპოზიციურ კანდიდატებს შორის ყველაზე მაღალი რეიტინგი ჰქონდა. სოციოლოგიური კვლევების მიხედვით, მერობის მსურველებს შორის ირაკლი ალასანია სტაბილურ მეორე ადგილს იკავებდა

გიგი უგულავას შემდეგ. არჩევნების მოახლოების მიუხედავად, „ალიანსი“ წინასაარჩევნო კამპანია არ დაუწყია. ალასანია, როგორც ლიდერი და მერობის კანდიდატი, თითქმის არსად ჩანდა. სხვაობა პარტეი და მეორე ადგილს შორის, კვლევების მიხედვით, არ იცვლებოდა. შესაძლოა, ალასანიამ საკუთარი სტაგნაციის მიზეზად „ალიანსთან“ ასოცირება მიიჩნია და უფრო აქტიური პარტიონორების ძიება დაიწყო.

თუმცა, საეჭვოა, ახალი და ძალიან დაგვიანებული გაერთიანება მართლაც თბილისის მერის არჩევნების მოსაგებად იყოს შექმნილი. თუ ახალი პარტნიორებისგან ირაკლი ალასანია და ხმარებას წინასაარჩევნო კამპანიის ეფექტურად წარმართვაში ელის, ის ან ძალიან მიამტია, ან სრულიად გაუთვითცნიბიერებელი ქართულ პოლიტიკაში.

ზურაბ ნოღაიადელის წინასაარჩევნო რიტორიკა პოლო დროს ხმების დაცვის მიზნით გამყალბებლებისთვის „ხელების და მატვრევით“ და „პოლიტიკური ნეკროლოგების“ შედგენის მუქარითაა გაჯერებული. ლევან გაჩეჩილაძემ კი ჯერ კიდევ იანვარში ახსენა პროტესტის „მესამე ტალღა“, რომელიც არჩევნების შემდეგ აგორდება. „მერის არჩევნები იქნება ძალიან დიდი მდელვარების დაწყების საბაბი. სააკაშვილის ნატურა არის ასეთი – არაფერს არ გაძლევს, რაც არ უნდა სამართლიანად მოიპოვო. გამოწერს ისეთ ქადალდს, რომელიც საქართველოს ინტერესების და ქართველი ამომრჩევლის წინააღმდეგ იმუშავებს. მაგრამ ჩვენი ამომრჩეველი ამას ძალიან ადეკვატურ რეაქციას მისცემს“, – ამბობდა მაშინ გაჩეჩილაძე.

იგივე განწყობა აქვთ გაჩეჩილაძის ტრადიციულ მხარდამჭერებს – ორგანიზაცია „ქართული აკადემიის“ წევრებს, ცნობილ მსახიობებსა და მწერლებს: „არჩევნების გაყალბების შემდეგ ჩვენ მოვახდენთ პარტიულ ორგანიზებას. ყველას ვაჩვენებთ, რომ შეგვიძლია ჩვენი ხმების დაცვა“, – ამბობდა აკადემიის წევრი ნუკრი ქანთარია.

„ხელისუფლება ადგილობრივ არჩევნებს გაყალბებს და ამას მთელი მსოფლიო დაინახავს. ამ გაყალბებას ქვეყანაში სერიოზული ჭექა-ქუხილი უნდა მოჰყვეს“, – განაცხადა გიორგი გაჩეჩილაძემ ერთ-ერთი შეხვედრის შემდეგ.

„გაყალბება გამოგონილი მითია, ქა-

ოსის ასატეხად. ხელისუფლება ისედაც დიდი ანგარიშით იგებს, მით უმეტეს, როცა იპოზიციაში ქაოსია“, – ამბობს პოლიტოლოგი ანდრო ბარნოვი.

ეგრეთ წოდებული „პრამერისტები-დან“ არც ერთი პოლიტიკური სუბიექტი, „ალიანსისგან“ განსხვავებით, არ მონაწილეობს საარჩევნო სიების კორექციის პროცესში. სიების გადამოწმებით ოპოზიციურ პარტიებს შეეძლოთ ხელისუფლების მხრიდან არჩევნების გაყალბების შანსები შეემცირებინათ, თუ ეს მათი მიზანი იყო.

თავად ალასანია ყოველგვარ არულობას გამორიცხავს. გაყალბების შემთხვევაში, ის ამომრჩეველთა ხმების დაცვას სამართლებრივი გზებით და საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური ჩართვით აპირებს.

ოპოზიციის ლიდერებთან დაახლოებული წყარო „ლიბერალთან“ საუბარში განმარტავს, რომ ახალ გაერთიანებას ირაკლი ალასანია მხოლოდ იმისთვის სჭირდება, რომ არჩევნებში უგულავას მაქსიმალურად ძლიერი კანდიდატი დაუპირისპიროს, მცირე სხვაობით წაგების შემდეგ კი „ხმების დაცვის“ ლე-

გიტიმური მოტივი მოიპოვოს და ქუჩის აქციები დაიწყოს. ამავე წყაროს ცნობით, „მესამე ტალლისთვის“ საჭირო ფინანსებს ახალ გაერთიანებას ზურაბ ნოღაიადელი და ირაკლი ოქრუშვილი პეირდებინ. არც ერთი მათგანის აბიცია თბილისის მერის არჩევნების მოგება არ არის.

ჭადრაკის სასახლის შეკრება ერთიანობის სიმბოლო უნდა ყოფილიყო. თუმცა, ოპოზიციის გაერთიანება არ მომხდარა. გაერთიანების მოწოდებას „ეროვნული ფორუმი“ და „საქართველოს გზა“ გამოეხმაურნენ. მათ კატეგორიულად გამორიცხეს იმ გაერთიანებაში მონაწილეობის შესაძლებლობა, სადაც ნოღაიადელიც იქნება. დღევანდველი მონაცემებით, ერთ მხარეს დარჩა „ალიანსი“, რომელიც არჩევნებში ან მერის კანდიდატის გარეშე გავა, ან ნაჩექარევად და მოუმზადებლად დააყენებს სოზარს სუბარის კანდიდატურას; მეორე მხარეს კი არის პოლიტიკური დაჯეგუფება, რომლის არჩევნებში მონაწილეობის მიზანია არა 30 მაისს გამარჯვება, არამედ საპროტესტო აქციებისთვის საჭირო მუხტის კიდევ ერთხელ შექმნა. □

■ „მერის არჩევნები იქნება ძალიან დიდი მღელვარების დაწყების საბაბი. სააკაშვილის ნატურა არის ასეთი – არაფერს არ დათმობს... მაგრამ ჩვენი ამომრჩეველი ამას ძალიან ადეკვატურ რეაქციას მისცემს“, – ამბობდა გაჩეჩილაძე.



■ ლევან გაჩეჩილაძე, ჭადრაკის სასახლე, თბილისი, 24 თებერვალი 2010



■ ზურაბ ნოღაიძელი ქუთაისში, დეკემბერი 2009

© გვიანდებულისა და გვიანდებულის ფოტოები

რეგიონები

ნოღაიძელის რეგიონი

ზურაბ ნოღაიძელის „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ რეგიონებში

ყველაზე აქტიურად ემზადება თვითმმართველობის არჩევნებისთვის.

თემა ზიბზიბაძე, ქუთაისი; გოგა აფციაური, გორი

ერთადერთი ოპოზიციური პარტია ქუთაისში, რომელიც უკვე აქტიურ სარჩევნო რეჟიმში მუშაობს, არის ზურაბ ნოღაიძელის „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“.

ქალაქის ცენტრში, თამარ მეფის ქუჩაზე ერთ-ერთი ყველაზე კომფორტუბელური, ორსართულიანი შენობის მეორე სართულზე, რამდენიმე კვირაა, ხალხმრავლობა დილიდან შეინიშნება.

იქ, სადაც ადრე ბადრი პატარკაცილის საარჩევნო შტაბი მდებარეობდა, ახლა ნოღაიძელის თანაგუნდელები, როგორც თავად აბბობენ, არჩევნების მოსაბადად ემზადებიან.

ქუთაისში, „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ იმერეთის რეგიონული და ქუთაისის საქალაქო ორგანიზაცია 2008 წლის 27 მარტს დაფუძნდა. ორი თვის წინ კი პარტიამ ქუთაისში მეორე ოფიციალურ კონკრეტურ ხელშეკრულებაში გახსნა.

„მალე ყველა უბანში და ყველა ზონაში გვევნება შტაბები. გავხსნით იმდენ რაობონულ ცენტრს, რა რაოდენობაც იქნება საჭირო არჩევნებისთვის“, – ამბობს „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ ქუთაისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი შოთა ბურჯანაძე.

სათავო ოფიციალურ თვალშესაცემია თანამედროვე ინვენტარით მოწყობილი ფილი საკონფერენციო დარბაზი, სადაც ხალხმრავლობაა და ყველა თავისი საქმეს აკითხებს: ზოგი საქალაქოდებს ალაგებს, სხვებს წინ სპეციალური სია უდევთ – ტელეფონთ უკავშირდებან ამომრჩევლებს და პარტიისათან თანამშრომლობას სთავაზობენ, ან პარტიულ აქტივისტებს სხვადასხვა დაგალებას აძლევენ.

რამდენიმე ადამიანი პარტიაში გასანერიანებლადაა მისული და ხელმძღვანელთან შეხვედრას ელოდება. ისინი კი, ვინც ეს პროცედურა უკვე გაიარა, გა-

მოცდილი აქტივისტებისგან პარტიულ „ქცევის წესებს“ ეუფლებან.

რამდენიმე კვირაა, „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ ოფიციალური ცენტრი – უკანი მიმდინარეობს. პარტია თავის აქტივისტებს საარჩევნოდ ამზადებს. საკონფერენციო დარბაზის გვერდით მდებარე ერთ-ერთ ოთახში 50-მდე აქტივისტი დილიდან საარჩევნო პროცედურებზე სასწავლო კურსს გადის და ასეა ყოველდღიურად. ამბობენ, რომ ქუთაისში სულ 600 ადამიანს მოამზადებენ, რომლებიც ამომრჩეველთა სიებს კარდაკარ გადაამოწმებენ.

„იმერეთში 12 რაობია. ყველგან ჩვენი ოფიციალური გვაქვს. თითო საარჩევნო უბანზე 5 ადამიანს ვანგარიშობთ, რომლებიც საარჩევნო პროცედურს დააკითხდებიან. სწორედ ამდენი ადამიანი გვჭირდება“, – ამბობს შოთა ბურჯანაძე.

პირველი მარტიდან ქუთაისში სტარტს

აიღებს „კარდაკარის პროექტი“, რომელიც საარჩევნო სიების გადამოწებას და ზურაბ ნოლაიდელის საარჩევნო მესიჯების მოსახლეობამდე მაქსიმალურად ზუსტად მიტანას ითვალისწინებს.

„ნოლაიდელის მთავრი სათქმელი ამ საარჩევნოდ ის არის, რომ საქართველო უნდა გაძლიერდეს, გამთლიანდეს და სოციალურად წელში გაიმართოს. რუსეთთან ურთიერთობის გარეშე კი, ეს ვერ მოხდება“, – ამბობს ნოლაიდელის პარტიაში გასანერვიანებლად მისული შეუხნის მამაკაცი.

პარტიის რეგიონული ოფისის ხელმძღვანელთან ერთად ახალგაზრდა აქტივისტებს ტრენინგს „კონსერვატიული პარტიის“ ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარეც უტარებს. გორა ბაძგარაძე სხვა ადგილობრივ „კონსერვატორებთან“ ერთად ნოლაიდელის პარტიაში, რამდენიმე თვევა, რაც გადაბარგდა. „ჩვენ „კონსერვატორები“ კი არ დაგვიტოვებია, უბრალოდ, ნოლაიდელის პარტიას შევუერთდით, რადგან ამ არჩევნებზე

■ „რამდენი ვართ? ზუსტად არ დამითვლია. ათასობით და ათიათასობით. ყოველდღიურად იზრდება ჩვენი პარტიის ნევროთ რაოდენობა“. .

ერთიანი გუნდით უნდა გამოვიდეთ“, – ამბობს ბაძგარაძე.

„რამდენი ვართ? ზუსტად არ დამითვლია. ათასობით და ათიათასობით. ყოველდღიურად იზრდება ჩვენი პარტიის ნევროთ რაოდენობა“, – ამბობს ბურჯანაძე.

მისი თქმით, ბოლო ხანებში პარტია კიდევ უფრო პოპულარული გახდა რეგიონში და „ეს გამოწვეულია პარტიის მიმართულებითა და პოლიტიკით“. .

სხვა ოპოზიციონერები მიჩნევენ, რომ ნოლაიდელი ქუთაისში არა მისი პოლიტიკის, არამედ ფულის გამოა პოპულარული, რომელსაც ის რეგიონში „ბლომად ხარჯავს“.

„ნოლაიდელის პარტიის გააქტიურება და პოპულარობა მისი პოლიტიკური კურსის გამო არ ხდება. ეს დაკავშირებულია ზოგადად ოპოზიციური ძალების პასურობასთან და იმასთან, რომ აშკარა, ნოლაიდელს ყველაზე მეტი ფული აქვს“, – ამბობს „ახალი მემარჯვენების“ ქუთაისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი მამუკა მარტივაშვილი.

მისი თქმით, არის ნოლაიდელის პარტიის ნევრების მიერ სხვა რეგიონული ოპოზიციური პარტიების ნარმომადგენელთან გადაბირების შემთხვევაში.

„ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა საჩხერის რაიონში მოხდა. ნოლაიდელის პარტიის მხრიდან ზენოლა იყო ჩვენი პარტიის სამტრედის რაიონის ნარმომადგენელზეც“, – ჰელვება მლვადელაძე.

„ბევრი ცდუნებას ვერ უძლებს და გადადის. ხდება ახალგაზრდების მოსყიდვაც. ნოლაიდელის აქტივისტები დადადინ და ამორჩევლებს ყიდულობენ. პარტიაში თითო მიყვანილ ადამიანზე პარტიის აქტივისტს 150 ლარს უხდიან“. .

თავად კობა მოდებაძე, „ახალი მემარჯვენების“ ყოფილი ნევრო საჩხერიდან, რომელიც ახლახან ნოლაიდელის პარტიის ნევრო გახდა, ამბობს: „ნოლაიდელის პოლიტიკური კურსი ამ ეტაპზე ჩემთვის უფრო მისალები აღმოჩნდა. სხვა არანაირი დაინტერესება, მათ შორის არც ფინანსურო, არ ყოფილა“. .

ამ ინფორმაციაზე „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ ქუთაისის ორგანიზაციაშიც ეცინებათ. აյ ამბობენ, რომ პირიქით, ანაზღაურება პარტიის

ლოს 20 დეკემბერს შეხვდა. დიდების მემორიალის აფეთქებიდან მეორე დღეს ყოფილი პრემიერი ქუთაისში ჩავიდა და მემორიალის ნანგრევებთან აქცია გამართა.

„ამ აცილით გამოჩნდა იგი ქუთაისში. ისარგებლივ ამ უბედურებით“, – ამბობს „რესპუბლიკური პარტიის“ ქუთაისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნატო ქათაძაძე.

ერთი დღით ადრე ექს-პრემიერი ცხინვალში იყო და გორში 45 დღის მანძილზე ოსური მხარის მიერ დატვიცებულ ტირქიძის შედეგის მიზარდათან ერთად დაბრუნდა.

გორში ამბობენ, რომ ნოლაიდელის შიდა ქართლში გააქტიურების ათვლის ნევროლიც სწორედ აქედან იწყება. განთავისუფლებული მოზარდების მშობლებმა მაშინ „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერს მადლობა გადაუხადეს. ეს მადლობა ქართულ სატელევიზიო მედიას არ უჩენებობა, თუმცა, როგორც ნოლაიდელის პარტიის გორის ოფისში ამბობენ, ამ საქციელით ექს-პრემიერმა, სულ მცირე, გათავისუფლებული მოზარდების თანასოფლებების სახით მხარდამჭერები შეიძინა.

ამის შემდეგ გორში პარტია „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ შეენიჭებულობა დაიწყო. ადგილობრივი ორგანიზაციის ნარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მათ ლიდერს განსაკუთრებით კარგი პოზიციები აქვს გორის რაიონის სოფლებში.

პარტიის გორის ორგანიზაციის ლიდერი მაშუა კობერიძეა. ერთ დროს იგი „რესპუბლიკურ პარტიაში“ იყო, შემდეგ კი გორა ფიფიას „ქართულ პოლიტიკაში“. .

მაშუა კობერიძის თქმით, გორის ორგანიზაცია 1500-ზე მეტი მხარდამჭერს ითვლის.

მათი უმარვლესობა გორის რაიონის სოფლებიდანაა. ნოლაიდელის თანაპარტიელები არ მაღავენ, რომ აქცენტს ისეთ სოფლებზე აკეთებენ, საიდანაც წლების წინ რუსეთში ხილი გაჰქინდათ გასაყიდად.

პარტიაში ახლა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ემზადებიან. უკვე გადაწყვეტილია, რომ, „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ სახელით, გორის საკრებულოს მაჟორიტარი წევრობისთვის ქალაქს ყოფილი გამზებლის მოადგილე ტარიელ ლალაშვილი იბრძოლებს. იგი უკვე მართავს ამორჩევლითან შეხვდრებს და ყველას არწმუნებს, რომ საქართველოსთვის რუსეთთან ურთიერთობის აწყობა ძალიან მნიშვნელოვანია, ამის გაკეთება კი დღეს მხოლოდ ზურაბ ნოლაიდელს შეუძლია. ■

სტრუქტურაში დასაქმებულ ადამიანებსაც არ აქვთ და ისინი ენთუზიაზმით მუშაობენ.

„ოპოზიციურ პარტიებთან კონსულტაციები ყოველდღიურად მიმდინარებას. აյ არ არის გადაბირება-გადმობირების მომენტი. როდესაც იცვლება გარკეცული ოპოზიციური პარტიის აქტიურობა და როდესაც დაფიქსირებულია, რომ ეს თუ ის პარტია რეალურად ძალას წარმოადგენს, რა თქმა უნდა, ხდება გადასავლა-გადმისისთვის. ჩვენთან უკვე გადმოვიდნენ ახალი მემარჯვენებიდან, რესპუბლიკებიდან, ფორუმიდან და ა.შ. და ეს პროცესი ხდება ყოველდღიურად. დამერწმუნებოდა, რომ ზურაბ ნოლაიდელს ამდენი ფული არ აქვს“, – ამბობს ბურჯანაძე.

28 თებერვალს ქუთაისში პარტიის ზონალური შეხვედრაა დაგეგმილი, სადაც ზურაბ ნოლაიდელიც ჩავა. იგი რეგიონული ლიდერებისგან ამ დრომდე განეული მუშაობის ანგარიშს ჩაიბარებს და მომავალ აქტივობებსაც დაგეგმავს. ამორჩევლითაც მოსაზიდად ძალიან მაღეს სერიოზულ გააქტიურებას გეგმავს პარტიის ახალგაზრდული ფრთაც. ზურაბ ნოლაიდელის ქუთაისელებს ბო-



■ მემორანუმის ხელმოწერა პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ მაუწყებელს შორის, 22 თებერვალი 2010

ინტერიერის ფოტოები

პოლიტიკური მონილოგი LIVE-ში

ოპოზიცია და ხელისუფლება ერთმანეთს გაურიგდა, გარიგების საგანი მედიაა.

ანიჭა თვალი

„პა, ბატონი, გჩუქნით ტელევიზიას მთლიანად. მთელ არხს, რომელიც მთელ საქართველოს ფარავს. მეორე არხი სახელმწიფო არხია და შემიძლია, მასზე ვისუბრო. პოლიტიკურმა ძალებმა მხარი დაუჭირეს ჩემ ინტიციატივას, რომ მეორე არხი საზოგადოებრივი კლუბად გადავაკეთოთ. დავილალე პოლიტიკოსების პრეტენზით, რომ მათ არ აქვთ ტელევიზიაში გამოსვლის საშუალება“.

ეს განცხადება, რომელშიც პრეზიდენტს შეიძლება ერთდროულად რამდენიმე ფორმულირებაში შევდავო, მიხეილ სააკაშვილმა 2008 წლის ნოემბერში გააკეთა. ორი წლის შემდეგ „პრეზიდენტის საჩუქარი“ ეთერშია.

მეორე არხი, რომელიც 25 თებერვლიდან მთლიანად პოლიტიკურ არხად გადაკეთდა, დღეს ტელევიზიის შენობაში ორ ოთახს იკავებს და მხოლოდ თბილისა და მის შემოგარენში მაუწყებლობს. ამ არხს არ აქვს

საკუთარი ტექნიკური ბაზა. პროდიუსერები კი ამბობენ, რომ გადაცემების ბაზე არ არსებობს, რადგან არხს ჯერ არ აქვს განსაზღვრული ბიუჯეტი.

22 თებერვალს 13 პოლიტიკურ პარტიასა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას მორის მემორანულები გაფორმდა, სადაც პუნქტებადაა განერილი, თურ და ფორმისა და შინაარსის უნდა იყოს მეორე არხის ის გადაცემები, რომელშიც მემორანულებზე ხელისმომწერი პოლიტიკური პარტიები მიიღებენ მონაწილეობას.

აშშ-ს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ხელშეწყობით მიმზადებული მემორანდუმი ამბობს, რომ მეორე არხი, ტრადიციულად, საპარლამენტო სხდომებსა და საკომიტეტო მოსმენებს პირდაპირ ეთერში გადასცემს; ასევე, პირდაპირი ეთერით კვირაში ერთხელ აუცილებლად გაავა პოლიტიკური დებატები. საღამოს ამ განხილვების შემოკლებულ ვერსიას გამეორებენ.

სასესიო კვირას განხილვის საგანი ის კანონპროექტები იქნება, რომლებიც პარლამენტში განიხილება, ხოლო არასასესიო კვირა სხვა პოლიტიკურ თემაზე დებატებს დაეთმობა.

მემორანდუმში მკაცრადაა განსაზღვრული, რომ დებატებში მონაწილეობა როგორც საპარლამენტო, ისე არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა უნდა მიიღონ.

ყოველ საღამოს კი, მეორე არხის პრაი-მთამში 22.00-დან 23.00-მდე ერთი საათი მთლიანად დაეთმობა მემორანდუმზე ხელმომწერ 13 პოლიტიკურ პარტიას. გადაცემა „თავისუფალი ტრიბუნა“ სრულიად თავისუფალი იქნება სარედაქციო ჩარევენისგან.

ახლად გარემონტებულ, საღამავების სუნით გაუღინეთილ სტუდიაში არხის პროდუსერები და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები „თავისუფალი ტრიბუნის“ ფორმატზე უკვე დავობენ.

ირაკლი ალასანიას პრეს-სამსახურის ხელმძღვანელი ვაკო ავალიანი ამბობს, რომ ერთსაათიან გადაცემას გამზადებულს მიიტანს. კონსერვატორებმა და კიდევ სამმა პარტიამ სტუდია „მონიტორის“ საგამოძიებო ფილმის ჩვენება გადაწყვიტეს. გია თორთლაძემ კი თავად გადაწყვიტა გადაცემას გაძლილოდა და სტუდიაში, რომელიც მთელი ერთი საათი მის განკარგულებაში იყო, სტუმრები მიიწვია.

მეორე არხის მთავარი პროდიუსერი დღიდან შოთავა ამჟობს, რომ 2009 წლის თებერვალში საზოგადოებრივ მაუწყებელში იმ მიზეზით დაბრუნდა, რომ საპროლამენტო არხის კონცეფციის შემუშავება დავალეს. მისი თქმით, ოპოზიციის გაზაფხულის აქციებმა მემორანდუმის შემუშავების პროცესი შეაფერა.

2009 წლის ივლისში პრეზიდენტმა პარლამენტში გამოსვლისას კიდევ ერთხელ ახსენა მეორე არხის: „ვთხოვ პარლამენტს, სექტემბრის ბოლომდე, ყველა პროცედურა დაასრულოს, იმისათვის, რომ მეორე არხთან დაკავშირებით ჩეგნი ინიციატივა განხორციელდეს“. ახალი მეორე არხის შექმნა მან მის მიერ გატარებულ მინშვნელოვან რეფორმებს მიათვალა.

მემორანდუმის განხილვა მხოლოდ ოქტომბრის შუა რიცხვებში განახლდა.

არხის პროდიუსერებს იმედი აქვთ, რომ
მეორე არტბე რაიმე სახის ურნალისტური
პროდუქტიც გავა. ისინა ამზადებენ ყო-
ველდღიურ თოჯ შოუს „არგუმენტის დრო“,
სადაც სტუდიაში მოწევული აღმასრულე-
ბელი ხელისუფლების ნარმომადგენლები
ნამყანისა და მოწევული ურნალისტების
შეკითხებებს უპასუხებენ. თუმცა, დაუგეგ-
მავი ბიუჯეტის პრობებში, გავა თუ არა ეს
აგარაგამა ეთარშა, არავინ იჯიბ.

არსის ხელმძღვანელები ამჟამად რამდენიმე დაგეგმილი გადაცემსთვისაც არჩევენ წამყვანებს, თუმცა დაანაბლვილებით როდის ჩაუშენებენ ამ პროექტებს ეთერში, ვარ ამბობინ.

မြို့များတွင် မြန်မာရှိသူများ အကျဉ်းချုပ်မှု ပေါ်လေ့ရှိခဲ့ပါ၏ အကြောင်း မြတ်ဆုံး ဖြစ်ပါသည်။ မြန်မာရှိသူများ အကျဉ်းချုပ်မှု ပေါ်လေ့ရှိခဲ့ပါ၏ အကြောင်း မြတ်ဆုံး ဖြစ်ပါသည်။

„ხელისუფლება დემოკრატიულობის „მინაუის“ შექმნას და ამ „დათმობით“ მედიაში მინიჭებულოვანი პრობლემის გადაფრრვას ყდილობს. არ ვაპირებთ, რომ ამ თემაზე „დახახურდავოთ“ მედიის პრობლემები. ციონთოვთ მედიის გათავისუფლებას პოლიტიკური ტერორისტისგან და პოლიტიკური კენზურისგან“, – ამბობს რესპუბლიკური ინა ხიდაშელი.

„იტყველიან, რომ ოპოზიციისთვის ღიაა ერთი არხი, რეალურად კი ეს არხი ვერ შექლებს იმ სანფორმაციო ნაკადის დაბალანსებას, რომელიც თუნდაც საზოგადო-ებრივი მაუწყებლის სანფორმაციო გადაკემბებდან მოიღს, თავი რომ დავანებოთ ელისუფლებაზე მომუშავე სხვა ტელევიზიებს“, – მითჩნევს ახალი მემარჯვენების როტ-ერთი ლიდერი აირია ჩიხრაძე.

სამეურვეო საბჭოს ხელმძღვანელი ლევან
გახელაძე პოლიტიკური პარტიისთვის სა-
ეთერო ნაწილის გადაცემას საქართველოში
მექმნილი პოლიტიკური პროცესებს თავი-
უებურებით ხსნის. „ბიბისიზე ეს არ ხდება
მიტომ, რომ იქ არ არსებობს არასაპარ-
ლამენტო ოპოზიციის ცნება, იქ პოლიტი-
კური პროცესი მთლიანად პარლამენტშია
გადატანილი. მეორე არხი უნდა შეიკრას
იდეურად, რომ პოლიტიკური პროცესი იქ-
ნას გადატანილი ამ არხზე“, – ამბობს ლევან
გახელაძე და ამაზებს, რომ პოსტისაბჭოთა
ქვეყნებში საქართველო ამგვარი მაუწყე-
ბობის ჭიათ პიონირია.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდო-
მარე დავით ბაქრაძე მიიჩნევს, რომ მეორე
იწესის მთავარი ფუნქციაა, პოლიტიკური
პარტიებისათვის მისახლეობასთან უკ-
თესი კომუნიკაციის საშუალების მიცემა.
სწორედ ეს არის დემოკრატია, როდესაც
პოლიტიკოსებს აქვთ მისახლეობასთან
ურთიერთობას საშუალება და მისახლეო-
ბას აქვთ არჩევანის გაცემის საშუალება“,
- ამინდს თავით ბაძრუნა

პოლიტიკური პარტიებისთვის მეორე
რხის ეთერის დათმობის ერთ-ერთი მიზე-
ზე თავად იპოზიციის პროტესტი გახდა.
ჩევენს სარედაციო ბაღში ცვლილებების
მეტანა იმ აქციების შემდეგ გახდა აქტუა-
ლური, რა/კ ა/ სირცხვილის დერიფიციტში

გვატარეს. მოდიოდა პრალედები, რომ
ჩვენ ვცვლით მათ სათქმელს. მაშინ გა-
დავდგით ეს ნაბიჯი. მხოლოდ ჩემზე რომ
ყოფილიყო დამოკიდებული, მე ამ ნაბიჯს
არ გადავდგამდი", – ამბობს დოდო შონაგა.

მეორე არხის პრიდიუსერების თქმით,
საპარლამენტო არხად გადაკეთება ქვეყა-
ნაში პოლიტიკური კულტურის ამაღლებას
ისახავდა მიზნად. სწორედ ამ მიზნის მი-
საღწევად მათ საპარლამენტო ტელევიზიი-
ბის უცხოური ანალოგების – ამერიკული
C-SPAN-ის, BBC PARLIAMENT-ისა და გერ-
მანული FENIX-ის გათვალისწინებით მოა-
მზადეს კონცეფცია.

ამერიკული C-SPAN პროგრამული ბადის ძირითად ნაწილს აშშ-ს კონგრესისა და სენატის სხდომების და სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების ტრანსლაციას უზმობს.

პირდაპირ ეთერს მეორე არხი დღესაც უთმობს პარლამენტის სხდომებს, მაგრამ მას იმდენად ცოტა მაყურებელი ჰყავს, რომ საერთო სატელევიზიო რეიტინგებში, „მეორე არხი“ დღემდე საერთოდ ვერ ხდებოდა. საღამოს 10-დან 11 საათამდე, სწორედ იმ დროს, რასაც ასალი პოლიტიკური არხი იპოზიციას „ჩეუქნის“, ტელემაყურბლების 70%-ზე მეტი ნაციონალურ არხებს უყურებს (მაგალითისფოს, 18 ოქტომბერის მონაცემებით, პრაიმ-ტაიმში მაყურებელი ასე განანილდა: „რუსთავი 2“ – 34%; „იმედი“ – 38%; პირველი არხი – 4%). მაყურებელთა დარჩენილი 25% კი ქართულ საკადელო და უცხოურ არხებზეა გადანანილებული. საკადელო ქართული არხების – „კავკასიონა“ და „მაქსტროს“ მაქსიმალური რეიტინგი, ამავე მონაცემებით, 4-5%-ია.

არასაპარლამენტო ოპოზიცია, დიდი ხანია, ლაპარაკობს მედია გაშუქების არათანაბარა პირობებზე და იმ პრობლემებზე, რომელთაც ეს მათ არჩევნების წინ უქმნით – ოპოზიციური პარტიების პროგრამები და მათი ლიდერების განცხადებები, მათივე თქმით, არასაკმარისად, ან ხშირად არასწორი ინტერპრეტაციით ვრცელდება. საკაელო არხები კი, ცხადია, ვერ ახერხებენ ნაციონალური მაუნიერებლების მიერ გავრცელებული ინფორმაციის სრულფასოვნად დაბალანსებას. იმისათვის, რომ ახალი ტრიბუნა – „მეორე არხი“ – ოპოზიციამ ეფუძნულად გამოიყენოს, მხოლოდ მათი მონიდომება არ კმარა. თუ არხს დანარჩენი 23 საათის განმავლობაში მაყურებელი არ კოლეგია, დიდი შანსია, მას არც საღამოს 10-დან 11-საათამდე უცხუროს ვინმებ. აუდიტორიის უდიდეს ნაწილს კი ოპოზიციის აქტივობის შესახებ საკუთარ ვერსიას ამ არჩევნების წინაც სახელისუფლებო არხები მიაწვდიან. **■**

კონფლიქტები

აფხაზეთი ნავთობს ეძღვს

არსებობს საშიშროება, რომ „შავი ოქროს“ ძიება რესპუბლიკის ტურისტულ შემოსავლებზე უარყოფითად აისახება.

ანაიდ გოგორიანი, სოხუმი



აფხაზეთის მაღალინოსნებს იმდენ აქვთ, რომ რუსული კომპანია „როსნეფტის“ მიერ რესპუბლიკის ნავთობის პოტენციალის დაზერვა აფხაზეთის ეკონომიკის დივერსიფიკაციას შეუწყობს ხელს. მაგრამ არსებობს საშიშროება, რომ ნავთობის ძრენა და შემდგომში მისი მოპოვება აფხაზეთის ეკოლოგიას დააზიანებს და ეს საკურორტო ინდუსტრიაზე უარყოფითად აისახება. ეს უკანასკნელი კი დღესდღეობით აფხაზეთის ბიუჯეტის მთავარი დასაყრდენია.

„როსნეფტთან“ შეთანხმებას 1992-93 წლების ომის შედეგად საქართველოდან „გახსენილმა“ და რუსეთის მიერ დამოუკიდებლად აღიარებულმა სახელმწიფო გასული წლის დეკემბერში მოაწერა ხელი.

ამ დოკუმენტის თანხმად, „როსნეფტი“ შავი ზღვის აფხაზეთის სანაპიროს შელფს ხეთი წლის განმავლობაში შეისწავლის. ამ ხნის განმავლობაში კომპანია გუდაუთის სანაპიროსათან ორი სამძებრო-დასაზვერი ჭაბურღლის გაბურღვას აპირებს. ამ მონაკვეთზე ნავთობის აღმოჩენის ალბათობა რუსი სპეციალისტების მიერ წინასწარ 14%-ად არის შეფასებული – რაც სამართლებრივი მცირება. თუმცა ეს საკმარისი აღმოჩნდა პრეზიდენტ ბალაფშისათვის, რომ

„დროა ვიცოდეთ, აფხაზეთში ნავთობი არის თუ არა, – განაცხადა მან, – ამოცანა სწორად და დროულად არის დასმული. მე ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ სამუშაოები უსაფრთხოდ ტარდება“.

ხმამაღლა მისალმებოდა „როსნეფტთან“ დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე ავტოგასამართი სადგურების ქსელის მშენებლობასაც გეგმავს.

„აფხაზეთში „როსნეფტის“ შემოსვლა – ეს სერიოზული ინვესტიცია და ახალი სამუშაო ადგილება“, – განაცხადა მან და დაამატა, რომ ეს პროექტი აფხაზეთში ნავთობპროდუქტების სტაბილურ მიწოდებას უზრუნველყოფს.

„აღარ იქნებან მონიპოლისტები, არამედ იქნება რამდენიმე კომპანია, რომელიც ამ მიმართულებით იმუშავებს“, – თვლის ბალაფში.

სამძებრო სამუშაოებმა, რომელიც აფხაზეთში, ხმელეთზე, გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან ტარდებოდა,

შედეგი არ გამოიღო. დღეს ნავთობის საბადოების შავი ზღვის ფსკერზე მოძიებისათვის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. არ არსებობს შავი ზღვის აუზის ქვეყანა, რომელიც ამ პროცესში ჩართული არ არის.

აფხაზეთის გეოლოგიის, გეოდეზიის და კარტოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელის, პეტრე კაზანბას განცხადებით, აფხაზეთის ნავთობის მარაგის წინასწარი შეფასებები არაერთგვაროვანია და 30 მილიონი ტონიდან 200 მილიონ ტონამდე მერყეობს.

„დროა ვიცოდეთ, აფხაზეთში ნავთობი არის თუ არა, – განაცხადა მან, – ამოცანა სწორად და დროულად არის დასმული. მე ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ სამუშაოები უსაფრთხოდ ტარდება“. მაღალინისნები აცხადება, რომ სამძებრო სამუშაოების დაწყებამდე, სანაპიროდან 30-40 კილომეტრის მანძილზე ეკოლოგიური ექსპერტიზა ჩატარდება. მათივე თქმით, ყველა ბურღვით სამუშაოს გარემოზე მინიმალური ნეგატიური ზეგავლენა ექნება.

ამის მიუხედავად, პროექტმა პრესასა და საზოგადოებაში სერიოზული პოლემიკა გამოიწვია. რესპუბლიკის საზოგადოებრივ პალტაში ამ თემისადმი მიძღვნილი მოსმენები ჩატარდა და სპეციალური სამუშაო ჯგუფი შეიქმნა.

ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნათელა აკადა თვლის, რომ „როსნეფტთან“ შეთანხმება ხელისუფლების მხრიდან რესპუბლიკისათვის ეკონომიკური განვითარების აღტერნატული გზების ძიების დადგებით მცდელობად უნდა შეფასდეს.

„თუ ჩვენ მხოლოდ ტურისტული სექტორით შემოვიდარებით, ჩვენ შევიღებს და შვილიშვილებს ძალიან ბევრ რამეს დავაკლებთ“, – თქვა მან.

სხვა ექსპერტები ამ თემაზე უფრო კატეგორიულები არიან. მათი აზრით, ეს პროექტი საფრთხეს უქმნის იმას, რაც დღეს აფხაზეთის მთავარ ღირსებას ნარმობადებს: ეკოლოგიურად სუფთა პლაჟები და წყალის ატმოსფერო.

„ამ საკითხს დიდი სიფრთხილით უნდა

მოვეეკიდოთ“, – განაცხადა ექსპერტმა სპარტაკ უიდეკოვჩა.

„ვინაიდან აფხაზეთი არასტაბილური რეგიონია, ნავთობის მოპოვების უსაფრთხოება რესპუბლიკაში სამხედრო-პოლიტიკურ მდგომარეობაზე იწერს დამოკიდებული. აფხაზეთი ტურქისტებსათვის სითაფის გამო არის მიმზიდველი, ასევე უნიკალური ბუნების გამო, რომელსაც დღეისათვის ტექნიკური ზეგავლენა თითქმის არ განუცდა“.

„მისი ეკოლოგიური მდგომარეობის ნებისმიერმა დარღვევამ აფხაზეთის ეკონომიკას შეიძლება მძიმე ზიანი მიაყენოს“.

ექსპერტის მოსაზრებებს ოპოზიციური პარტიებიც იზიარებენ, მათ შორის – ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა, რომელიც სერგეი ბალაფშეს გასული წლის ბოლოს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებზე უწევდა კინკურენციას.

„მე ვთვლი, რომ მსგავსი პროექტებზე ხელის მოწერა, ეკოლოგიური და ეკონომიკური ექსპერტიზის ჩატარების გარეშე, საზოგადოებრივი აზრის იგნორირებით, არამიზანშეწონილია. საზოგადოებრივ პალატაში ჩატარებული მოსმენები მიზე-რულია. არსებობს ხალხი, პარლამენტი, და მსგავსი პროექტები ქვეყნის ხელმძღვანლობაში მითოა უნდა განიხილოს“, – განაცხადა მან.

იგი ასევე გამოთქვამს უკმაყოფილებას იმის გამო, რომ საქციო საზოგადოება „რნ-აბაზიას“ აქციების საკონტროლო პაკეტი – 51% – „როსნეფტს“ ეკუთხის, ხოლო აფხაზეთს – 49%.

„არსა და მსოფლიოში მსგავსი პრაქტიკა არ არსებობს. ვინც თვლის, რომ მომავალში მდგომარეობის შეცვლა შესაძლებელია, ცდება“, – ამბობს ხაჯიმბა.

მსგავს მოსაზრებას გამოთქვამს საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ახიაცას“ ხელმძღვანელი ახრა ბუანია.

„აქ იკითხება ჩვენ სულში გამჯდარი საბჭოთა სტრონი – როცა უფროისი ბიძა გეუბნება, რომ ეს საჭიროა და კარგად იქნები. სახელმწიფო საკუთარ მომავალზე უნდა ზრუნავდეს“, – განაცხადა მან.

თუმცა, „როსნეფტის“ შეილობილი კომპანია „რნ-აფხაზეთის შელფის“ გენერალური დირექტორი ვადიმ ივანცოვი ირწმუნება, რომ, ნავთობის მნიშვნელოვანი მარაგის აღმოჩენის შემთხვევაში, რესპუბლიკის ბიუჯეტი, „როსნეფტან“ შედარებით, 10-11-ჯერ მეტ მოგებას მიიღებს.

„თუ 2010 წლის პროგრამა განხორციელდა, მარტი დღეს სახით, აფხაზეთის ბიუჯეტში 60-დან 100 მილიონადერუბლი შევა. ალარაფერს ვამბობ მოგების გადასახადზე“, – განაცხადა მან. **■**

კავკასია

ნოვი ალლი – ტრაგედია ტრატელება

ვიდრე რუსეთის ხელისუფლებაში პუტინია, სავარაუდოდ, არავინ დაისჯება იმის გამო, რაც 10 წლის წინ ნოვი ალლიში მოხდა.

ლაურა ჰასანოვა, გროზნო



■ ტრატელი შოთა მინუტა „მინუტა“ გროზნოში, ადაც ყველაზე სისხლისმლერები მოძიოდნენ მიართებოდა. რუსი სამხედროები, 2000 წლის 9 თებერვალი, ნოვი ალლის ტრატელების 4 დღეში.

2000 წლის თებერვალი ჩეჩენეთში განსაკუთრებულად ცივი და სუსტიანი გამოდგა. გროზნო უკვე ხელიდან ეცლებოდათ ჩეჩენ მებრძოლებს, რომელიც სოფელ-სოფელ, მშვიდობას მოსახლეობას ამოფარებულები, იხიზნებოდნენ მთებში. მათ ფეხდაფებ მიჰყებოდნენ რუსი ფედერალები და გზად დატრილებსა და დალუბულებს ტოვებდნენ. რუსი გენერლები და პოლიტიკოსები, რომლებმაც გამარჯვების სუნი იგრძნეს, უმართავები გახდნენ.

ამ დროისთვის რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობას უკვე ვლადიმირ პუტინი ასრულებდა. იგი პირადად კურირებდა იმას, რაც ჩეჩენეთში ხდებოდა.

ათი წლის წინ თებერვალში გროზნოს მახლობლად დაბა ნოვი ალლიში

■ „ჩვენ კი არ ვცხოვრობთ, ვარსებობთ. უძრალოდ იმის გაგება გვინდა, რისთვის მოხდა ეს ყველაფერი? და რატომ არ შეუძლია ხელისუფლებას ეს დანაშაული გამოიძიოს და დამნაშავები დასაჯოს?“

ჩეჩენეთის ომის ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი ტრაგედია დატრიალდა. ბოევიკების განადგურების მოტივით, სოფელში სანკტ-პეტერბურგის შემთავარი სამმართველოს სპეცდანიშნულების რაზმი შევიდა. ე.ნ. წმენდას 56 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

დაღუპულთაგან არც ერთი არ ყოფილა ბოვევიკი. ისინი, ძირითადად, ქალები და მოხუცები იყვნენ.

„ორი თვე გვბომბავდა ავიაცია, ჩვენ კი სარდაფებში ვიმალებოდით. 4-ში სოფელში რუსი ჯარსაკაცები გამოჩნდნენ, საბუთებს გვიმოწმებდნენ. გვეგონა, ომი დამთავრდა. ერთმა რუსმა სამხედრომ, რომელმაც საბუთები შემიმოწმა, მითხრა: გაიქცით, სარდაფებში ნუ დაბრუნდებით, ხვალ აქ ცხოველები მოვლენ. ისინი ქვას ქვაზე არ დატოვებენო. ასეც მოხდა. მეორე დღეს ჩვენი სოფელი აღარ იყო“, – ჰყევება მოვლენების თვითმხილველი ასეთ ჩადაევა.

ეს ამბავი მეორე ჩეჩენური ომის ნაწილია. ამ ომამ პუტინი ხელისუფლებაში მოიყვანა. ნოვიე ალდის სისხლიანი საქმისთვის რუსეთის მართლმასაჯულებას ამ დრომდე არავინ დაუსჯია. ეს ტრაგედია თითქმის აღარავის ახსოეს. მასობრივი მკვლელობებიდან 10 წლის შემდეგ ადამიანის უფლებათა დამცველები რუსეთის მთავარპროკურორს მიმართავენ, რათა ნოვიე ალდის საქმის გამოძიება ხელახლა დაწილოს. „ამ ტრაგედიას არ აქვს ხადაზმულობის ვადა“, – ამბობენ ისინ.

ნოვიე ალდიში დაზარალებულთა საქმეების განხილვისას სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ დაადგინა, რომ მასობრივ მკვლელობებში რუსეთის ხელისუფლებაა დამნაშავე. რუსეთის ფედერაციას მოსარჩელებისთვის, რომელიც ტრაგედიის დროს დაღუპულთა ნათესავები არიან, დაახლოებით ნახევარი მილიონი ევროს გადახდა დაეკისრა.

ჩეჩენითის პრეზიდენტი რამზან კადიროვი ტრაგედიის დღეს – 5 თებერვალს დაბა ნოვიე ალდიში ჩავიდა და იქაურ მეჩეთში, პარასკევის ტრადიციულ ღორცვაზე თქვა: „10 წლის წინ გარეწინებმა, რუსეთის არმიის შემარცხენელებმა, აქ სისხლიანი წმენდა მოაწყვეს. ადრე თუ გვიან ისინი აუცილებლად დაისჯებიან. გბირდებით, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ამიერიდან ვერც ერთმა ძალამ ვერ შეძლოს ჩეჩენური მიწის სისხლით მორწყვა“.

კიდევ ერთი ადგილი, სადაც 5 თებერვალი ახსოვთ, სანკტ-პეტერბურგია, რადგან სწორედ იქაურმა სპეცდანიშნულების რაზმმა ჩაიდინა ნოვიე ალდიში გაუგონარი სისასტიკე.

ამ დღეს პეტერბურგელი ღიაბერალები, ადამიანის უფლებათა დამცველები, არასამთავრობი ორგანიზაციები და მოხუცები იყვნენ.

ბის წარმომადგენლები და რიგითი მოქალაქეები, რომელთათვისაც სულერთი არ არის, რა მოხდა ნოვიე ალდიში, ქუჩაში გამოდიან, რათა პატივი მიაგონ 5 თებერვალს დაღუპულებს.

წელს ხელისუფლებამ აქციის ორგანიზატორებს პიკეტის მოწყობის უფლება არ მისცა, იმ მიზეზით, რომ იქ, სადაც დემონსტრაცია დაიგეგმა, სახურავებიდან ყინულის ლოლოები უნდა ჩამოეტეხათ.

ტრაგედიიდან 10 წლის თავზე ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრმა „მემორიალმა“ დოკუმენტური ფილმი მოამზადა, რომლის ჩვენება 5 თებერვალს მოსკოვსა და სანკტ-პეტეტებურვეში მოეწყო. ფილმში „ნოვიე ალდი – საქმე, რომელსაც ხანდაზმულობის ვადა არა აქვს“ თვითმხილვები თავად ჰყვებან რა გადახდათ 2000 წლის 9 თებერვალს. ინტერვიუების დიდი ნაწილი ადამიანის უფლებათა ცნობილმა დამცველმა ხატალია ესტემიროვამ ჩანერა. ესტემიროვა გასულ ზაფხულს გრიზნოში უცნობებმა გაიტაცეს და მოკლეს.

ფილმის გმირებს შორისა ქალი, რომელმაც ქმარი და ორი შვილი დაკარგა. „არ ვიცი, როდის დამთავრდება ეს ყველაფერი და რამდენი სისხლია კიდევ საჭირო პუტინის პრეზიდენტობისთვის, არა მგონია, ჩვენ და რუსებმა ერთ ქეყანაში ცხოვრება შევძლოთ“, – ამბობს ლუიზა აბულჰანოვა.

მალიკას ახსოეს, რომ იმ დღეს შავად თოვდა, იმიტომ რომ გარშემო სახლები ინვიდა. მისი სახლიც მათ შორის. „ბრძანება გავაქს, ყველანი დაგხოცოთ! თქვენ თუ არ დაგხოცა-

ვთ, ჩვენ მოგვკლავენ, – ყვიროდნენ ისინი, – იხსენებს მალიკა, – ოქროს სამეულები მიპქონდათ, თუ ვინმეს ოქროს კბილებს შეიძინავდნენ, კლავდინ და კბილებს აცლიდნენ. ღრიალებდნენ: „ფული სად არის? ფული მოგვეცით!“

მალიკამ გადარჩენა მოახერხა, მაგრამ სამი ნათესავი დაკარგა.

ერთ-ერთი ქალბატონი იხსენებს: „ტელევიზორი აუმულატორზე ჩავრთეთ. რუსული არხები გადმოსცემდნენ, ვითომ სპეციალური ოპერაციისას ფედერალურმა დაბა ბოევიკებისგან განმინდეს. ამ დროს გვერდით დახოცილი ნათესავების ცხედრები გვესვენა. რა დამავიწყებს ამას?“

დაზარალებულები ამბობენ, რომ მშვიდობამ ჩეჩენეთში დღემდე ვერ დაისადგურა. ნოვიე ალდის მსგავსი ეპიზოდები ჩეჩენეთის ომში არ ერთი და ორი იყო.

„ჩვენ კი არ ვცხოვრობთ, ვარსებობთ. უბრალოდ იმის გაგება გვინდა, რისთვის მოხდა ეს ყველაფერი? და რატომ არ შეუძლია ხელისუფლებას ეს დანაშაული გამოიძიოს და დამნაშავები დასაჯოს?“ – ამბობს ელვირა დომბაევა, იმ მოვლენების თვითმხილველი.

„დღეს, როცა გროზნოში დავდივარ, ვერ ვამჩნევ ვერც ახლად აშენებულ სახლებს, ვერც მაღაზიების ვიტრინებს, ვერაფერს. ირგვლივ მხოლოდ გარდაცვლილთა და მათი მკვლელების სახეებია. ჩვენ გვეუბნებიან, რომ იმი დასრულდა. კი, მაგრამ როგორ დასრულდა, თუკი ჩვენ ვერასოდეს დავივიწყებთ ამ დღეს?“ ❷

მეორე ჩეჩენური ომი

მეორე ჩეჩენური ომი 1999 წლის 30 სექტემბერს დაიწყო. ჩეჩენეთში რუსეთის სტატისტიკის კომიტეტის მონაცემებით, მშვიდობისა მოსახლეობისა საველე მეთაურების შამილ ბაშავებისა და ჰატიბის შემთხვევაში მეტაბინი და ასევე ბუნიაკსში, მოსკოვსა და ვოლგოდონს საცხოვრებელი სახლების აფეთქება. კონფლიქტის აქტიური, შეარაღებული ფაზა 1999-2000 წლებში გაგრძელდა. მეორე ჩეჩენური კამპანიის

დროს დაღუპულთა ზესტი რაოდენობა უცნობია. რუსეთის სტატისტიკის კომიტეტის მონაცემებით, მშვიდობისა მოსახლეობისა შორის მსხვერპლი 10-დან 20 ათასამდე მერყეობს. ბასავებისა და ჰატიბის შემთხვევაში მეტაბინი და ასევე ბუნიაკსში, მოსკოვსა და ვოლგოდონს საცხოვრებელი სახლების აფეთქება. კონფლიქტის აქტიური, შეარაღებული ფაზა 1999-2000 წლებში გაგრძელდა. ათასამდე აღწევს. გარდა ამისა, 3 ათასზე მეტი ადამიანი და კარგულად და გატაცე-ბულად ითვლება.

1999 წლის სექტემბერში რუსეთის პირველი პრეზიდენტის ბორის ელცინის მიერ შემოლებული კონტრტერორისტულ ოპერაცია ჩეჩენეთში მხოლოდ 9 წლის შემდეგ, 2009 წლის 16 აპრილს, 00.00 საათზე რუსეთის შესამეტე პრეზიდენტის დმიტრი მედვედევის ბრძანებით დასრულდა. თუმცა, ჩეჩენი ადამიანის უფლებათა დამცველები ამბობენ, რომ სრულფასოვან მშვიდობამდე აქ ჯერ კიდევ შორის.

კომახიძე ჟენევაში

23 თებერვალს ვახოს პანაკში პირველი გასაუბრება ჩატარებული გასაუბრება არაბუნებრივად დიდხანს, ექვს საათზე მეტხანს გაგრძელდა. პირველადი გადაწყვეტილება – ისევ მკაცრი რეჟიმის ბანაკში დატოვებენ თუ უფრო მსუბუქ რეჟიმში გადაიყვანენ, უახლოეს დღეებში უნდა მიიღონ. ვახოს პაერივით სჭირდება რეჟიმის შემსუბუქება, რადგან სადაც არის, იქ კომპიუტერზე მუშაობის უფლება არა აქვს, ამის გარეშე კი დაწყებულ ფილმზე მუშაობის გაგრძელება წარმოუდგენელია.

სოზარ სუბარი, უენევა

ნამლებით სავსე პარკი, პიჯაკი, პერანგები, მაისურები და მრავალი სხვა წვრილმანი გამატანა ქეთომ – უურნალისტ ვახტანგ კომახიძის მეუღლემ – უენევაში, სადაც 21 თებერვალს ჩავედი. ქეთო შვილის – 9 წლის ლევანის განცდებზეც მიყენებოდა – ძალიან ნერვიულობს, როცა ტელევიზიონში მამისადმი მიძღვნილ გადაცემებს უყურებსო. ოჯახისთვის ძალიან მოულოდნელი იყო, რომ ვახომ შვეიცარიაში პოლიტიკური თავშესაფარი მოიხოვა. როგორც ჩანს, მოულოდნელი იყო თვითონ ვახოსთვისაც. მას რომ დარჩენა წინასწარ ჰქონიდა გადაწყვეტილი, მისი ნივთების წაღება მეარ მომიხდებოდა.

ვახტანგ კომახიძე საგამოძიებო ფილმს აკეთებს 2008 წლის აგვისტოს რუსულერთულ მათზე. ამ მიზნით, იგი ცხინვალშიც იყო შესული და, როგორც თვითონ ამბობს, საინტერესო მასალები მოაგროვა. ამ მასალების წანილი მაჩვენა კიდეც, როცა უენევის ერთ-ერთ ბარში ვისხედთ და მიყენებოდა, რომ სწორედ ამის შემდეგ გააძლიერა ხელისუფლებამ მისი დევნა. პარლამენტის წევრები, სახელისუფლების ტელევიზიის სამშობლოს მოღალატის ეპითეტს არ იშურებდნენ. სახლთან რამდენჯერმე დახვდნენ უცნობი პირები და დაემუქრნენ, თუმცა ამის შესახებ მეუღლისთვის არაფერ უსურებას – რჯხში რასაც ხედავდნენ, ისიც საკმარისი იყო ნერვიულობისთვის. ბოლო წევთი, როგორც ჩანს, თბილისის აეროპორტში შეს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტმენტის (ჟუდი-ს) მთელი შემადგენლობის დახვედრა იყო. ვახო უენევაში მიდიოდა, რათა უენევის მოღაპარაკებების მონაწილეებისა გან დამატებითი მასალები მოყვავებინა. კუდი-ს თანამშრომლები სასაზღვრო კონტროლის საზღვრის მიღმა დახვდნენ და დაემუქრნენ. უენევაში ჩასულმა კომახიძე



■ ვახტანგ კომახიძის მხარდასაჭერი მიტინგი შვეიცარიის საელჩოს ნინ, თბილისი, 13 თებერვალი 2010

ფოტო: ილია ბარაზევის

შვეიცარიის მთავრობისგან თავშესაფარი მოითხოვა.

ვახო უენევის აეროპორტში დამხვდა. 21 თებერვალი კვირა იყო, ვახოს კი სწორედ შაბათსა და კვირას აძლევენ ლტოლვალობის მაძიებელთა ბანაების დატოვების უფლებას. არა მარტო ვახოს, არამედ სხვებსაც. ზოგიერთი მათგანი – ვახოს თანაბანაელები – აეროპორტშიც ვნახეთ, კიდევ რამდენიმეს უენევის ცენტრში, რკინიგზის ვაგზალთან შეეცვდთ. ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც აეროპორტში შეგხვდა, რამდენიმე დღის წვერით და ხელში შოკოლადის დიდი ყუთით, გვეუძნება, – საქართველოში უნდა დაგებრუნდე, დიდი ხანა, ევროპში ვარ და მეტი გაძლება არ შემიძლია. მე კი დავიჯერე, მაგრამ ვახო მეუბნება, გიცნი და ამიტომ ამბობს, ასე, თორემ არსად არ პირებს დაბრუნებასო. სხვები, პირიქით, იმას ცდილობენ, როგორ მოპოვონ ევროპაში ლტოლვილების რეალური ცხოვრებას. მათი უმრავლესობა აცხადებს, რომ ცხინ-

ვალის რეგიონიდან არის, ან სოფელ პერევიდან, და თავშესაფარს ითხოვენ, – ჩვენი სახლები ოკუპირებულ ტერიტორიაზეა და უკან ველარ ვბრუნდებითო. მარტო შვეიცარიაში იმდენი „პერეველია“, რამდენსაც პერევეში არათუ არასადროს უცხოვრია, მეონი, არც კი გაუვლია. სხვაგონაც იგივე ხდება, თითქმის მთელ ევროპაში...

ვახო თავის პრობლემებზე ნაკლებად ლაპარაკობს, ამ ბიჭების ამბებს მიყენება – თავის სტიქიაშია, ამათ ცხოვრებაზე ფილმის გადაღების იდეა ანუხებს. ნახევრად დოკუმენტური, ნახევრად მხატვრული – ქართველი ლტოლვილების რეალურიცხოვრება ევროპაში.

შმაგი, რომელიც ვაგზალზე შეგვხვდა, 5 თვის წინ წამოვიდა საქართველოდან. არალეგალურად გადავიდა ევროპაში, იარა, იარა და შვეიცარიის მთავრობას ჩაბარდა. წესიერი, მშრომელი ბიჭი ჩანს. საქართველოში სამუშაო ვერ ვიშოვე და იძულებული გავხდი, წამოვსულიყავიო.

ვახომ მიხსნის, რომ უმრავლესობა თავს ქურდობით ირჩებს. აქაური კანონებიც დასწავლილი აქვთ: თუ ნაქურდალის ფასი სამას ფრანგზე ნაკლებია (დაახლოებით 510 ლარი), დაანაშაულად არ ითვლება, მხოლოდ ადმინისტრაციული დოკუმენტი. პოდა, აქაური ფასების არ იყოს, 299.99-ზე ჩერდებიან, რათა ციხეში არ მოხვდენ. თუმცა, პრობლემა ციხე კი არა, დეპორტაციაა, სამშობლოში დაბრუნება – ამას ციხეში ყოფნა ურჩევნიათ. რამდენიმე წლის წინ ვენაში ერთმა ქართველმა, რომელიც ასევე ქურდობით ირჩენდა თავს, მითხრა, პირველად როცა დამიჭირეს, ინგლისური და კომპიუტერი ვისწავლე, მეორეჯერ ფრანგულ ვისწავლი, ხოლო სახლში თუ დავპრუნდები, რა უნდა ვაკეთოო.

კიდევ ერთ ბიჭს – აგიოს წინა ჩამოსვლაზე შევხვდი. მეუღლე ჰყავს ირლანდაში და თვითონაც იქთვენ აქვს გეზი ალბელი. 21 წლისაა, მღრისი, საცავრი ხმა აქვს, ნებისმიერ ანსამბლს დაამშენებს. როცა ცოლი შეირთო, ამ უკანასკენელს ირლანდიის ვიზა პერნდა, სასწავლებლად უნდა ნასულიყო. შეიანხმდნენ, რომ ავთოც მალე გაცყვებოდა, მაგრამ ვიზა ვერ მიიღო. გასული წლის აგვისტოში ბავშვს ელოდებოდნენ. რაც უფრო ახლოვდებოდა ეს თარიღი, მით უფრო შფოთავდა. ივლისში

მეუბნებოდა, კანადა აირჩია – გავიგე, იქ სამუშაოს შოვნა უფრო ადვილია. თუ კანადაში ჩააღწევს და სამუშაოსაც იშოვის, ძალიან მეეჭვება, რომ ოდესმე სამშობლოში დაბრუნდეს. მის შეილებზე აღარაფერს ვაბობ, – სადაც გაიზიდებიან, იქაურები იქნებიან, იქაურ ადათებს, იქაური ცხოვრების წესს შეითვისებს, და საქართველო მათვას უცხო ქვეყანა იქნება.

განსაკუთრებით ბოლო პერიოდში იმატა არალეგალურმა მიგრაციამ – როცა საზოგადოებაში ჩაერა იმედი, რომ რამე უკეთესობისენ შეიცვლება. ვახომ ცირითადად ამ ბიქებზე, მათ პრობლემებზე მელაპარაკება, თან წასასვლელად ემზადება – მისი ბანაკი უქნევიდან საათ-ნახევრის სავალზე, სოფელ ვალიორბეშია და იქ დროზე უნდა გამოცხადდეს. თუმცა, ცხადია, გვერდს არც მის ამბავს ვუვლით – ყველაზე მეტად სწორედ ეს მანქტერესებს. მიყვება, როგორ ემუქრებოდნენ პირადად მის და მის ოჯახსაც. იმდი აქვს, მალე გასაუბრება ექნება და ნაკლებად მყაცრ ბანაკში გადაიყვანენ, საიდანაც გარეთ გამოსვლა უფრო თავისუფლად იქნება შესაძლებელი.

ვახომ ერთი პერიოდი თბილისში, ჩრდილების თეატრში მუშაობდა. პარაზში, ტკიონში, მსოფლიოს მრავალ ქალაქში აწყობდნენ დადგმებს. ფიქრობს, აქაც გა-

■ ვახომ სწორედ ამ თემაზე დაიწყო ფილმის კეთება, რამაც განსაკუთრებით გააღიზიანა ხელისუფლება. დაიწყო მუქარებისა და ცილისწამების ახალი კამპანია.

უკვე ველარ მოითმინა და გაიპარა – ბელარუსი, პოლონეთი, ავსტრია, ჩეხეთი, იტალია... თანდათან, ზიგზაგებით მიიწვედა დასავლეთისენ. იტალიაში პოლიციელებმა დაიჭირეს, სასტიკად სცემეს და 3 დღის ვადა მისცეს ქვეყნის დასატოვებლად. შევიცრიაში გადავიდა და ჩაბარდა მთავრინისა – ისიც ლტოლვილობის მაძიებელი გახდა.

ამასპაში შეილიც შეეძინა. თავისი გეგმა გამანდო, – საფრანგეთში უნდა გადავიდე, იქიდან ინგლისში მატარებლით შევიპარებო; შესწავლილი პერნდა, ეს როგორ იყო შესაძლებელი, შემდეგ კი რამენირად ირლანდაში გადავალო. როგორ მოახერა ამდენი, არ ვიცი – ქართულის გარდა ვერ ერთ ენაზე ვერ ლაპარაკობს, თუ საყველპურო რუსულს არ ჩავთვლით. ეს ყველაფერი შეარმან ოქტომბერში იყო. შემდეგ ესპანეთში გადასულა და ახლა იქ არის თურქე. როგორ პაირებს იქიდან ირლანდიაში მოხვედრას, არ ვიცი. საბოლოო ნავსაყუდელად კი, როგორც მაშინ

აკეთოს ჩრდილების თეატრი და თავი ამით ირჩინოს. ვეშუმრები, – ბანაკში მყოფ ბავშვებს თუ დასაქმებ და ქურდობაზე ხელს ააღინებ, ცალკე შევიცარის მთავრობა ჩამოგვიდებს მედალს და ცალკე – სამშობლო-მეთეჯ. ბევრს ვერა, მაგრამ ერთი-ორი ახალგაზრდას დასაქმება, ვისაც ნიჭი აღმოაჩნდება, შეიძლებაო, – სერიოზულად მცასუბობს.

ვახომ რამდენიმე ფილმშა ხელისუფლება განსაკუთრებით გააღიზიანა. არა მხოლოდ გააღიზიანა, ეს ფილმები ხელისუფლებას ყელში გაეჩხირა და ველარაფერს უხერხებს. მაგალითად, საგამოძიებო ფილმი 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებზე, როცა საქართველოს ხელისუფლებამ პროვოკაცია მოაწყო: ქართველმა სპეცსამსახურებმა გალის საზღვართან შეიარაღებული კონფლიქტის იმიტაცია მოაწყვეს, ჩენენსავე ავტობუსს უტმბარა ესროლებს და ცეცხლი ნაუკიდეს, ერთი ქალბატონი ტყვიით დაჭრეს და შემდეგ ცდილობდნენ,

ეს ყველაფერი აფხაზებისთვის დაგეპრალებინათ. და ეს ყველაფერი პირდაპირ ეთერში ხდებოდა – ცუდად დადგმული დანაშაულებრივი სპექტაკლი უურნალისტებისა და პოლიციელების მონაწილეობით. ვახომ ნათლად აჩევნა, რომ ეს ქართული მხარის პროვოკაცია იყო და ამით კიდევ ერთხელ გააღიზიანა ხელისუფლება.

დღემდე აქტუალურია 5 წლის წინ გადაღებული ფილმი პრემიერ-მინისტრ ზურაბ უვანისა მკვლელობის შესახებ – კითხვები, რომლებიც მაშინ დასვა კომახიძემ, დღემდე პასუხებულებელია. მკვლელობას ვაბბობ, რადგან ვახომ დარწმუნებულია, რომ ეს მკვლელობა იყო. ამ თემაზე ჩვენ ბევრი გვიყამათია – მიუხედავად ხელისუფლების მიმართ ჩემი კრიტიკულად დამოკიდებულებისა, რაღაცების დაჯერერა მაინც მიჭირა. მაგრამ წლები გადის, კითხვები ისევ პასუხებუცემელია, და ვახომ ვერსიაც ნელ-ზელა ჩრდილავს ჩემ ეჭვებს...

საქართველოს ხელისუფლებისთვის ყველაზე მტკიცებული თემა მაინც ცხინვალის ომია. კითხვები ბევრია: შეიძლებოდა თუ არა ამ ომის თავიდან აცილება? საქართველო რუსეთის პროვოკაციას წამოეგო თუ ორმხრივ პროვოკაციებს პერნდა დადგილი? აგვისტოს დღეებში რა უფრო მეტად ანუხებდა საქართველოს ხელისუფლებას – კონფლიქტის ზონაში მოხვედროლი ადამიანების – როგორც ქართველების, ისე ოსების – ბედი თუ მორიგი პიარ? მართალია თუ არა, რომ საქართველოს ხელისუფლება წინასწარ ემზადებოდა ზემისთვის – ცხინვალში უკვე ჩატანილი პერნდათ მთელი დუშინი დროშები და ტრიბუნა. გამარჯვებული პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლისთვის, მაშინ, როცა დიდი ლიახების ხეობაში გრამი სამვაცი არ იყო მომარაგებული, ხოლო დიმიტრი სანაკოვის ე.წ. მთავრობა ისე გამოპარა ხელიბიდან, რომ მოსახლეობა არც გასენება?

ვახომ სწორედ ამ თემაზე დაიწყო ფილმის კეთება, რამაც განსაკუთრებით გააღიზიანა ხელისუფლება. დაიწყო მუქარებისა და ცილისწამების ახალი კამპანია. გამარჯვებული პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლისთვის, მაშინ, როცა დიდი ლიახების ხეობაში გრამი სამვაცი არ იყო მომარაგებული, ხოლო დიმიტრი სანაკოვის ე.წ. მთავრობა ისე გამოპარა ხელიბიდან, რომ მოსახლეობა არც გასენება?

ვახომ რამდენიმე ფილმშა გააღიზიანა. არა მხოლოდ გააღიზიანა, ეს ფილმები ხელისუფლებას ყელში გაეჩხირა და ველარაფერს უხერხებს. მაგალითად, საგამოძიებო ფილმი 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებზე, როცა საქართველოს ხელისუფლებამ პროვოკაცია მოაწყო: ქართველმა სპეცსამსახურებმა გალის საზღვართან შეიარაღებული კონფლიქტის იმიტაცია მოაწყვეს, ჩენენსავე ავტობუსს უტმბარა ესროლებს და ცეცხლი ნაუკიდეს, ერთი ქალბატონი ტყვიით დაჭრეს და შემდეგ ცდილობდნენ.

15 წელია, ადამიანის უფლებებს ვიცავ, 5 წელი საქართველოს სახალხო დამცველი ვიყავი და ზუსტად ვიცი, იმის გარანტიას, რომ საფრთხე არ ემუქრება, ვერავინ მის-ცემს. ც



საზოგადოება

რატომ იღუპებიან ახალშობილები

ახალშობილთა სიკვდილიანობის მთავარი მიზეზია სუნთქვის აპარატების ნაკლებობა და პათოლოგიებით გამოწვეული ნაადრევი მშობიარობები.

ეკა ჭითანავა

აქ ახალშობილები შეუძის ინკუბატორებში ცხოვრობენ. ოთაბინი შესვლის უფლება მხოლოდ ექიმებს და მშობლებს აქვთ. კარს აწერია: „რეანიმაცია“. შარმან აქ 121 ბავშვი გარდაიცვალა.

ლუკა წიკლაური 1.300 კილოგრამს იწონის, უკვე ოცი დღეა, გამჭვირვალე აპარატში წევს და ხელოვნურად იყვებება. ლუკას გარდა, ექიმები კიდევ ოთხი ჩვილის გადარჩენას ცდილობენ.

საქართველოში „გაცოცხლების“ შანსი ახალშობილთათვის არათანაბარია.

ქუთაისის ბავშვთა სახლში თამუნას 3 წლის წინ ტყუპი გოგო-ბიჭი გარდაცვალა. ბავშვები დღინაკლულები დიაბადნენ დდ, მართვითი სუნთქვის აპარატის არქონის გამო, ექიმებმა ისინი ვერ გადაარჩინეს. ზუსტად ამ მიზეზით 2008 წელს საქართველოში 150-მდე ახალშობილი დაიღუპა.

„ამ მონაცემებმა შევეძრა“, – იხსენებს ჯანდაცვის მინისტრის მრჩეველი ვერიკო ბაზიარი და ამბობს, რომ წელს H1N1 ვირუსის გამო უარეს მონაცემებს ელოდებიან.

ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი

ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი ინდიკატორია. საქართველოში პერინატალური სიკვდილიანობის მაჩვენებელი, 1000 დაბადებულიდან 24 გარდაცვლილი – ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია.

ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირების ვალდებულება საქართველომ ჯერ კიდევ 2000 წელს აიღო, როცა 188 სახელმიწოდებაში ერთად „მილენიუმის განვითარების მიზნებს“ მოაწერა ხელი. მას შემდეგ სიკვდილიანობა შემცირდა, თუმცა ბოლო წლებში მონაცემები თითქმის არ შეცვლილი და



■ **საქართველოში პერინატალური სიკვდილიანობის მაჩვენებელი, 1000 დაბადებულიდან 24 გარდაცვლილი – ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია.**

სტაბილურად მაღალია.

ვაღლებულების მიხედვით, საქართველომ ხუთი წელინადში ეს მაჩვენებელი კიდევ ორი მესამედით უნდა შეამციროს. თუმცა, ამისთვის მინიჭებულ სამი ფაქტორის გამოსწორება საჭირო.

ჩველ ბავშვთა სიკვდილიანობის მთავარი მიზანი სურველისა აპარატების სიმცირეა.

პატარები ყველაზე ხშირად დაბადებიდან პირველი კვირის განმავლობაში იღუპებან, ძირითადად სურველის დარღვევის გამო. ღუდუშურის სამეცნიერო ცენტრის მონაცემებით, დღენაკლუბ ახალშობილთა უმრავლესობას ფილტვების ხელოვნური ვენტილაცია სტირდება. საჭიროა, დაბადებიდან 12 საათის განმავლობაში ახალშობილებს ხელოვნურად მიაწოდონ სუნთქვისთვის აუცილებელი ნივთიერება სურვაჟტანტი, რომის გამომუშავებაც დღენაკლუბმა დედის მუცელში ვერ მოასწრეს.

ღუდუშურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის პერინატალური დეპარ-

ტამენტი მაღალი რისკის ორსულებსა და ახალშობილებს ემსახურება, აქ რეანიმაციული განცყოფილება მხოლოდ 10 ახალშობილზე გათვლილი. დღეში კი დაახლოებით 15 ქალი მშობიარობს, რის გამოც, რეანიმაციაში სანოლებები ხშირად დაკვებულია და გარედან შემოსული ახალშობილისთვის ადგილი თითქმის არ რჩება.

იგივე პრობლემაა გივე უვანის სახელობის პედიატრიული კლინიკის რენინმაციულ განცყოფილებაშიც – აქ ექვსი სასუნთქი აპარატი აქვთ, გადაუდებელი დახმარება კი გაცილებით მეტ ახალშობილს სჭირდება ხოლმე.

გელა მეცხვარიშვილი, ღუდუშურის კლინიკაში პერინატალური ცენტრის მთავარი ნეონატოლოგი აღნიშნავს, რომ სუნთქვის აპარატები არა მხოლოდ ღუდუშურის ან თბილისის სხვა კლინიკებში, არამედ მთელი საქართველოს მსსტაბით არასაკმარისა. მისი თქმით, მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მინიმალური ტექნიკით რაიონული კლინიკებიც უნდა აღიქვროს.

თუმცა, ტექნიკური მხარე მხოლოდ აისტერების თავია. პრობლემის გადაწყვეტას უფრო სისტემური მიზანობა სჭირდება, მაგალითად რეფერალური მომსახურების განვითარება (როდესაც სამედიცინო ცენტრი მზადა, აუცილებელი დამსარებით უზრუნველყოს, მძმე მშობიარობის შემთხვევაში, დედაც და ახალშობილიც), რაც ჩვენთან 90-ანი წლების ბოლოს დაინირგა, მაგრამ დღემდე ფრინვდება.

საქართველოში ორი პერინატალური ცენტრი მოქმედებს, რომელიც ერთდროულად არის სამშობიაროც და ბავშვთა რეანიმაციული განცყოფებაც – ქვეთასა და თბილისში. წესით, ყველაზე მოწვევტილი სოფელებიდან, მოსალიფენელი მძმე მშობიარობის შემთხვევაში, ორსული პირდაპირ აქ უნდა გადაჰყავდეთ. გართულების თავიდან ასაცილებლად, ახალშობილს დახმარება პირველ წუთებში უნდა აღმოსავანობო, რისი საშუალებაც რაიონულ სავადმყოფოებს არ აქვთ.

მოუხედავად ამისა, რეანიმაციულ განცყოფებები მძმე პათოლოგიის მქონ ახალშობილი მაინც დაგვიანებით გადაჰყავთ.

„როცა რესტავრის სამშობიაროში 28 კვირის არსულს საკეისროს უკეთებენ და შემდეგ უკვე კატასტროფის ცენტრს ბავშვითბილისში გადმოჰყევს, 800 აპარატიც რომ გქონდეს, მაინც ვერ შეამცირებს სიკვდილიანობას“, – აცხადებს იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს კლინიკური დორექტორი ქეთი ნემსაძე. მისი აზრით, ამ საავადმყოფოებს უნდა ეკრალუბიდეთ მაღალი რისკის ორსულის მიღება, რაც ლიცენზიის პირობებშიც უნდა იყოს

ჩადებული ისე, როგორც ეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ხდება.

ჯანდაცვის სამინისტროში არ უკარყოფენ, რომ ლიცენზირების პირობები უკიდურესად გამარტივდებულია და ეს პროცედურა დასახელდა. რამდენიმე წლის წინ, კორუფციასთან პრობლემის მიზნით, ლიცენზიის მიღება გაამარტივებს.

25 წლის ანი ზაქარაიას ორსულობის მეშვეობები თვეზე მაღალი პროტორმბინ აღმოჩნდა. ექიმმა ნამლები დაუნიშნა, თუმცა ორი კვირის შემდეგ გაირკვა, რომ მკურნალობას შედეგი არ გამოულია. დამატებითი ნამლების მიღებამდე კი მშობიარობა დაეწყო და რვათვიანი ბავშვი გააჩინა.

„მშობიარობის შემდეგ ოჯახის ახლობელ გინეკოლოგთან მივედო, რომელიც აღმფორდა და მითხრა, რომ ჩემი ნაადრევი მშობიარობის თავიდან ასაცილებლად ნორმალურ ექიმს სტაციონარში უნდა მოვთავს სტაციონარში. ამის ნაცვლად, მე რესტორნებსა და მაღაზიებში დავდიოდი ბოლო დღემდე“, – აღნიშნავს ზაქარაია.

გაეროს ბავშვთა ფონდის ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის თამარ უკულავას თქმით, ახალშობილთა სიკვდილიანობის შემცირებას ხელს ექიმების სისტემატური გადამზადებაც შეუწყობდა. მისი თქმით, მძმე მშობიარობის მიზნები ორსულობის დროს ექიმის მიერ დაშვებული შეცდომებიც ხდება.

უურადღებობას ხშირად თავად პაციენტებიც იჩინენ. „ორსულობისას თბილი კონსულტაცია ექიმთან უფასოა და ორსულები ერთზეც არ მოღიან ხოლმე“, – ჩივან გინეკოლოგბი, ხშირად ორსულის დაუდევრობაცა იმის მიზეზი, რომ ახალშობილები მწვავე ფორმის პათოლოგიებით იბადებიან, რაც უცხოელი ექსპერტების გაკვირვებასაც ინვესტს, – „მეუბნებინ, სეფსისი ჩვენთანაც არის, მაგრამ ამ რაოდენობით თანადყოლილი ინცესტებით ახალშობილები არ იბადებიან – აღნიშნავს მეცხვირიშვილი. მისი თქმით, მნიშვნელოვანია ორსულობის დაგემზვა და კონსულტაციების მეტი ყურადღებით გავლა, რადგან მხოლოდ ერთი მიმართულებით მდგომარეობის გაუმჯობესებას სიევდილიანობას ვერ შეამცირებს.

ახალშობილთა სიკვდილიანობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზას ჯანდაცვის სამინისტრო იმ 15-წლიანი გეგმის შემუშავებაში ხედავს, რომელსაც 2009 წელს ისრაელის შებას სამდიდრო ცენტრთან ერთად მოაწერა ხელი. ამ გეგმის ამოქმედებამდე კი, ექიმები საერთაშორისო დახმარებების, ნაზქარი პარატურისა და ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით ახერხებენ ახალშობილების გადარჩევას. **ც**



პაციენტები

არ მინდა ვიცოდა სიმართლე

ნებისმიერი საშუალო სტატისტიკური ნარკომანი, შესაძლოა, აივინფიცირებული იყოს.

რუსულან რუხაძე

გია 38 წლისაა და, უკვე დიდი ხანია, აღარ მალავს, რომ ნარკომანია. მასთან უსიმოვნო ამბით მივდივარ. ყურადღებით ისმენს სიახლეს, მაგრამ იმის გაგება, რომ დედაქალაქში დაბალოებით 500-მა ნარკომანია არ იცის, რომ აივინფიცირებულია, არ აშფოთებს. „იცით, რამდენი ეგეთი კვლევა ტარდება? რაღა მე ვიქნები 500-დან ერთი“, – ეჭვით უყურებს მონაცემებს. აივზე ანალიზი არასოდეს აუღია, სამაგიროდ იცის, რომ C ჰეპატიტი „დააქვს თან“ და ამის ცოდნაც საკმარისია.

საერთაშორისო ფონდ „კურაციოს“ მიერ გამოქვეყნებული კვლევის ეს მონაცემი არ მოიცავს კონკრეტულ სახელებსა და გვარებს. ხუთასი აივით დაინფიცირებული ნარკომანი – ეს მხოლოდ დაშვებითი რიცხვია, რაც კიდევ უფრო ზრდის იმის შანსს, რომ

ნებისმიერი ინტრავენური ნარკომანი, რომელიც ქალაქში დადის, შესაძლოა, აივ-ინფექციის მატარებელი იყოს.

„კვლევისთვის ხუთი ქალაქი შევარჩიეთ – თბილისი, გორი, ბათუმი, თელავი და ზუგდიდი, რადგანაც ნარკომანიას მაინც ურბანული ხასიათი აქვს. ვიდრე ექსპერტები ნარკომომხმარებელთა საერთო რაოდენობას არ დაადგენენ, აივინფიცირებულთა ზუსტ რიცხვს ვერ ვასახელებთ. ამჯერად შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ეს არა-ნაკლებ 500-ია“, – განმარტავს „კურაციოს“ დირექტორი გიორგი გოცაძე.

ექსპერტების ვარაუდით, ინტრავენურ ნარკომანთა უმრავლესობა – დაახლოებით 25 ათასი ადამიანი, თბილისში ცხოვრობს, სულ კი საქართველოში 40 ათასი ასეთი ნარკომანია. მათივე გათვლით, ბათუმში 300-მდე ნარკომანია, რომელსაც აივ-ინფექცია

■ ინტრავენურ ნარკომანთა უმრავლესობა – დაახლოებით 25 ათასი ადამიანი, თბილისში ცხოვრობს, სულ კი საქართველოში 40 ათასი ასეთი ნარკომანია.

აქვს. ამ ორ ქალაქს შორის მიმოსვლის სიხშირე კი აივ-ის ეპიდემიის საფრთხეს უფრო ზრდის. ორგანიზაცია Family Health International-ის მიხედვით, როდესაც ნებისმიერი ინფექციის, ამ შემთხვევაში კი აივ-ის გავრცელების მაჩვენებელი 5-პროცენტიან ზღვარს გასცდება, ეს ეპიდემიის საფრთხე მიუთითებს. ბათუმი ამ ზღვარს მიუ-

ხლოვდა, თბილისი – ჯერ არა, მაგრამ ტენდენცია მზარდია.

ლელა თავზარაშვილი საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონიდან“, განმარტავს, რომ ნარკომანების სახით პოტენციური აივინფიცირებულების არსებობა განსაკუთრებით საგანგაშოა, რადგანაც ეს ის რისკ-ჯგუფია, რომლებიც აივ-ის ძირითადი გადამტანები არიან. „კვლევამ აჩვენა, რომ ისინი არ იცავენ უსაფრთხოების ზომებს არც „ნემსის მეგობრებთან“ და არც სქესობრივ პარტნიორებთან. გადაცემის შანსი კი ორივე შემთხვევაში თანაბარია. შესაძლებელია ისიც, რომ 4-5 კაციანი სამეგობროს ერთი ინფიცირებული წევრი სხვა ჯგუფში აღმოჩნდეს და იქაც გაავრცელოს.“

გიას კვლევის შედეგებს ვაცნობ და საშუალო მონაცემებით 2009 წლის ნარკომანის პროფილს ვუხატავ: მამაკაცია, ასე 35-40 წლის, ქართველი, საშუალო განათლებით. პირველად 16-17 წლის ასაკში გასინჯა ნარკოტიკი, 18-20 წლის იყო, პირველად რომ „გაიჩინია“. მისი „ნამლის სამეგობრო“ 4-5 ადამიანისგან შედგება, რომელთანაც შპრიციც ხშირად საერთო აქვს. წამალს სახლში იკეთებს და მერე შპრიცს ნაგავში აგდებს. უბრინი ინსპექტორმა იცის, რომ ნარკომანია. დაქორწინებულია, ცოლთან კონდომს არასაღებს იყენებს, არც სხვა ქალებთან ურთიერთობისას, „საჭიროდ არ მიაჩინია“, ან სულაც „არ მოსწონს“. ფიქრობს, რომ შიდა არ დაემართება, თუ ჯანმრთელი პარტნიორი ჰყავს გვერდით. ის პირადად იცნობს აივინფიცირებულს, მაგრამ თავად მაინც არ პირებს ანალიზი ჩაიტაროს. თუკი შეიტყო, რომ ვირუსის მატარებელია, აუცილებლად ეტყვის თავის „ნამლის მეგობარს“. ვერავინ შეძლებს წამალი გადააგდებინოს.

„ეს ტიპი კი მგავს, მაგრამ მერე რა – ცოლის მოყვანას რომ დავაპირებ, ანალიზს აუცილებლად გავიკეთებ“, – კიდევ ერთხელ სამომავლოდ დებს აივ-ზე ტესტს გია.

ფსიქოლოგი თეა გოგოტიშვილი, რომელიც ავტორია წიგნისა „ნარკომანიის პრევენციის ფსიქოლოგიურ-სოციალური საფუძვლები“, საშუალო სტატისტიკური ნარკომანის პორტრეტს სხვა დეტალებსაც უმატებს: „მათ ახასიათებთ უბასუხისმგებლობა, უნებისყობა, განცდა, რომ საფრთხის მიღმა არიან. მათ ეს თვისებები კი არ დაკარგეს, არც ჰქონიათ და

იმიტომ აღმოჩნდნენ ამ პრობლების ნინაშე. ანალიზზე წასვლა პასუხისმგებლობის საქმეა, ისევე, როგორც უსაფრთხო სექსი“.

90-იანი წლებიდან მოყოლებული შიდაზე ტესტირება ნარკომანებისთვის უფასოა. დღეს კი ყველა ქალაქში არსებობს ნებაყოფლობითი კონსულტაციის და ტესტირების ცენტრი, სადაც მათ აივ-ზე უფასო ანალიზის აღებაც შეუძლიათ და დადებითი პასუხის შემთხვევაში – უფასო მკურნალობაც. „კველგან ვავრცელებთ ამ ინფორმაციას, სადაც ხელი მიგვინვდება, მაინც არ მოდიან. კანონი არ ავალდებულებთ, მაგრამ ყველამ რომ ჩაიტაროს ტესტი, ამით საკუთარ სიცოცხლესაც გადაარჩენენ და სხვების ჯანმრთელობასაც. ზოგს ურჩევნია, სულაც არ იცოდეს, რომ აივინფიცირებულია“, – გვიხსნის შიდასია და კლინიკური იმუნოლოგის ცენტრის დირექტორი თენგიზ ცერცვაძე. კვლევის მიხედვით, იმ ნარკომანთა რაოდენობა, ვინც ბოლო ერთი წლის განმავლობაში აივ-ზე ლაბორატორიული გამოკვლევა ჩაიტარა, კრიტიკულად მცირეა (დაახლოებით 3%-დან 8%-მდე ქალაქების მიხედვით).

2010 წლის 15 თებერვლის მონაცემებით, 2282 შემთხვევიდან შიდასი გადადების გზებს შორის, ყველაზე დიდი წილი კვლავ ინტრავენურ ნარკომანიაზე მოდის. 10 რეგისტრირებული აივინფიცირებულიდან ექვსს ინფექცია სწორედ ამ გზით გადაეცა. თენგიზ ცერცვაძის განმარტებით, ეს მონაცემი, წინა წლებთან შედარებით, 10 პროცენტით შემცირდა. ნარკომანებმა სტერილური შპრიცების გამოყენება დაინწყეს. თუმცა გაიზარდა აივინფექციის სქესობრივი კონტაქტით გადაცემის შემთხვევები (10-დან 3 შემთხვევა).

„დიდი ხანია, საზიარო შპრიცი აღარ გამომიყენებია, ყველაფერს ვაკეთებ, რომ ზედმეტი პრობლემები არ ავიგიოდო“, – ამბობს გია და იქვე კვლევის კიდევ ერთ მონაცემს ვაცნობს: ოთხიდან მხოლოდ ერთმა ნარკომანმა აღიარა, რომ ნარკოტიკის „გადაგდების“ გადაწყვეტილებას თუკი ოდესმე მიიღებს, ეს მეგობრებისა და ოჯახის წევრების გავლენით მოხდება. გია ამბობს, – მეც ასე ვფიქრობო. მას იმედი აქვს, ამ ოთხიდან ერთი თავად იქნება და არასდროს აღმოჩნდება იმ 500 ინფიცირებულს შორის, რომელიც ავადაა და არ იცის. ■



ნარკომანის პორტრეტი „კურასიონის“ 2009 წლის ავლევის მიხედვით

თავისი

ნარკომანთა უმეტესობა უმაღლესი განათლებითაა. დიდი ნანილი განქორწინებულია, დაოჯახებულები კი ნაკლებად დადიან მეძღვებთან. ძირითადად, სტერილურ შპრიცებს იყენებენ. ნარკომანობის ათწლანი სტაუ აქვთ და დღეში რამდენჯერმე იღებენ ნარკოტიკებს. პოპულარულია სუბუტექსი.

გათვალისწინებული

დაქორწინებული ნარკომანები მეძღვებთან დადიან და კონდომს არ იყენებენ. ერთხელ მაინც უსარგებლია შახმარი შპრიცია, სშირად გადანა წამლისთვის ქვეყნის გარეთ. ბათუმში ჰქონინის მოხმარების მაქსიმალური მაჩვენებელია.

ზუგდიდი

ნამლის შოვნა ჭირს, ამიტომაც ხშირად უწევთ ზუგდიდის დატოვება ნარკოტიკის მისაღებად. სხვა ქალაქებთან შედარებით, ზუგდიდში ყველაზე იშვიათად იყენებენ კონდომს მეუღლესთან.

გორი

მორფინის ყველაზე პოპულარულია ამ ქალაქში, ისევე, როგორც ე.წ. „ჯეფი“ და „ვინტი“ (იაფასიანი მედიკამენტებისგან კუსტარულად დამზადებული გაბაბრუებული საბუალებები). აივინფიცირებულის არ გამოვლენილა ნარკომანებს შორის.

თავისი

საზიარო შპრიცს იყენებენ, წამალს ხშირად ფულის უქონლობის გამო ვერ შოულობენ, არ იციან, შიდა როგორ გადადის და პირადად არ იცნობენ აივინფიცირებულებს.

ოცენლობისათვის დაავალება

სასიკვლილო, მატრამ განკურნება

როგორ ებრძვის სახელმწიფო საშვილოსნოს ყელის
სიმსივნეს, რომელიც საქართველოში ყოველწლიურად
7 ათას ქალს ემართება.

ნათია გულიაშვილი



მულტიმედიურ სლაიდშოუზე მსხვილი პლანით შთამბეჭდავად იხატება, როგორ იჭრება ქალის ორგანიზმი პაპილომა ვირუსის მე-16 ტიპი – მრგვალი, უნიკინარი გარეგნობის, ვარდისფერი მიკრობურთულა, საშეოლოსნოს ყელში დაზიანებულ ქსოვილს პოულობს, არღვევს უჯრედის დნმ-ს და მასში ისე ჯდება, რომ უჯრედის მოლეკულა არც იცვლება.

„ეს ნაშავას, რომ ამ უცხო სხეულისგან მიყენებულ დაზიანებაზე ჩვენ ორგანიზმს არანაირი იმუნური რეაქცია არ აქვს. სიმსივნის დამთრგუნველი ფაქტორები სხეულში სუსტდება. შედეგად კი უკონტროლოდ იზრდება ის დაინფიცირებული უჯრედი, რომელიც ჩვენ ორგანულ ნაწილად აღიმება. ასე შეუმჩნევლად ერევა ქალის ორგანიზმს საშვილოსნოს ყელის კიბო“, – განმარტავს ვიზუალურ მასალას ექიმი-პათო-

იმ ფონზე, როცა ყოველწლიურად საშვილოსნოს ყელის კიბოს ახლად გამოვლენილი 7 ათასი შემთხვევიდან 50 პროცენტი დაგვიანებულ ეტაპზე, საქართველოში ამ დაავადების გავრცელების და მისგან გამოვლენილი სახელმწიფო პროგრამიდან მიიღოს დაფინანსება, მაშინ როცა ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულები ყველაზე ხშირად 50-დან 60 წლამდე არიან. საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევაში კი, რისკი ქალის რეპროდუქციული პერიოდის ყველაზე აქტიურ მონაკვეთში, ანუ 35-40 წლის ასაკშია მაღალი. მუსერიდე იხსენებს შემთხვევასაც, როცა პაციენტის უკვე 28 წლის ასაკში ჰქონდა საშვილოსნოს ყელის კიბო. გამოდის, იმ ასაკის ქალები, რომელთაც მეურნალობაში დახმარება ყველაზე მეტად სჭირდებათ, ამ დახმარებას ვერ იღებენ.

ეკრობის ქვეყნების უმრავლესობაში, სადაც სახელმწიფოს საშუალება აქცი პაპილომა ვირუსის ვაქცინა შეიძინოს, 10-14 წლის გოგონებს ვაქცინა უფასოდ უკეთდებათ და დაავადებისგან ნინაშარ არიან დაზღვეულნი.

საქართველო კი, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის პაატა იმნაის თქმით, მინიმუმ 3-4 წელი ვერ შეძლებს ვაქცინის შესყიდვას. ეს ბიუჯეტის ზრდაზე დამკიდებული.

ვაქცინა ერთი კვირის ნინ საქართველოში ბრიტანულმა კერძო ფარ-

დნმ-ში შეღწევა. საშვილოსნოს ყელის კიბოს გამომწვევიც 70% შემთხვევაში ვირუსის ეს ორი ტიპია.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სტატისტიკით, საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზით 2 წუთში ერთი ქალი იღუპება, რაც ნელინაში დაბალობით 280 ათასია.

ჩვენთან ყოველწლიურად საშვილოსნოს ყელის კიბოს 7 ათასი ახალი შემთხვევა ვლინდება. ამ მონაცემით საქართველო აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების მაჩვენებელს უტოლდება, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ საქართველოში კიბოს ახლად გამოვლენილ შემთხვევებს შორის მესამე და მეოთხე სტადია ჭარბობს. ეს დაგვიანებული ეტაპია, რადგან მკურნალობა თითქმის უშედეგობა.

ორი წლის ნინ ჯანდაცვის პრიორიტეტიდან ონკოლოგიური დაავადებები მოხსნება. თუ მანამდე სახელმწიფო პაციენტს ამ დაავადებების მეურნალობის ხარჯის 70%-ს უფინანსებდა, ქიმიოთერაპიის ჩათვლით, და ამაზე ყოველწლიურად 6 მილიონ ლარს ხარჯავდა, ახლა ბიუჯეტი 4 მილიონამდე შემცირდა და ასაკობრივი შეზღუდვებიც დაწესდა. დღეს მხოლოდ 18 წლადე ან 60 წელს გადაცილებულ დამინანშეუძლია ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამიდან მიიღოს დაფინანსება, მაშინ როცა ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულები ყველაზე ხშირად 50-დან 60 წლამდე არიან. საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევაში კი, რისკი ქალის რეპროდუქციული პერიოდის ყველაზე აქტიურ მონაკვეთში, ანუ 35-40 წლის ასაკშია მაღალი. მუსერიდე იხსენებს შემთხვევასაც, როცა პაციენტის უკვე 28 წლის ასაკში ჰქონდა საშვილოსნოს ყელის კიბო. გამოდის, იმ ასაკის ქალები, რომელთაც მეურნალობაში დახმარება ყველაზე მეტად სჭირდებათ, ამ დახმარებას ვერ იღებენ.

ეკრობის ქვეყნების უმრავლესობაში, სადაც სახელმწიფოს საშუალება აქცი პაპილომა ვირუსის ვაქცინა შეიძინოს, 10-14 წლის გოგონებს ვაქცინა უფასოდ უკეთდებათ და დაავადებისგან ნინაშარ არიან დაზღვეულნი.

საქართველო კი, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის პაატა იმნაის თქმით, მინიმუმ 3-4 წელი ვერ შეძლებს ვაქცინის შესყიდვას. ეს ბიუჯეტის ზრდაზე დამკიდებული.

ვაქცინა ერთი კვირის ნინ საქართველოში ბრიტანულმა კერძო ფარ-

მაცევტულმა კომპანიამ „გლაქსოს-მიტკლაინმა“ შემოიტანა. ვაქცინის მოქმედების ეფექტი ისაა, რომ იგი სატყუარას ქმნის უჯრედებისათვის, რათა მათ შეძლონ თრაგანიზმი შექრილ უცხო ცილის აღქმა და მასზე რეაგირება.

„გლაქსოსმიტკლანის“ წარმომადგენლის ზურაბ ნატროშვილის თქმით, ცერვარიქსი საქართველოში 155 ლარად შემოიტანეს. ეს ფასი დღეს დასტას სივრცეში, სადაც პრეპარატის ფასი მინიმუმ 150 ლილარიდან იწყება, ხელმისაწვდომია. მიუხედავად ამისა, საქართველოს მოსახლეობის შემოსავალების ფონზე ვაქცინა მაინც საკმაოდ ძვირია, მით უმეტეს მაშინ, როცა ვირუსით დაინტიცირების შანსის ნულამდე დაყანისთვის მისი 3 დოზაა აუცილებელი.

ეფექტურიბის მიუხედავად, ვაქცინის მასობრივ დანერგვაზე სახელმწიფო და საადაზლევო კომპანიები უარს ამბობენ.

„ჯი პი აი ჰოლდინგში“ ახალი ვაქცინის შესახებ არ სმენით და არც იმუნიზაცია აქვთ ჩართული ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტში, „იმედის“ წარმომადგენლის, ნინო შავდიას თქმით კი, ვინაიდნ ვაქცინა მოგვიანებით, შესაძლოა, სახელმწიფო შეისყიდოს, მათი

კომპანია ამას თავის თავზე აღარ აიღებს.

„სადაზღვევოებს თუ ექნებათ გარანტია, რომ კლიენტი ხანგრძლივ დაზღვევას გააფორმებს მათთან, აღბათ მაშინ დანგტერესებით, რომ ვაქცინაც ჩართონ პაკეტში, იმიტომ რომ ეს იაფი დაუჯდება, დაავადებულის მკურნალობა კი ძირი. მაგრამ ჩვენი სადაზღვევოები ზოგჯერ ქიმიოთერაპიასაც არ აფინანსებენ“, – ამბობს პატა იმნაძე.

რამდენიმე წლის განმავლობაში ვაქცინის ჩატარების მსურველს თავად მოუწევს ლირებულების სრულად დაფარვა. დაავადების მკურნალობა კი, კიდევ უფრო დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. ფასი კიბოს განვითარების სტადიაზეა დამოკიდებული და 1000-დან 2500 ლარამდე ჯდება, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, საშვილოსნოს ყელის კიბოს ოპერაციები შემდგომ პერიოდში ქიმიოთერაპიასაც მოითხოვს, რაც ხარჯს კიდევ უფრო ზრდის.

თუკი ხელმისაწვდომი არ არის ვაქცინა, მაშინ უფრო დახვეწილი უნდა იყოს ის სახელმწიფო პროგრამა მაინც, რომელიც ქალებს სხვადასხვა სახის გამოკვლევებს უფასოდ სთავაზობს. ეროვნული სკრინინგ ცენტრის პროგრამა კი, რომელიც რეპროდუქ-


ციული ჯანმრთელობის საბჭომ, სანდრა რულოვსის ხელმძღვანელობით, 2 წლის წინ შექმნა, მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტს ემსახურება. რაიონებში მცხოვრებ ქალებს მასზე ხელი არ მიუწვდებათ. ამიტომ მათვის ერთადერთი აღტერნატივა არსებობს – გამოკვლევა საკუთარ რაიონულ ცენტრში გაიკეთონ და საკმაოდ დიდი თანხა, 70 ლარი გადაიხდონ. თუმცა ამ თანხის გადახდას ეს ქალები ხშირად არა მხოლოდ მატერიალური პრობლემების, არამედ ინფორმაციის ნაკლებობის გამოც გაურბიან. არა მხოლოდ პატარა სოფლებში, არამედ საქართველოს დიდ ქალაქებშიც ბევრს არ ესმის, რომ დორული სკრინინგი სასტიკი სნეულებისგან თავის ერთადერთი დაზღვევაა. ამას ემატება რაიონულ ცენტრებში მოქმედი ექიმების მიმართ უნდობლობაც. ნინო მუსერიძე ამბობს, რომ ექიმებს, რომლებიც ამ გამოკვლევებს რაიონებში ატარებენ, მომზადების დაბალი დონე აქვთ, ამიტომ იქაურ ქალებს თბილისში უძღვებათ ჩამოსვლა.

ცენტრი საშვილოსნოს ყელის გამოკვლევას – 25-დან 60 წლამდე, სარძევე ჯირკვლის შემოწმებას კი 40-დან 60 წლამდე ქალებს სთავაზობს. გამოკვლევებს უფასოდ პაპტეტიკი, რამაც ვირუსის არსებობა და საშვილოსნოს ყელის დაზიანება უნდა გამოავლინოს. უფრო ძლიერი დაზიანების შემთხვევაში კი პაციენტებს კოლპოსკოპიას და ბიოფსიას უტარებენ. ცენტრის ხელმძღვანელის რემალუმინიანი 18 000-მა ქალმა გაიარა შემოწმება. თუმცა იმ ფონზე, როცა ყოველწლიურად საშვილოსნოს ყელის კიბოს ახლად გამოვლენილი 7 ათასი შემთხვევიდან 50 პროცენტი დაგვიანებულ ეტაპზეა, საქართველოში ამ დაავადების გავრცელების და მისგან გამოწვეული სიკვდილიანობის სტატისტიკა მაინც არ იცვლება.

ამისთვის სკრინინგის და ვაქცინაციის მნიშვნელობის შესახებ უფრო აქტიური პროპაგანდაა საჭირო. და, რაც მთავარია, საჭიროა ბიუჯეტის გაზრდა, რათა თავიდან ავიკილოთ სიტუაცია, როცა ქალს ვეუბნებით, – ვერც კიბოსგან დაგაზღვევ ძვირადლირებული ვაქცინით და ვერც დასნეულების შემთხვევაში გადაგიხდი მკურნალობის ფულს, თუკი 18 წლამდე გოგონა, ან 60 წლის გადაცილებული მოხუცი არ ბრანდებით. 

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ბოლო 3 წლის მონაცემებით, პირველადი შემოწმებისას გამოვლენილი საშვილოსნოს ყელის და მკერდის კიბოს შემთხვევებიდან მხოლოდ 10%-მდე პირველ სტადიაში, მეორე სტადიაში – 40% პროცენტამდე, ხოლო კიბოს შემთხვევათა 50% მესამე და მეოთხე სტადიებს მოიცავს, როცა ხშირ შემთხვევაში მკურნალობას არ მოაქვს შედეგი.

HPV ვირუსის ისტორია



პარალელურად ყოველწლიურად იზრდებოდა დაავადებულთა რიცხვი და დღეს, ჯანდაცვის

მსოფლიო ორგანიზაციის სტატისტიკით, საშვილოსნოს ყელის კიბოს დაგანზით 2 წულში ერთი ქალი ილუპება, რაც წელიწადში დაახლოებით 280 000-ა. აქედან 90 პროცენტი კი განვითარებად ქვეყნებზე მოდის, სადაც გამოკვლევების პროცენტი დაბალია. ქალებში სიკვდილიანობის ამ მაჩვენებლით საშვილოსნოს ყელის კიბოს, მეორე დაგილების კიბოს შემდეგ მეორე ადგილზე.

პაუსენი ჯერ კიდევ 80-ან წლებში სთხოვდა ფარმაცევტულ კომპანიებს ამ ვირუსის სანინალდებო ვაქცინა შექმნათ, თუმცა მათ მხოლოდ 1991 წელს დაიწყეს მუშაობა, როცა

პროფესიული კულტურული მუზეუმი

ერთი პროცენტი ხელფასილან

მასწავლებელთა პროფესიული გაერთიანებები, იმის მაგივრად, რომ მასწავლებელთა უფლებებისთვის იძრძოლონ, ერთმანეთს უპირისპირდებიან.

ნინო რობაქიძე



ნინო რობაქიძის ნამუშავი და მისი მუზეუმი / ფოტო: სამეცნიერო

მასწავლებელთა პროფესიული კავშირები რომ მთავრობისგან დამოუკიდებელი ორგანიზაციებია, ახალი ამბავი ალმოჩნდა ერთ-ერთი პედაგოგისთვის, რომელსაც ქალაქის ცენტრალური უბნის სკოლის ეზოში შემთხვევით შევხვდი: „მე მეგონა, თუ სკოლაში მუშაობ, ავტომატურად ხარ პროფესიულის წევრი, როგორც ადრე“.

როგორც ადრე, ახლა ისე აღარ არის. ახლა ყველგან არის არჩევანი – შეგიძლია ძალიან ბევრი არხი გქონდეს ტელევიზორში და შეგიძლია, იმ პროფესიულში განევრიანდე, რომელიც უფრო მოგწონს, ან საერთოდ

უარი თქვა ყველანაირ კავშირებზე. ეს ამბავიც ამ პედაგოგმა პირველად სწორედ „ლიბერალიდან“ გაიგო. ხოლო როცა ვუთხარი, რომ თავისუფალი პროფესიულები საკუთარ გაზეთსაც 2004 წლიდან ყოველთვიურად გამოსცემს, სულ მთლად დაიბნა.

ეს გაზეთი არც იმ პედაგოგებს ჰქონდათ წაკითხული, რომელსაც ერთ-ერთი საჯარო სკოლის ეზოში გავესაუბრე. არადა, ბოლო ნომერი რომ ენახათ, გაიგებდნენ, რომ მათი სახელით ორგანიზაციის თავმჯდომარე მანანა ღურჭუმელიძე 2 მარტს პედაგოგთა გრანდიოზულ, საყოველ-

თაო გაფიცვის ჩატარებას და ორი მოთხოვნის დაყენებას გეგმავდა: 1. შეიცვალოს მასწავლებელთა სასერტიფიკაციო დეპულება; და 2. საჯარო სკოლების დაფინანსების წესი. „წევრები კი ვართ, მაგრამ ამის შესახებ არაფერი გაგვიგია. პროფესიულები მაგარ ქვეყნებშიც იფიცენან, მაგაში ცუდი არაფერია, უბრალოდ ხომ უნდა ვიცოდეთ, რომ ვიფიცებით?“ – აღნიშნეს პედაგოგებმა.

თუმცა, გაფიცვა გადაიდო. მანანა ღურჭუმელიძის თქმით, თავისუფალი პროფესიულების წევრთა უმრავლესობამ „გადაწყვიტა, მთავრო-

ბას კიდევ მისცეს დრო რეალური დიალოგის დასაწყებად. თუ პირველ მაისამდე პროცესი არ დაიძვრება, დაიწყება მასწავლებელთა შიმშილობის „აქციები“, ისე, როგორც თავისუფალი პროფესიულის დამფუძნებლები იწყებდნენ 1997-ში.

თავისუფალი პროფესიულის დამფუძნებები 1997 წელს ქუთაისში გამართული შიმშილობის აქციით „დაიწყო“. პედაგოგები დაგვიანებული ხელფასების გაცემის მოთხოვნით გაიფიცნენ. შემდეგ წლებში ორგანიზაციამ საქართველოს დანარჩენი ქალაქებიდანაც შეიერთა კოლეგები და დღეს უკვე ქვეყნის მასშტაბით 103 ათას წევრ-მასწავლებელს და სკოლის მესვეურს აერთავებს.

საწევროს სახით, თითოეული მათგანი ყოველთვიურად ხელფასის 1 პროცენტს იხდის. ამ გზით დგება ორგანიზაციის ყოველთვიური ბიუჯეტი, რომელიც დაახლოებით 300 ათასი ლარია.

ფასების ზრდა – პირადად მათი და-მსახურება.

თუმცა, ამ ბრძოლით მოპოვებული წარმატებებით ვერ ტებებიან ისინი, ვისზე ზრუნვასაც ხელისუფლებაც და თავისუფალი პროფესიული იმპორტიც თანაბრად იბრალებენ. მასწავლებლების უმრავლესობას პროფესიული განვითარება საბჭოთა ინერციის გა-გრძელებად მიაჩინა: „რაც მასწავლებლობა დავიწყე, სულ პროფესიული წევრი ვარ. ჯერ საბჭოთა პროფესიული წევრი ვიყავი, მერე ის სხვა ორგანიზაციამ შეცვალა“.

ახლა ეს „სხვა“ ორგანიზაცია ორია. თავისუფალი პროფესიული და ორი წლის წინ შექმნილი განათლების პროფესიული სინდიკატი, რომელსაც საზოგადოებასაც და მასწავლებლთა წრესაც თავი მხოლოდ ბოლო პერიოდში შეასენა, როცა ღურჯუმელიძის მიერ დაგეგმილი მარტის გაფიცვა „არამოქალაქეობრივ“ პოზიციად შეაფასა.

„მე შემიძლია გაჩვენოთ ჩვენი ორგანიზაციის ყველა წევრის განცხადება, რომელიც მათ განმეორებით 2005 წელს დაწერეს. თუ მასწავლებლმა არ იცის, როდის დაწერა განცხადება და სად გაწევრიანდა, ეს მისი პრობლემაა“, – ასე პასუხობს ბრალდებას ღურჯუმელიძე.

„ტარას შავშიშვილი ფინანსურად არის დაინტერესებული თავის სამთავრობო NGO-ში მასწავლებლების განვითარიანებით, რადგან მას აქვს ტრენინგ-ცენტრი, რომლისთვისაც კლიენტურის მოზიდვაზე მუშაობს. პროფესიული კავშირი არ არის ტრენინგ-ცენტრი, ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვუმუშავდგომლოთ მასწავლებლებს პროფესიული კავშირის დასახურის სინდიკატის იქით უტევს.

შავშიშვილი მასწავლებლთა ტრენინგ-ცენტრის „განათლების ინსტიტუტის“ დამფუძნებელი მართლაც გახლავთ. თუმცა ამბობს, რომ ახლა

■ პროფესიული კავშირების ომი მხოლოდ იმ მხარის ინტერესებს ემსახურება, რომლისგანაც, წესით, მასწავლებლებს უნდა იცავდნენ. ამ შემთხვევაში, ეს ხელისუფლებაა.

თბილისში, მათი კეთილმოწყობილი ოფისის მისაღებში კედლებზე ჯილდოები და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების ამსახველი ჩარჩოში ჩასმული ფოტოებია გამოფენილი. სამსართულიანი შენობის ბოლო სართულზე ორგანიზაციის ხელმძღვანელის სამუშაო მაგიდა კი საქალალდებითაა დაფარული.

„მაშინაც ვალნევდით მიზანს და ახლაც ვალნევთ ჩვენი ბრძოლით“, – ამბობს ორგანიზაციის თავმჯდომარე მანანა ღურჯუმელიძე. თუმცა მისი ორგანიზაციის „უკომპრომისონ ბრძოლის შედეგების“ არასრული ჩამონათვალი, რომელიც ორგანიზაციის ვეგვერდზე დევს, ძალიან ჰგავს საქართველოს მთავრობის მიღწევების ჩამონათვალს. ორივე – ხელისუფლებაცა და ღურჯუმელიძის ორგანიზაციაც თანაბარი მონდომებით იბრალებენ, რომ საჯარო სკოლების თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევა, მასწავლებლებთან მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულების შეჩერება, პედაგოგთა ხელ-

დღეს ეს ორი ორგანიზაცია ურთიერთბრალდებებითაა დაკავებული. სინდიკატის გამგეობის თავმჯდომარე ტარას შავშიშვილი, რომელიც ღურჯუმელიძის გაერთიანების ყოფილი წევრია, თავისუფალ პროფესიულის საბჭოთა პროფესიული წევრის ქონების მეტყველებით მართლაც გადაეცა, თუმცა, დასენის, რომ ქონების დიდი ნაწილი ისევ სახელმწიფოს დაუპრენდა და ახლა ისინი მხოლოდ წყებითისა და კოჯრის მასწავლებლთა სახლებსა და ორ, ნახევრად დანგრეულ შენობას ფლობენტყისულსა და თელავში.


შავშიშვილის მეორე ბრალდების მიხედვით, თავისუფალ პროფესიული წევრთა უმრავლესობა გაუცნობიერებლად არის ჩართული, არაფერს აკეთებენ და ხელფასიდან გადარიცხული 1 პროცენტით ორგანიზაციის ჯიბეს ასქელებენ.

მხოლოდ სინდიკატის საქმიანობით არის დაკავებული. მიუხედავად ამისა, როდესაც ტარას შავშიშვილთან დაკავშირებას ვცდილობდი, Google-ში მისი სახელის და გვარის ძებნა ვცადე და „განათლების ინსტიტუტის“ ვებგვერდზე აღმოვჩნდი. ბმულზე „თანამშრომლები“ წერა: ტარას შავშიშვილი – დირექტორი. ორგანიზაციის საკონტაქტო ინფორმაციაში მითითებულ ქალაქის ნომერზე კი შევძლი სასურველ რესპონდენტთან დაკავშირება.

„განათლების ინსტიტუტი“ პედაგოგების გადამზადებაზე მუშაობს. სწორედ ამ ტიპის ცენტრებში უნდა მოემზადონ პედაგოგები მომავალი სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის, გადამზადების პროცესს კი განათლების სამინისტრო თითო პედაგოგზე 160 ლარად შეფასებული ოთხკრედიტიანი ვაუჩერით აფინანსებს. მასწავლებლების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სერიოზული გამოცდისთვის 160 ლარად მომზადება შეუძლებელია. განათლების პროფესიული სინდიკატი

ყოველკვირეული „ლიბერალი“

1 მარტიდან



ციბიჩილი

შურნალის გამოსაცემად
დაგვიაპვილით ფელეფონიზა:

23 37 31, (899) 48 62 41

ან მოგვაწოდეთ თქვენი

საკონფიდენციალური ინფორმაცია

ელ-ფოსტით: info@liberali.ge

კი საკუთარ წევრებს გამოცდების-
თვის უფასო მომზადებას ჰქინდება.

ეს ბევრისთვის მომხიბელები წინა-
დადება აღმოჩნდა. ბოლო რამდენიმე
კვირის განმავლობაში სინდიკატის
რიგები რამდენიმე ათასი მასნავლე-
ბლით გაიზარდა. მავშიშვილი ამბობს,
რომ მასნავლებლები დარწმუნდნენ
ღურჭუმელიძის ორგანიზაციის სი-
სუსტეში, ახალ პროფესიონალურ
თავიანთი განცხადებების საფუძველზე
გადავიდნენ და ამით ღურჭუმელიძის
ორგანოს დიდი ფინანსური დარტყმა
მიაყენეს.

თუმცა, „თავიანთი განცხადებების
საფუძველზე“ ბოლომდე სწორი შე-
ფასება არ უნდა იყოს. სინდიკატში
გასაწევრიანებლად მასნავლებლებს
მხოლოდ განაცხადის სტანდარტულ
ფორმაზე ხელმოწერა დასტირდათ.
მარწეულის რაიონის შაუმიანის სა-
ხელობის სკოლაში კი ადგილობრივი
რესურს-ცენტრის თანამშრომლებ-
მა ქართულის არმცოდნე რამდენიმე
პედაგოგს პროფესიულ სინდიკატში
განევრიანებისთვის ქართულად შედ-
გენილ განაცხადზე „უბრალოდ“ ხე-
ლისმონერა სოხოვეს.

არც ერთი პროფესიული გაერთია-
ნება არ აღიარებს, რომ საკუთარ
წევრებთან კომუნიკაციის პრობლემა
აქვს. ტარას შავშიშვილი ამბობს, რომ
ყოველ წესის უკავშირდებიან სინდი-
კატის წევრი პედაგოგები და თავიანთ
პრობლემებზე უყვებიან. თავისუფა-
ლი პროფესიონალის თავმჯდომარე მა-
ნანა ღურჭუმელიძე კი ორგანიზაციის
ოფისში მოსული ერთი დღის ფოსტის
საკმაოდ მძიმე შეკვრას იღებს ხელში
და ამბობს, რომ ამდენ წერილს ყო-
ველდღიურად განათლების სამინის-
ტროც არ იღებს.

„ჩვენ ვართ რეფორმების მომხრე
და თუ ჩვენი პოზიციები გარკვეულად
ემთხვევა დღეს მთავრობის პოზიციე-
ბს, ამაში კატასტროფას ვერ ვხედავ.
ყვირილით არაფერი მიიღწევა, ჩვენ
ხელისუფლებასთან კონსტრუქციუ-
ლი დაილოგის გზას ვირჩევთ. ჩვენი
მთავარი შეთავაზება მასნავლებლე-
ბისთვის არის სამოქალაქო ცნობიე-
რების ჩამოყალიბება. სამოქალაქო
ცნობიერების მქონე მასნავლებელი
აუცილებლად აღზრდის სამოქალაქო
ცნობიერების მქონე მოსწავლეს“, –
ამბობს ტარას შავშიშვილი.

მასნავლებლებში სამოქალაქო ცნო-
ბიერების ჩამოყალიბება პროფესიონალი-
რისთვის ზედმეტად აბსტრაქტული

ამოცანაა და უფრო პოლიტიკური
პარტიის ლოზუნგს ჰგავს. ერთი კვი-
რის წინ როდ აილენდში მასწავლე-
ბელთა პროფესიონალის ხმაურიანი აქ-
ცია მხოლოდ იმისთვის მოეწყო, რომ
მთავრობას გლობალური ეკონომიკუ-
რი კრიზისის გამო სკოლებიდან გაშ-
ვებული რამდენიმე პედაგოგისთვის
საკმარისი რაოდენობის კომპენსაცია
მიეცა. პროფესიონალური ასეთი პრობლე-
მების მოგვარებას უნდა ემსახურე-
ბოდეს და არა პედაგოგთა მორალურ
ღირებულებებზე ზრუნვას.

როგორც ჩანს, მასნავლებლები
ჯერ კიდევ ისე გადადიან ერთი პრო-
ფესიული კავშირიდან მეორეში და
ისე ანერებ ხელს საკუთარი ხელფა-
სიდან პრინციპულად მნიშვნელოვანი
1%-ის ახალი ორგანიზაციისთვის გა-
დაცემას, რომ მაინც ვერ ერკვევან,
რა პროცესის მონაზილები არიან.

მასნავლებლებთა უმრავლესობას
წარმოდგენა არ აქვს ორი პროფე-
სიული გაერთიანების დავის რეალურ
მიზეზებზე. არც მოტივაცია აქვს და
არც ინტერესი, გაერკვეს, რომელი
პროფესიონალური დაიცავს მის უფლე-
ბებს უკეთ, რადგან მიჩვეულია, რომ
მის უფლებებზე მხოლოდ წინასაარ-
ჩევროდ, ანდა პოლიტიკური ქულების
დასაწერად ზრუნავენ.

პროფესიული კავშირების ომი კი
მხოლოდ იმ მხარის ინტერესებს ემ-
სახურება, რომლისგანაც, წესით,
მასნავლებლებს უნდა იცავდნენ. ამ
შემთხვევაში, ეს ხელისუფლებაა.

„ქვეყანაში ორი პროფესიონალური უპი-
რისპირდება ერთმანეთს და მუდმი-
ვად არის მცდელობა, სამინისტროც
ჩაითრიონ ამ დაპირისპირებაში. ჩვენი
პოზიცია არის ცალსახა – პროფესიონალური-
ბის დაპირისპირება არის მათი სა-
ქმე და სახელმწიფო არ აპირებს ამა-
ში ჩარცეს“, – აცხადებს განათლების
მინისტრი დიმიტრი შაშიკინი გაზეთ
„პრამიტამისტოვების“ მიცემულ ინტერ-
ვიუში. მისი სიმშეიდვის ერთ-ერთი მი-
ზეზი პროფესიონალურების შერის დღითი
დღე მზარდი დაპირისპირებაცაა.

70 ათას მასნავლებელს კი ისლა
დარჩენია, თავიანთ ძალიან კონკრე-
ტულ პრობლემებს თვითონვე მოუა-
რონ. 160-ლარიანი გადამზადების
ვაუჩერით და საკუთარი ფანტაზიით
თავადვე მოძებნონ სასერტიფიკიო
გამოცდებისათვის მომზადების ოპ-
ტიმალური გზა, რათა მიზერული
ხელფასი ინდავ მაინც გაეზარდოთ.

განათლება

306 უნდა ასწავლოს მომავალ თაობას?

რამდენიმე წელიწადში საქართველოში საჭიროზე 20 000-ით ნაკლები მასწავლებელი გვეყოლება.

რუსულან ფანიზე შეიტყობის



საზოგადოებრივი განათლების 53-ე სკოლის ბიოლოგის მასწავლებელი ნათელა სიჭინავა

ნათელა სიჭინავა 47 წელია, 53-ე სკოლაში ბიოლოგიას ასწავლის. ბოლო ათი წელია, სკოლას ამ საგნის ახალი მასწავლებელი არ მიუღია. ბიოლოგიის ერთადერთი ძირითადი სპეციალისტი კი ახლა იმაზე ფიქრობს, პენსიაზე გასვლამდე რომელიმე დამწყებ კოლეგას საქმე გადაბაროს და გამოცდილება გაუზიაროს. თუმცა, ასეთი მსურველი არ ჩანს.

სკოლებში დღესაც ბევრი საპენსიო ასაკს მიტანებული პედაგოგი ასწავლის. პრობლემაა ისიც, რომ მასწავლებლობა სულ უფრო ნაკლებ ახალგაზრდას უნდა და პედაგოგის პროფესია წლიდან წლიმდე „ბერდება“.

მომავალ 10 წელიწადში საქართველოში მასწავლებლების დეფიციტი გაჩნდება. 21 ათასამდე პედაგოგი სკოლიდან წავა. იმ სტუდენტების რაოდენობა კი, ვინც საპენსიო ასაკის პედაგოგები უნდა ჩაანაცვლონ, 21 ათასზე გაცილებით ნაკლებია.

■ მომავალ 10 წელიწადში საქართველოში მასწავლებლების დეფიციტი გაჩნდება. 21 ათასამდე პედაგოგი სკოლიდან წავა. იმ სტუდენტების რაოდენობა კი, ვინც საპენსიო ასაკის პედაგოგები უნდა ჩაანაცვლონ, 21 ათასზე გაცილებით ნაკლებია.

პედაგოგობაზე შემცირებულ მოთხოვნებს ბოლო პერიოდში ამ პროფესიის „არაპრესტიულობა“ განაპირობებს. არაპრესტიულობას კი, პირველ რიგში, დაბალი ხელფასი იწვევს. თუმცა, მასწავლებლობაზე უარის თქმას სხვა მიზეზებიც შეიძლება ჰქონდეს.

ერთ-ერთი მიზეზია მომავალი პედაგოგებისთვის უმაღლეს განათლებაში ახალი პირობების წაეყინება. „ბაკალავრიატის შემდეგ კურსდამთავრებულე-

ბის დიდი ნაწილი სკოლაში მიღიოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მაგისტრატურა აუცილებელი გახდა, მასწავლებლობის მსურველთა რიცხვი შემცირდა“, – ამბობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ირინა დარჩა.

2007 წლამდე მასწავლებლობა ნების-მიერი უმაღლესი განათლების მქონე ადამიანს შეეძლო. მერე ამისთვის მაგისტრატურაც სავალდებულო გახდა. ახლა მაგისტრატურა საჭირო აღარ არის, მაგრამ 2014 წლიდან ბაკალავრიატის შემდეგ კურსდამთავრებულება კერძო ერთნობის გადამზადება უნდა გაიარონ, შემდეგ კიდევ ერთი წლის სკოლაში სხვა უფროს მასწავლებლებთან ერთად „მაძიებლად“ იმუშაონ. ამის შემდეგ სასერტიფიკაციო გამოცდებზე უნდა გავიდნენ და მასწავლებლობის უფლებასაც მხოლოდ ასე მოიპოვებენ.

ახლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლების მეცნიერების მაგისტრატურაზე სულ 60 სტუდენტი ჰყავთ. 2009 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს განათლების პროგრამის 36 კურსდამთავრებული ჰყავდა, მაგისტრატურაში კი 80 ადგილზე საბოლოოდ მხოლოდ 55 სტუდენტი მიიღეს. ათი-თხუთმეტი წლის წინ, მაგალითად, უცხო ენების სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს ყოველწლიურად 100-ზე მეტი სტუდენტი ამთავრებდა. თუმცა ეს სპეციალობა განსაკუთრებით პრესტიულია არც მაშინ ყოფილა. მასწავლებლობა ყველაზე პოპულარული ბოლოს 70-იან წლებში იყო. ბოლო ათწლეულის განმავლობაში კი მასწავლებლობის მსურველი გაცილებით ნაკლებია.

ამას სტატისტიკურებს. 2008 წლის მონაცემებით, უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულების უმრავლესობას მასწავლებლად მუშაობის გაგრძელება სწორედ დაბალი ხელფასის გამო არ უნდა.

მონაცემები მასრავლებალთა
პროფესიული განვითარების
ხასიათის 2008 წლის კვლევილა:

► განათლების სფეროს სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებმა სკოლის მასწავლებლი 15 დასახლებული პროფესიიდან, პრესტიულობის მიხედვით, მე-10 ადგილზე დააყენეს.

► საქართველოში 8 500 საპენსიო ასაკის მასწავლებლია. მასწავლებლთა საჭირო რაოდენობა 71, 976, ხოლო რეალური რაოდენობა – 800-ით ნაკლები.

► საპენსიო ასაკის გამო, შემდეგი 10 წლის პერიოდში, სკოლას წელიწადში დაახლოებით 1000-1500 მასწავლებლი დატოვებს. ამ დაშვებით, 2018 წლისთვის დაახლოებით 21 000 ახალი მასწავლებლი იქნება საჭირო. იგივე სურათია საქართველოს რეგიონებშიც.

► 2008 წლისთვის კურსდამთავრებულთა შორის სკოლიში მუშაობის სურვილი დაახლოებით 3 800 ადამიანმა გამოთქვა. ხოლო 2010 წლიდან კურსდამთავრებულთა შორის მასწავლებლობის მსურველთა რიცხვი ყოველწლიურად შემცირდება და წელიწადში მაქსიმუმ 600-700 იქნება.

► პედაგოგთა 72-მა პროცენტმა მასწავლებლობა ბავშვებთან ურთიერთობის სიყვარულით დაიწყო. 20-მა პროცენტმა – იმის გამო, რომ პრესტიულად მიაჩნია, ხოლო 15-მა პროცენტმა – ანაზღაურების გამო.

► მასწავლებელთა 83 პროცენტს მიაჩნია, რომ სკოლებში დღეს ყველაზე დიდი პრობლემა მასწავლებლთა ანაზღაურებაა. იგივეს ფიქრობს განათლების სპეციალობების სტუდენტთა 70%.

► ახლანდელი ანაზღაურების გამო, მასწავლებელთა 52% სამსახურის დატოვებას არ აპირებს. თუმცა, მასწავლებელთა 32 პროცენტი აცხადებს, რომ, უფრო მაღალი ანაზღაურების გამო, აუცილებლად შეიცვლიდა პროფესიას.

მასწავლებელთა ხელფასები ბოლო პერიოდში ეტაპობრივად იზრდება. თუმცა, ეს მომატება უმნიშვნელოა და შორსაა იმ თანხისგან, რაც მათ მიერვე გამოკითხულ მოქმედ და პოტენციურ მასწავლებლებს სასურველ მინიმუმად მიაჩნიათ. კვლევის მიხედვით, სტუდენტები ამბობენ, რომ მასწავლებლობას იმ შემთხვევაში გააგრძელებენ, თუ ხელფასი მინიმუმ 400 ლარი ექნებათ. ვინც უკვე მასწავლებლად მუშაობს, შრომის ადეკვატურ ანაზღაურებად 700 ლარს მიიჩნევს. პედაგოგების ახლანდელი ყოველთვიური შემოსავალი კი, რაც სამუალოდ 200 ლარია, ამ თანხას სამჯერ ჩამორჩება.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი სოფორ გორგოძე ფიქრობს, რომ მასწავლებლებისთვის, ხელფასის აუცილებელ მატებასთან ერთად, ამ პროფესიას მიზნიდველს გახდის კარიერული წინსვლის შესაძლებლობაც. „მაგალითად უნდა შევქმნათ დამწყები, ექსპერტი, მენტორი მასწავლებლების წოდება“, – ამბობს იგი.

„მასწავლებელი მოხუცი იქნება თუ ახალგაზრდა, ეს ბავშვების სწავლების ხარისხში თითქმის არ აისხება, – ამბობს განათლების ფიქროლოგი, პროფესორებერიტუსი ნათელა იმედაქე, – მთავრია, მასწავლებელს სიახლის მიღების უნარი ჰქონდეს, რაც მის კვალიფიკაციას განსაზღვრავს და ეს კი ინდივიდუალურია“. თუმცა ფიქროლოგი იმასაც აღნიშვნას, რომ მცირე კორელაციით, მაგრამ ამ თვისებით უფრო ხშირად მაინც ახალგაზრდა მასწავლებლები გამოირჩევიან.

სკოლის მოსწავლები მასწავლებლის ასაკს სხვადასხვაგარა მნიშვნელობას ანიჭებენ. „რა თქმა უნდა, ახალგაზრდა მასწავლებელი მირჩევნია“, – ამბობს მეშვიდეეკლასელი ეპატერინე თევზაქე, რადგან ახალგაზრდა პედაგოგთან ურთიერთობა უადვილდება. მეთერთმეტეკლასელ ნუცა უგრევიდეს კი ასაკოვანი მასწავლებელი უფრო გამოცდილად მიაჩნია. თუ „სწავლა მინდა, მაშინ ასაკოვანთან მეცადინეობა ჯობიაო“, – ამბობს.

თბილისის 53-ე სკოლაში ბოლო დროს ახალი მასწავლებლები კი აიყვანეს, მაგრამ არც ერთი – ახალი კურსდამთავრებული. დირექტორი გიორგი კაშია ჩივის, რომ მასწავლებლების მოძრავა გაუჭირდა. „როგორც ჩანს, რაღაც პერიოდის განმავლობაში ვაკუუმი იყო ამ მხრივ, არ მოხდა კადრების სათანადო

დონეზე მომზადება. შეიძლება მაშინ უნივერსიტეტებში კი დადიოდნენ, მაგრამ პედაგოგიური უნარ-ჩვევების, მასწავლებლის ფიქროლოგიის ცოდნა აკლიათ“, – ამბობს იგი.

გამოდის, რომ მასწავლებლების რაოდენობასთან ერთად დღის წესრიგში მათი კვალიფიკაციის საკითხიც დგება. ვისაც უაბლოესი 10 წლის განმავლობაში სკოლებში სწავლის ხარისხი გაუმჯობესება დაევალება, უმაღლესი სასწავლებლები 90-იან და 2000 წლის დასაწყისში დაამთავრეს. „ამ პერიოდში ხედვა არ იყო, სისტემა ინერციით მიდიოდა და სწავლების კონცენტრია არ არსებობდა“, – იხსენებს თამარ ტალიაშვილი, რომელიც ახლა იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია.

დღეს პედაგოგიკის საფუძვლების გადახედვა, მარტო ახალგაზრდებს კი არა, ყველა თაობის მასწავლებელს მოუწევთ. კონცეფცია იცვლება: თუ აქამდე მათი მოვალეობა მარტო ცოდნის მიწოდება იყო, ახლა მათ მოსწავლისთვის კრიტიკული აზროვნებისა და სამოქალაქო ღირებულებების ჩამოყალიბებაც დაევალებათ. ამ მიმართულებით ტრინინგები უკვე დაწყებულია. თუმცა მასწავლებლებც და მათი ინსტრუქტორებიც აღნიშნავენ, რომ ღირებულებების ცვლა ხანგრძლივი პროცესია და ამისთვის სუთდლიანი ტრინინგები, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს, საკარისია არ არის.

პედაგოგების ხარისხი უნდა აამაღლოს სერტიფიცირებამ, თუმცა ეს პროცესი მასწავლებლების რაოდენობას კიდევ უფრო შეაცირებს.

„მასწავლებლებს ჯერ ბევრი უნდა გადავუხადოთ, მერე კარგი სამუშაო პირობები შევუტმათ და კვალიფიკაციის ასამაღლებლად ტრინინგები ამის შემდეგ ჩავუტაროთ“, – მასწავლებელთა დეფიციტის შესავსებად ასეთ სქემას გვთავაზობს კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი რობერტ კუპერი.

განათლების სამინისტროს პრობლემის მოსაგარებლად გამოკვეთილი თანმიმდევრობის სქემა არ აქვს. ჩვენთან სამუშაო მიმართულებით თანაბარი ძვრებია, მაგრამ ჯერჯერობით არაეფექტური. ამ ეტაპზე არ ჩანს, რომ თუნდაც ხელფასების პრობლემის გადაჭრა მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. შეგადაშები, ნინასაარჩევნობ 20-30 ლარით მომატებული ხელფასები კი საქმიერ შველის. ■



კინო

ქართული კინოს ნატვრის ხე

რა სჭირდება ქართულ კინოს საერთაშორისო აღიარების მოსაპოვებლად.

ნინო ჩიმაკაძე

ერთ მხარეს საქართველოს უკრაინა ესაზღვრება, მეორე მხარს ჩილეა, წინ კი ტაივანი. ეს ის ქვეყნებია, რომლებიც ბერლინალეს კანოფესტივალის შედარებით ახალ მონაწილეებად ითვლებან. წელს პირველად, ფესტივალის „სტაუიორი“ მონაწილე ქვეყნების სტენდები ცალკე შენობაში განათავსეს, ახლები - ცალკე.

საქართველო ბერლინალეს ევროპულ კინო-ბაზრობაში, უკვე ხუთი წელია, მონაწილეობს. თუმცა, 12 კვადრატულ მეტრზე მოწყობილ ქართულ გამოფენას წელს პირველად ჰქონდა განსაკუთრებული კონცერტი. გერმანიაში მცხოვრებმა ქართველმა მხატვარმა ირინა ქურთიშვილმა ორ კედელზე დახატა ნატვრის ხის სილუეტი, რომლის ტოტებზეც ქართული კინოს მიღწევები და მომავალი პროექტები „ჩამოჰქიდა“. კინოცენტრის ნარმობადგენლის ანა

ძიაპშიპას თქმით, ეს ჩანაფიქრი ორ სიმბოლურ დატვირთვას ატარებდა – მსოფლიოს ამავე სახელწოდების ქართული კინოს კლასიკით ვახსენებდით თავს, და თან საკუთარ ნატვრებს ვაცნობდით.

არტ-ბაზარი ბერლინალეს ფესტივალზე უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. სწორედ აյ წყდება უამრავი ფილმის პედი - გააღნევს ფილმი საერთაშორისო კინოდისტრიბუციაში და მოიპოვებს მსოფლიო ყურადღებას, თუ ვერა. თუმცა, ამის გარანტიას იქვე ვერც ერთი კინომწარმოებელი ვერ იღებს. საჭიროა შინ დაბრუნება და ლოდინი - გამოეხმაურება თუ არა რომელიმე პროდიუსერი ანდა კინოდისტრიბუტორი თანხალებულ საკონტაქტო ინფორმაციას.

„ბანდიტებმა“ მიაღწია. გერმანული სადისტრიბუციო კომპანია ფილმის გავრცელებით დაინტერესდა და კონტრაქტის გასაფორმებლად რუსაძეს მოგვიანებით დაუკავშირდა.

წელს ბაზარზე კინოპროდუქცია 48 ქვეყნის 400-მა კომპანიამ ნარმოადგინა. სასურველ ფილმებს კი ბაზარზე 1.300 დისტრიბუტორი ეძებდა. ქართველებთან კონტრაქტი ვერ არავის გაუფორმებია. თუმცა, გაჩნდა იმედი, რომ ლაიფციგის ფესტივალის კავეა-სიური პროგრამისთვის ახალ ქართულ დოკუმენტურ ფილმებს აარჩევნ და ქართულ ფილმებს პოლონეთის ფესტივალზეც წაიღებენ.

ლევან კოლუაშვილის „ქუჩის დღები“ და რუსუდან პირველის „სუსა“ ის ორი ახალი ფილმი იყო, რომლებმაც დისტრიბუტორების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. „სუსა“, გიორგი

მრევლიშვილის 10-წეუთიან დოკუმენტურ ფასილიტატი „ანარეკლოთან“ ერთად, ფესტივალის არამთაგარ საკონკურსო ნუსხაშიც შედიოდა.

ბერლინისა და მთავარ საკონკურ-
სო პროგრამაში წელსაც არც ერთი
ქართული ფილმი არ მოხვდა. სულ ამ
პროგრამაში ფესტივალის ისტორიის
მანძილზე ოთხი ქართული ფილმი მო-
ნაწილეობდა, 2002 წელს კი ოთარ იო-
სელიანის საფრანგეთში გადაღებულმა „ორბებათის დილამ“ „ვერცხლის და-
თვის“ მოიპოვა.

ბოლო პერიოდში ბერლინის ფესტივალს ბევრი აკრიტიკებს იმის გამო, რომ აქ ფილმის მსაცემულ ღირებულებას ნაცელები ყურადღება ეთმობა და ძირითადი აქცენტი თემატიკაზე. თუ სოციალურ პრობლემებზე ან უმცირესობებზე გადაიღებ ფილმს, რეჟისორის პროფესიონალიზმისა და ფილმის ხარისხის მიუხედავად, წარმატების შანსი იზრდება. რაც უჯრო პოლიტიკურად მძაფრია ფილმი, მით მეტ ჯილდოს იმსახურებს. „ბერლინალეს მაყურებელი სპეციფიკურია: მისთვის მთავარია ახლის შეგრ-



■ ქართული სტენდი ბერლინალეს კინობაზრობაზე, ბერლინი, თებერვალი 2010

■ ნატურის ხეს სიმბოლური
დატვირთვა ჰქონდა:
მსოფლიოს ამავე
სახელწოდების ქართული
კინოს კლასიკით შევახსენეთ
თავი, და თან საკუთარი
ნატურებიც გავაცანით.

ნლევანდელმა საკონკურსო პროგრა-
მამ კინოკრიტიკოს გოგი გახასარიაზე
იმდენად ცუდი შთაბეჭდილება დატოვა,
რომ ვერ ხვდება, ასეთი დაბალი კონკუ-
რენციის პირობებში, რატომ არ შეიძ-
ლებოდა მთავარ კონკურსში ქართული
ფილმებიც შეეტანათ:

„გაუგებარია, რა კრიტერიუმებით
მოხდა ფილმების შერჩევა. რატომ არ
შეიძლებოდა ამ კონკურსზე მოხვედრი-
ლიყო, მაგლითაც, „ქუჩის დღები“.
ეს ფილმი ნანახი არ მაქვს, მაგრამ არ
მგონია, იქ წარმოდგენილ ფილმებზე
ცუდი ყოფილიყუო“, - ამბობს გვახარია.

ძნება, განსხვავებულობა, ეგზოტიკა... ფილმის პოლიტიკური დატვირთვა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე მასტერული ღირებულება“, - აღნიშნავს გოგი გვახარია.

პოლიტიკური კორექტულობა ბერლინ-ნალებზე განსაკუთრებით თვალში საცემი ბოლო ათწლეულში გახდა. ტრადიცია არც წელს დარღვეულა: „ოქროს დათვე“ თურქელმა, არაფრით გამორჩეულმა ფილმმა აიღო, სწორედ მაშინ, როდესაც თურქეთი ასე მონდომებულია, ევროკავშირს შეუერთდეს. საუკეთესო რეჟისორად კი არასარულწლოვნის გაუპატიურებაში ბრალდებული, პატიმარი რეჟისორი, რომან პოლანსკი დაასახელეს – მიუხედავად იმისა, რომ ეს ფილმი მის საუკეთესო ნამტვრედში ვერ შევა.

როდესაც კინოფესტივალი საქველ-
მოქმედო აქციას ემსგავსება, და ხე-
ლოვნება მეორე პლანზე გადადის, არაა
გასაკვირი, ამან ბევრი კინომუყვორული
გააღიზიანოს. თუმცა ეს ტენდენცია
შეანსა აძლევს ნაკლებად განვითარებუ-
ლი კინოინდუსტრიის ქვეყნებს, საკუ-

თარი ფილმები ფესტივალზე წარადგინონ და პრიზებიც კი დაიმსახურონ:

„თუ ცოტა მეტი ირგანიზება და მონ-
დომება იქნება და იქ არსებულ კლიმეტ-
ს გაითვალისწინებენ, ქართულ ფილმებ-
ს ადვილად შეეძლებათ ამ კონკურსში
გმხოვთ“, — ამბობს გვახარია.

პრესტიული კინოფესტივალის
საკონკურსო პროგრამაში მოხვედრა
ქართული კინოს ერიზისიდან გამოყეა-
ნის გარანტი ნამდვილად არის. თუმცა,
პროცესი ურთიერთგადაჯაჭვულია და,
ვიდრე ქართულ კინონძლუსტრიაში სის-
ტემური ძვრები არ მოხდება, ეს ნატერა-
ისევ ნატერის ხეზე ჩამოკიდებული
დარჩება.

„ვერ ვხედავ ვერანაირ პერსპექტივას, ვიდრე არ დაწყება მუშაობა თუნდაც კინოგანათლებაზე. უნდა აღდგეს სახელოსნოები, სადაც უნდა ასწავლონ საუკეთესო რეჟისორებმა. ამაში ფული არ უნდა დაგვენანოს, მხოლოდ ასე თუ მოვახერხებთ განვითარებას“, – ამბობს გვახარია.

„ჩვენთან არ არსებობდენ სადისტრიბუ-
ციონ კომპანიები, რომლებიც ფილმების
გაყიდვაზე იზრუნებენ, რაც ქართულ
ფილმებს საერთაშორისო აღიარების
მოპოვებაში ხელს უშლის“, - დასძენს
ანა ძალაშიპა.

რეჟისორებს ხშირად თავადვე უწევთ მოლაპარაკებების წარმოება დაფინანსების მოსაპოვებლად. ასე მოხდა გიორგი მრევლიშვილის შემთხვევაშიც: მან თავისი ფილმი ბერლინალეს შესარჩევ კონკურსზე Berlin Today Awards-ზე გასულ წელს ოვითონ გააგზავნა, ფილმი 250 კანდიდატიდან 15 საუკეთესოში მოხვდა და დაფინანსებაც მოიპოვა. წელს კი ის უკვე Talant Campus-ის პროგრამის 5 საკონკურსო ფილმს შორისაა — ორიგინალური იდეისთვის.

საინტერესო იდეა ძალიან მნიშვნელოვანია, ისევე როგორც განათლება და პროფესიული უნარ-ჩვევები. თუმცა, როცა ფილმის საერთაშორისო ბაზარზე გატანაზეა საუბარი, ალბათ მოცემული კონიუნქტურის და კინოენის გათვალისწინებაცაა საჭირო. ქართველი რეჟისორების უმეტესობა კი ჯერ-ჯერობით ფილმებს მაინც ისევ თბილი-სელ „მაგარ ტიპებზე“ (ძირითადად ნაკომანებზე), ბანალურ თბილისურ Love Story-ებზე, ან ვითომ სასაცილო ისტორიებზე იღებს და ფიქრობს, რომ თუ რამდენიმე კვირის მანძილზე კინოთეატრებში მათ სეანსებს გაყიდვების კარგი მარვენებელი ჰქონდა – ე.ი. „ყველაფერი კარგად იქნება“. **█**

ერთული ოკონიციის იდეოლოგიური სისუსტე

საქართველოს ხელისუფლების მკვეთრად მემარჯვენე, ნაციონალისტური პოლიტიკა და არსებული ოპოზიციის იდეოლოგიური სისუსტე აჩენს შესაძლებლობას, რომ ძლიერმა მემარცხენე პარტიამ საქართველოში პოლიტიკას მეტი შინაარსი შესძინოს.


გიორგი ცხადაია

როგორც შარშანდელმა მიტინგებმა და სატელევიზიო გამოსცემა გვაჩვენა, ხელისუფლებასთან პრძოლაში ოპოზიციის მთავარი იარალი ე.წ. ტრადიციული ლირებულებებია („ეროვნული სული“, „მართლმადიდებელი ეკლესიის დაცვა“). როგორც ჩანს, ამომრჩეველთა უმრავლესობისთვის, ანუ მოსახლეობის საშუალო და ქვედა ფენებისთვის, მსგავსი თემები უფრო აქტუალურია, ვიდრე სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკაზე საუბარი. ამის მიზეზი ალბათ ის არის, რომ ყველა ხედავს პრობლემის – ეკონომიკური სიღუბჭირის გამოსწორების სირთულეს.

ქართველ ამომრჩეველს ზედმეტი ილუზიები მაშინაც კი არ ჰქონია, როდესაც 2008 წლის იანვარში მიღიარდერი ბადრი პატარკაციიშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში იყრიდა კენჭს. მიუხედავად გულუხვი დაპირებებისა, მან მხოლოდ ხმების 7%-ის აღება მოახერხა. პატარკაციშვილის რიტორიკამ, რომელიც მოსახლეობას სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას პპირდებოდა, ვერ გაჭრა. ქართველ ამომრჩეველს გააზრებული აქვს პრობლემის სირთულე და ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს არ იღებს.

ამომრჩევლის ნიპილისტურ დამოკიდებულებას სოციალური და ეკონომიკური პრიბლებების სწრაფი გადაჭრის მიმართ, ოპოზიცია საკუთარი მიზნებისთვის იყენებს. საქართველოს დამოუკიდებლობის თითქმის ოცნებიანი ისტორიის მანძილზე ეკონომიკური კეთილდღეობის რადიკალური ზრდა არ ყოფილა, არც სოციალური უთანასწორობა შემცირებულა იმ ხარისხით, რომ ამ მხრივ გადადგმულ წარმატებულ ნაბიჯებზე ვისაუბროთ. შესაბამისად, მოლოდინი ამ კუთხით სიტუაციის რადიკალურად გაუმჯობესებისა თითქმის არ არსებობს.

ოპოზიციურ პარტიებს ისეთ პოლი-



■ შალვა ნათელაშვილი

ტიკურ სივრცეში უწევთ მოლვანეობა, სადაც მთავარი პოლიტიკური პრობლემები ჯერ კიდევ ნაციონალური და ეროვნული საკითხების გადაჭრას უკავშირდება. ოპოზიცია „ეროვნულობის“ და „ქართველობის“ საკუთარ გაგებას უპირისი ხელისუფლების შესაბამის კატეგორიებს. ამგვარი მიღებობის პრაგმატულობა დაადასტურა გორგი გაჩერჩილაძის, იგივე უცნობის გადაცემაშ „საკანი №N5“, სადაც ძირითადი აქცენტი სწორებ ეროვნულობის ტრადიციული გაგების აღდევნასა და ხელისუფლების წევრების მიერ ძალის გადამეტებაზე ან კანონის დარღვევებზე კეთდებოდა, რაც, გარკვეულწლად, სოციალური პრობლემა, მაგრამ ამაზე შორს ოპოზიციის რიტორიკა არ წასულა.

პოლიტიკური დებატები ჯერჯერობით არ წარმართულა იმ მიმართულებით, რომ საქართველოს მოსახლეობის არსებითი პრობლემების გადაჭრას შესხებოდა. შეიძლება აღნიშნული პოლიტიკური უუნარობის რამდენიმე ძირითადი მიზეზი ჩამოინტერის, თუმცა ძნელი სათქმელია, მათ შორის რომელია გადა-

არ უნდა ერეოდეს ბაზარში, არ უნდა ამახინვებდეს მას გადასახადებითა და აქტიური სოციალური პოლიტიკით. აქედან გამომდინარე, ერთ იდეოლოგიურ პლატფორმაზე მყოფ პარტიებს შორის ამ მიმართულებით დებატები ნაკლებად მოსალოდნელია. შესაბამისად, ისინი ირჩევენ თემებს, რომლებზეც მათ ამომრჩევებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. ფართო მასების მობილიზაციის დროს კი ძირითად აქცენტს აკეთებენ „ეროვნულობის“, „სარწმუნოების“ და „პოლიტიკური რეპრესიების“ თემებზე. ეს უკანასკნელიც ხომ, ძირითადად, ელიტურ ჯგუფებს შორის დაპირისპირების პროცესში, არაკანონიერი და კრიმინალური მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ პოლიტიკური პრძმლის ამ სიბრტყეზე სახელისუფლებო და ოპოზიციური პარტიები გავლენის გადანაწილებისთვის იძრდვან და არა განსხვავებული ეკონომიკური ან სოციალური პროგრამების განხორციელების შესაძლებლობისთვის.

ამას გარდა, ოპოზიციურ ჯგუფებს

საძლებლობა, რომლებიც განსაკუთრებულ მომზადებას არ საჭიროებს?

ამ მსჯელობის დროს, ლამის გამოგვრჩა, რომ ოპოზიციაში, მემარჯვენე პარტიების გარდა, მემარცხენე პარტიებიც არიან. მაგალითად, მათ შორის ყველაზე მკვეთრად გამოხატული მემარცხენე პლატფორმის მქონე „ლეიბორისტული პარტია“, რომელიც გამოიჩინება, მაგალითად, ისეთი პოპულარული ინიციატივებით, როგორიცაა დენის გადასახადების შემირება. „ლეიბორისტული პარტიის“ იმიჯზე, შესაძლოა, უარყოფითად მოქმედებს მათ გამოსვლებში ისევ და ისევ კონსერვატორული რიტორიკის ელემენტები. მიუხედავად ამისა, სოციალური რიტორიკის ხარჯზე, 2003 წლის არჩევნებზე მათ დაამტკიცეს, რომ სოლიდური ამომრჩეველი ჰყავდათ. ლეიბორისტების მთავარი პრობლემა ალბათ მაინც ის არის, რომ სოციალური და ეკონომიკური რეფორმების ქადაგება უბრალი პოპულიზმად რომ არ იქცეს, მათი განხორციელების რეალური რესურსების ფლობაა საჭირო. „ლეიბორისტულ პარტიის“ მსგავსი

■ დღევანდელი პოლიტიკური ვითარების კრიტიკის დროს სულ უფრო მეტად ჩნდება იმის სურვილი, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე ძლიერი მემარცხენე პარტია ვიხილოთ. მთავარი დაბრკოლებები კი, საბოლოო ჯამში, უფრო პოლიტიკური ნების არქონას უკავშირდება, ვიდრე რესურსების ნაკლებობას. ამ უკანასკნელი ფაქტორის უარყოფა შეუძლებელია, მაგრამ მისი გამოსწორების ცდა შეიძლება. პოლიტიკური პროცესი უფრო ჯანსაღი გახდება, პოლიტიკური პრძმლა კი მეტად ინკლუზიური (მოსახლეობის სხვადასხვა ფეხსაცმლების საკუთარი თავის გამოხატვის მეტ შესაძლებლობას მისცემს), მემარჯვენე ეკონომიკურ პოლიტიკას მყარი ალტერნატივა გამოუჩინდება და პრობლემების გადაჭრის გზებზე მუშაობაც აზრს შეიძენს. ც

მწყეტი. მიუხედავად ამისა, მიზეზების ჩამოთვლა პრობლემის გადაჭრის გზების ძირიაში სასარგებლო იქნებოდა.

პირველი მიზეზი, რის გამოც, ოპოზიცია არ ცდილობს ხელისუფლებასთან შევიდეს სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზე პოლემიკაში, ის არის, რომ მათ და „ნაციონალურ მოძრაობას“ თითქმის საერთო იდეოლოგიური პოზიცია აქვთ.

ხელისუფლება, ისევე როგორც „რესპუბლიკელები“, „ახალი მემარჯვენები“, ლევან გაჩერჩილაძის პარტია და სხვები, მემარჯვენე პარტიებია, რომელთა ეკონომიკური პროგრამები, ძირითადად, საბაზრო ეკონომიკისადმი ისეთივე დამოკიდებულებას გულისხმობს, როგორც სახელისუფლების პარტიას აქვს; უფრო მეტიც, აღნიშნული ოპოზიციური პარტიები უპირველესად წარმოადგენენ იმ ფენის ინტერესებს, რომლებიც დედაქალაქის ელიტურ ბიზნეს წრებს და მოსახლეობის ზედა ფენას მოიცავს. საბაზრო ეკონომიკისადმი ამგვარი მიღონა კი ერთმნიშვნელოვანია: სახელმწიფო

რთული პრობლემები ექმნებათ ძლიერი ექსპერტული ცოდნის მობილიზაციის მხრივაც. არსებით ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე განსხვავებული ხედები, ბუნებრივია, გულისხმობს შესაბამისი დარგის ექსპერტების ყოლასაც, რის ნაკლებობასაც განიცდის ქართული პოლიტიკური სპექტრი.

სოციალური და ეკონომიკური სტრუქტების შედგნისას აქცენტები, ძირითადად, ერთსა და იმავე, გაცვეთილ თემებზე კეთდება და ინოვაციური მიღებების ადგილი თითქმის არ არის. ეს პრობლემა მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართული სოციალური მეცნიერებების დღევანდები მდგომარეობასთან, მაგრამ ამ შემთხვევაში, ოპოზიცია არანაირ განსაკუთრებულ ძალისხმევას არ იჩენს იმისათვის, რომ ამ მიმართულებით საკუთარი ორგანიზაციული რესურსები გააძლიეროს. ძნელია იმის თქმა, თუ რა არის ამის მიზეზი: იდეოლოგიური ერთიანება ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკასთან, თუ ისეთი თემებით ეფექტურად აპელირების შე-


რესურსები არ გააჩნია, და ალბათ სწორედ ამით შეიძლება აესწანათ ის, რომ ხელისუფლებაში მოსვლის პრეტენზია მათ თითქმის არასადროს ჰქონისათვის მეტად და ეკონომიკური რეფორმების ქადაგება უბრალი პოპულიზმად რომ არ იქცეს, მათი განხორციელების რეალური რესურსების ფლობაა საჭირო. „ლეიბორისტულ პარტიის“ მსგავსი

დღევანდელი პოლიტიკური ვითარების კრიტიკის დროს სულ უფრო მეტად ჩნდება იმის სურვილი, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე ძლიერი მემარცხენე პარტია ვიხილოთ. მთავარი დაბრკოლებები კი, საბოლოო ჯამში, უფრო პოლიტიკური ნების არქონას უკავშირდება, ვიდრე რესურსების ნაკლებობას. ამ უკანასკნელი ფაქტორის უარყოფა შეუძლებელია, მაგრამ მისი გამოსწორების ცდა შეიძლება. პოლიტიკური პროცესი უფრო ჯანსაღი გახდება, პოლიტიკური პრძმლა კი მეტად ინკლუზიური (მოსახლეობის სხვადასხვა ფეხსაცმლების საკუთარი თავის გამოხატვის მეტ შესაძლებლობას მისცემს), მემარჯვენე ეკონომიკურ პოლიტიკას მყარი ალტერნატივა გამოუჩინდება და პრობლემების გადაჭრის გზებზე მუშაობაც აზრს შეიძენს. ც

კარლ ფონ კლაუსევიცის „ომის შესახებ“

„ომის შესახებ“ ისეთი წიგნია, რომელზეც ბევრს საუბრობენ და იშვიათად კითხულობენ. მისი ლეიტმოტივი და ყველაზე წინააღმდეგობრივი მოსაზრება იმაში მდგომარეობს, რომ ომი პოლიტიკის გაგრძელება და მისი ნამდვილი ინსტრუმენტია.

ლევან ცუცქირიძე, საერთაშორისო ურთიერთობების ასოციაცია



(Vom Kriege, პირველი გამოცემა - 1832)

რამდენი წიგნი უნდა წაიკითხო ისე, რომ თავად არ მოგინდეს წიგნის დაწერაო, – ერთმა კარგმა მასწავლებელმა თქვა. მართლაც ძალიან მინდა წიგნის დაწერა, მაგრამ სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერც დრო მოვნახე ამის საცდელად და ვერც რესურსები. სამაგიროდ, წიგნების შესახებ შემიძლია ვწერო, მით უმეტეს, ამაში არც ჩემი ამჟმინდელი საქმიანობა მზღვდას. ამიტომაც, გადაგწყვიტე პერიოდულად მიმოგიხილო ის წიგნები და ხანდახან ის მინიჭებულოვანი, საინტერესო სამეცნიერო პუსტლიკაციები, რასაც ჩემი პროფესიული საქმიანობისას ვიყენებ.

ჩემი საქმიანობა ზოგადდა პოლიტიკის ანალიზი და პოლიტიკის რჩევაა; უფრო კინკრეტულად – უსაფრთხოების პოლიტიკის კვლევა, სპეციფიკურად კი სტრატეგიული კვლევები, ანუ შესარალებული ძალებისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართება, შეიარაღებული ძალების სამსახური პოლიტიკისა საქმეში. სწორედ ამ თემებს შეეხება ის ლიტერატურა, რომლის განხილვასაც ბერიოდულად ვაპირებ.

წიგნების მიმოხილვის სერიას, რომელსაც ახლა ვიწყებ, რამდენიმე მიზანი აქვს: პოპულარიზაცია გაფრინი პროფესიული ლიტერატურის კითხვას დაინტერესებულ საზოგადოებაში და დავეხმარო მას ამ დიდ და ვრცელ სამყაროში უცემესად ორიენტაციაში. თანამედროვე პერიოდის ერთ-ერთი თავისებურება ხომ ისიც არის, რომ დღეს ინფორმაციის ნაკლებობა კი არა, მისი სიჭარება. გლობალიზაციამ, საზღვრების შედარებით გახსნამ და კომუნიკაციის გაადვილებამ ჩვენთვის უამრავი მასალა გახდა ხელმისაწვდომი. როგორც უილამ არქიმედე ერთხელ თქვა, ჩემ „უპატრონო თევების“ სამყაროში ვკეთევობთ, სადაც უამრავი რამაც ხელმისაწვდომი, მაგრამ ხშირად არ ვიცით, რა სად მდებარეობს. მეორე მიზანი იმ სტუდენტების მხარდაჭერაა, რომლებსაც კითხვა არ უსრებათ და რჩევა სჭირდებათ. მესამე მიზანი კი ზოგადდა წიგნების მიმოხილვის თემის პოპულარიზაციაა, შესაძლოა – პროფესიული ლიტერატურის თარგმანისაც.

ყველა მიმოხილვა სუბიექტურია და ყოვლისმომცველი ვერ იქნება. ამა თუ იმ ნაშრომის მიმოხილვაც, რასაც დავწერ, ალბათ მხოლოდ იმ საკითხებს ასახავს, რამაც ჩემი ყურადღება მიიცია, მესიერებაში ჩამრჩა, და მივიწინევ, რომ მოცემულ გარემოში ჩემი ნარმოსახვითი მკითხველისთვის მნიშვნელოვანია.

ჩემი პირველი მიმოხილვა კლაუსევიცის „ომის შესახებ“ იქნება.

„ომის შესახებ“ ისეთი წიგნია, რომელზეც ბევრს საუბრობენ და იშვათად კითხულობენ. მისი ლეიტმოტივი და ზოგიერთისათვის ყველაზე წინააღმდეგობრივი მისაზრება იმაში მდგრადი ერებს, რომ „ომი პოლიტიკის გაგრძელებაა სხვა საშუალებებით... არა იზოლირებული აქტი, არამედ მისი ნამდვილი ინსტრუმენტი“. თუკი მართლაც ასეა, მაშინ რომ ისეთივე და იმდენადე ლეგიტიმური მოქმედებაა, როგორც და რამდენადც თავად პოლიტიკაა ლეგიტიმური. მეტიც, პოლიტიკა გამსაზღვრას იმის ფორმასა და შინაარსს. როგორიცაა პოლიტიკა, ისეთია რომ. იგი არ იწყება იქ, სადაც პოლიტიკა და დიპლომატია მთავრდება; პირიქით, კლაუსევიცის

მტკიცებით, იგი მხოლოდ და მხოლოდ ერთი არჩევანია პოლიტიკურ არჩევანთა გამაში და, ამასთანავე, არავითარ შემთხვევაში უკანასკნელი – არსებობს არჩევანები, რომლებიც ომზე უარესია. ამ არგუმენტის კარგი ნიმუშია დებატები იმის თაობაზე, უმჯობესის იქნებოდა თუ არა ჰიტლერის წინააღმდეგ პრევანციული ომი. მართალია, ასეთ ომში მისა წამომწყები ყოველთვის რისკავს, რომ „მილიტარისტისა“ და „აგრესორის“ სტატუსს დაიმსახურებს, მაგრამ, ამ მემთხვევაში, „თავშეკავება“ მსოფლიოს 6 000 0000 დაღუპულ ადამიანად და ტოტალური ბირთვული იმის საფრთხედ დაუკავდა.

მას შემდეგ, რაც ადამ სმიტმა „სახელმწიფოთა სიმდიდრე“ დაწერა, განწინდა იმედი, რომ ადამიანები კონფლიქტებს პრაგმატულად მოაგარებდნენ; რომ გამოჩინდა გზა, რომელიც დისტაციების სამხედრო მეორდით გადაწყვეტას კომერციულით შეცვლილა. თუმცადა, ეს მოლოდინი მცდარი აღმოჩნდა. ადამიანები მზად არიან, დაღვარონ სისხლი ერთი შექცევით ისეთი არაპრაგმატული მიზნებისათვის, როგორიცაა ლირისაბა, პატივი, ეროვნული სიამაყე და სხვა. სწორედ ამიტომ, კლაუსევიცი მისი საზოგადო მიზანია სწორედ ადამიანთა და სახელმწიფოთა ბუნებრივი (და ლოგიკური) „არარაციონალიზმი“ და შეზღუდულ ცოდნასა და ინფორმაციას მიიჩნევს. ამასთან, იგი ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოებების თუ ლიდერების განწყობებს. „ომები იწყება არა მტრული მოყიდვებს, არამედ მტრული ინტერესების გამო“, – ნერს იგი.

ბრძოლა და შეტაცება კომერციული ტრანზაქციის მსგავსია. „ომის მიზანია, ვაიძულოთ მოინანალმდევა, დაპყვეტ ჩვენ ნება“, – მისი პროცესი რესურსების ხარჯვა და რესურსების მოპოვებაა, ვიდრე რომელიმე მხარე არ მივა იმ მდგომარეობამდე, როდესაც მისი ხარჯი გადააჭარბებს სარგებლის /პოლიტიკურ/ ამოცანას. სწორედ ეს თემაა ამ წიგნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი სამხედრო და პოლიტიკურ აზრში. შეკითხვა: „რამდენს გავიღებთ მოცემული პოლიტიკური მიზნისათვის“ საგულისხმოა ნებისმიერი საზოგადოებისათვის, ნებისმიერ დროს.

ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც პოლიტიკის გადასაწყვეტილა. აქედანაა კლაუსევიცის მოწოდება პოლიტიკის სამხედრო საქმეზე დომინირებისათვის. პოლიტიკის კონტროლი მზე არის პოლიტიკის დილექტი და პოლიტიკოსს ამოცანა.

ომს საკუთარი ლოგიკა აქვს. პოლიტიკისა და ომის ლოგიკის შეთავსება ხშირად რთული საქმეა. ომის მიზეზეპი არარაციონალურია, მაგრამ არც სტრატეგია სრულად რაციონალური. დაწერილი მაქსიმებისა თუ დოქტრინების მოყვარულთა იმედგასაცრულებლად, „ომის შესახებ“ სტრატეგიასა და სამხედრო პოლიტიკას არა ჭადრაკის, არამედ ბანქეს თამაშს უფრო ადარებს. სამხედრო პოლიტიკა და სტრატეგია რისკით მანიპულირებაა, და არა მწყობრი მოქმედებათა სისტემა. ჩვენ არა მარტო ის არ ვიცით, თუ რა რესურსი აქვს ჩვენ მონინაალმდევეს, არამედ არც ის, თუ რა რესურსი გვაქვს თავად ჩვენ, რადგანაც მხოლოდ ჩვენ ხელთ არსებულ ბანქეს ქაღალდებს ვხედავთ და არ ვიცით, რამდენად სასარგებლობა იგი მეტოქის რესურსებთან

■ „ომს მართავს ზიზღი და ძალადობა, შანსი და შესაძლებლობა და სუბორდინაცია, რაც ომის „პარადოქსულ სამებაში“ ერთიანდება“, – წერს კლაუსევიცი.

შედარებით. ამიტომაც, „გაჭრის თუ არა ჩვენი კოზიონ“ დიდინილად შესაძლებლობასა და ალბათობაზეა დამოკიდებული, რასაც ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ – შესაძლებლობის გამოყენება მხედართმთავრის სანსია. ამასთანავე, საზოგადოებები არ არიან თანასწორი იმისა და პოლიტიკის საქმეში. „შემოქმედებით უნარი“ და „თავისუფალი სული“ ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებებია სამხედრო ლიდერისთვის. შესაბამისად, მხოლოდ მაღალგანვითარებულ საზოგადოებებს შეუძლიათ ჰყავდეთ სამხედრო გენოსექი (ნამოლენი), მაშინ როდესაც ბარბაროსებს შეუძლიათ ჰყავდეთ მხოლოდ მაბაცი მეორები (საპარტაკ).

„ომს მართავს ზიზღი და ძალადობა (ადამიანები ბრძოლის ველზე), შანსი და შესაძლებლობა (სამხედრო ხელმძღვანელობა), და სუბორდინაცია (პოლიტიკა), რაც ომის „პარადოქსულ სამებაში“ ერთიანდება. სწორედ აღნიშნული განაპირობებს, ერთი მხრივ, ომის სირთულეს და, მეორე მხრივ, ომში წარმატებას“, – წერს კლაუსევიცი. რთულია ერთი მიზნისავენ შეწყობილად იარნ დალილობა და გაბრაზებულობა მებრძოლებმა, გაურკვევლობაში მოქმედმა მხედართმთავარმა და დედაქალაქში დაბინავებულმა დიპლომატებმა. სწორედ ეს

არის ომის სირთულე, სადაც აუცილებელია ომის პოლიტიკური კონტროლი, მაგრამ პოლიტიკაც იძულებულია, მხარი აუბას მისგან ფორმირებულ ახალ გარემოს.

ამ წიგნის მნიშვნელოვანი დანატოვარია ომის კლასიფიკაცია, სადაც კლაუსევიც რამდენიმე საინტერესო განსაზღვრებას გვთავაზობს. უპირველეს ყოვლისა, ესაა „აბსოლუტური“ და „შეზღუდული“ ომები. სწორედ იძულებასა და განადგურებას შორის არის ის მნიშვნელოვანი განსხვავებები, რასაც „ომის შესახებ“ ზედმინენით კარგად აღნერს. „შეზღუდული ომი“, „აბსოლუტური იმისაგან“ განსხვავებით, მიზნად არ ისახავს მონინაალმდევეს, როგორც პოლიტიკური სუბიექტის, განადგურებას, მის წამლას პოლიტიკური რუკიდან. შეზღუდული ომის ამოუკან მონინაალმდევეს იძულებასა, და არ მისა განადგურება. „თუმცადა, ომის ბუნების ნაწილი ესკალაცია“, – წერს კლაუსევიცი. და ვინიდან მცირე იმს, შესაძლოა, დიდი ომი მოჰყვეს, აბსოლუტური, ნამდვილი ომისათვის მზადყოფნა არის სახელმწიფოს აუცილებელი

ტაქტიკური მნიშვნელობა აქვთ, შესაძლოა, სინამდვილეში დიდი პოლიტიკური წონა ჰქონდეთ (გერმანიის თავდასხმა ნეიტრალურ ბელგიაზე გერმანელ სამხედროთათვის ოპერაციული გადაწყვეტილება იყო, ამერიკელი და ბრიტანელი პოლიტიკოსებისათვის კი იმში ჩართვის მთავარი პოლიტიკური მიზეზი).

ყველაფერს თავისი სასრული აქვს. ასეა ომიც, რომელიც აუცილებლად უნდა დასრულდეს რომელიმე მხარის გამარჯვებით. მაგრამ მნიშვნელოვანია ლიდერების იცოდენი, თუ სად „მოიპოვება“ წარმატება – აქც, პოლიტიკური გარემო განსაზღვრავს „გამარჯვების მდებარეობას“. სამი რამ განაპირობებს გამარჯვებას: მონინაალმდევეს ძალების განადგურება, ტერიტორიის ოკუპირება და წინააღმდეგობის ხების გატეხვა. ეს უკანასკნელი ამ მხრივ უმთავრესია – შედარებთა ადგელია ახალი არმიის შეკრება, პარტიისანული იმის გაგრძელება და ახალი მოკავშირების შექმნა, მაგრამ ბევრად რთულია გატეხილი მორალის აღდგენი.

სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, თუ რა ინვესტ ამ უკანასკნელს, სად არის მონინაალმდევეს „მიზიდულობის ცენტრი“. ასეთი სახელმწიფოთა წინააღმდეგ ომში დედაქალაქის ოკუპაცია, ალიანსის შემთხვევაში მათ ინტერესთა ერთობლიობა, აჯანყებებში კი – ლიდერები. სწორედ აქ გამოდის წინა პლაზე წიგნის ის უმნიშვნელოვანესა პოსტულატი, რომ ომი არა „განყენებული აქტია“, არამედ „ნამდვილი პოლიტიკური ინსტრუმენტი“. შესაბამისად, სტრატეგია იმისა და დარღვეული სამხედრო სახელმწიფოს მიზნები. სკეპტიკი კლაუსევიცის ტრადიციული გაგების მიმართაც. კარგი სტრატეგიის დაწერა ადვილია, რადგან მისი ძირითადი ელემენტები ყველასათვის ნაცნობია. მთავარი სირთულე კარგი იდეების კარგად რეალიზაციაა. „ომში ყველაფერი მარტივია, – ამბობს იგი, – მაგრამ ყველაზე მარტივი გადაწყვეტილებების განვითარებაც კი უკიდურეს სირთულეებთანაა დაკავშირებული – სწორედ ამიტომ, ჩვენ გვშეიძლება მტკიცე და არა აუცილებლად დაიადი გონიერის ხელმძღვანელები“. შესაბამისად, გადამზეტი მნიშვნელობა იმში მორალურ და ადამიანურ ფაქტორებს, სამხედრო ლიდერების მზადყოფნას ენიჭება.

განსხვავებით გავრცელებული მოსაზრებისა, რომ ომებს იწყებენ და ამთავრებენ პოლიტიკისები, მაგრამ მართავენ სამხედროები, კლაუსევიცი იმში ყველაზე საუკრობება. „ომში ყველაფერი პოლიტიკურია“, მცირე გადაწყვეტილებებს, რომელთაც შეიძლება სამხედროებისთვის მხოლოდ და მხოლოდ ტაქტიკისათვის, ასევე იმ საჯარო მოხელეებისთვის, რომელიც ქვეყნის სამხედრო პოლიტიკის ფორმირებაში მონაწილეობებს. ■



რადიო „ნაცობი“ გეპატიშვილათ

კლუბი „ნაცობი“

■ მრავალი კართული სამზარეულო

■ ცოცხალი მუსიკა





WWW.LIBERALI.GE
